სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

VI ივნისი 1912 წ.

† იაკობ გოგებაშვილი.

შინაარსი: 1) ნამუშები ჩვენი დაავადმეოფეებისა **იპ. ვართაგავასი.** 2) ჩიგიენა, **ილ. ალხაზიშვილისა.** 3) მოკლე სუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჩიგიენიდან ექ. **ევგ. ლოსაბერიძისა.** 4) აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა **დ. უზნაძისა.** 5) თავად ალექსნდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი პოეზია **ილ. ფერაძისა.** 6) ფედია პროტასოვი და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა **მ. კაკაბაძისა.** 7) მონტესორის სისტემის საბავშვო ბაღი იტალიაში **ნ. ბ—ძისა.** 8) ატომები, **ბიკენტი თაბუკაშვილისა.** 9) † იაკობ გოგებაშვილი **ლ. ბოცვაძისა.** 10) მოწყალის მოთქმა, მოწ. **ზაქრო ვაშაძისა.** 11) საგოდებელი **დ. თურდოსპირელისა.** 12) გლეხის ხმა **გ. ჭუჩიშვილისა.** 13) იაკობ გოგებაშვილის ანდერძი. 14) იაკობ გოგებაშვილი (სიტყვა წამოთქმული ვერის დაბმართზე) **გ. ნაორაძისა.** 15) გამოსათხოვარი სიტყვა. **ლ. ბოცვაძისა.** 16) რედაქციისაგან. 17) განცხადებანი.

შემდეგი № ჟურნალ „განათლებისა„ გამოვა ენკენისთვეში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საფილტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეეულ

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთ **პრემიად** მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრებ. პირველი ტომი "**გრდემლი**", კრებ. ღირ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება **იანვარშივე.**

რედაქცია დიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საფილტერატურო გაზეთი

„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-დაწინ 4 მანეთის შესრულებამდი.

ადრესი: Батумъ „Батумисъ Газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. მ. ჭელიძე.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

VI ივნისი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომრის ფასი 35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმუშები ჩვენი დაავადმყოფებისა

ქართველი ქალი უწინ და ახლა. ჩვენი ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა და მშრომელი ხალხი.

(წერილი მეორე) *)

როგორ ზრდის თვის შვილებს ამ ტიპის ჩვენი ოჯახი? რა საქმისთვის ამზადებს მათ? აგვარი მოქმედება აქვს მას დასახული იდეალად?

რაგორც ნორმალური ადამიანი, ქართველი შობლები, რასაკვირველია, ცდილობენ შვილიც ისეთივე ზომიერი, ამდსრულებული და ჯოიტსი გამოიყვანონ, რაგორც თვითონ ბრძანან. მოხელეობა, ჩინ-ორდენები, დიდი ჯამაგირი, უფროსის ეურადღება, ძალა და გავლენიანობა—ეი ნორმალურ კაცის იდეალი და ამ იდეალის მიხედვით ამზადებენ ისინი თვის შვილსაც. მისდა საბედნიეროდ მას ხელს უწყობს თანამედროვე სისტემა სწავლა-განათლებისა. ამნაირად ოჯახი და სკოლა ხელის ხელ გაერილნი ცდილობენ ემაწვილი ნორმალურ კაცად, კარგ მოხელედ გამოიყვანონ ცხოვრებაში. მერე რა არის კარგი მოხელე? „იდეალურ მოხელემ, ამბობს დემოლენი, უნდა უარყოს თვისი ნება; ის უნდა იყოს დაგეში-

*) იხ. „განათლება“ 1912 წ. № V.

ლი (дресированъ) გაგონებისათვის; მან უნდა ადასრულოს ხმის ამოუდებლად ყოველივე ბრძანება უფროსისა. ის მხოლოდ უაზრო იარადია სხვა კაცის ხელში“... („Мір. Бож.“ 1900 წ. II წიგნი).

ყველგან არიან ასეთი ვაჟბატონნი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში ძლიერ გახშირდა ტიპი ზემოთ დახასიათებული **ნორმალურის** ადამიანისა,—გახშირდა კი არა, თითქმის საზოგადო ტიპად გახდა.

დღეს ჩვენში ნამდვილი ჭკვიანი, გონიერი და დიდად პატივსაცემი კაცი ის არის, ვინც ფულები შეიძინა, უფროსებთან კარგს პატივშია, ერთის სიტყვით ვინც „**კარგად წაიყვანა თავისი საქმე**“, როგორც ჩვენში ამბობენ ხოლმე.

ასე ფიქრობს დღეს ჩვენში კლასი, თავადაზნაური, ერი, მდგომი, დიდი და პატარა. ამ აზრისაგან არის, უმეტესი ნაწილი ჩვენებური ინტელიგენტებისა. პირადი უკმაყოფილება; პირადი ბედნიერების ძებნა, პირადი მატერიალური უზრუნველყოფა—ეი რანაირი იდეალია გამეფებული დღეს ჩვენში!

საზოგადო საქმე, მოძმეთათვის ზრუნვა, თვისი ძალ-ღონის და ჭკუა-გონების საზოგადო საქმისთვის მოხმარება, პირადი სიამოვნების და ინტერესების უგულგდება—სუფველფერი ეს იშვიათია, თითქმის არც კი არის, ჩვენში.

ტიპი თავგანწირულ ქართველ გმირისა (მარტო ომიანობაში კი არა) გაქრა, ადარ არსებობს დღეს. გავრცელდნენ ეგოისტები, მუქთა-ჭამია მკლავაძენი, მოსე მწერალი, უპრინციპო, უიდეალო და მხოლოდ მეგვირალა დიპლომიანები.

გმირთა სამშობლო, საქართველო, სავსეა ახლა ლაჩრობით, ორპირობა-გაუტანლობით.

„სახელოვან მამებს“, რომლებმა სისხლით დაიცვეს სასო მღვთისა, მცველი ერისა: ენა, სულარი, სარწმუნოება“, შესარცხვენათ დავებადეთ ჩვენ!

ქართული ლიტერატურა, პოეზია, ღვთისმეტყველება შესუსტდა, დაუძლურდა, ძლივსდა ბეუტავს.

ადარ გვაქვს და მგონი, არც კი გვეყოლოს შოთა რუსთველი, იოანნე ტარიჭელი, არსენი იესლთოელი, იოანნე პეტრიწი, გიორგი და იოანნე ჭყონდიდელები, გიორგი და იოანნე მთაწმინდელები, მიქელი მოდრეკილი (ვეტორი შესანიშნავის „საგალობელი“-სა), დომენტი და ნიკოლოზ მიტროპოლიტები, ანტონ კათალიკოსი და სხვ.

რათ დაეცა, რათ დალაჩრდა ასე ქართველი ერი? ნუთუ ის დაბერდა, მოტყდა, ძალა გამოელია? ნუ თუ იმაზე სამართლიანად მტრებს შეუძლიან სთქვან: „ეს არის ლომი კვდებაო“?

სად იმალება სიდუმლოება საქართველოს ასეთი გზა-კვალის ახნევისა?

ჩვენის აზრით აი საქმე რაშია:

როდესაც საქართველოს გარშემო მტრები ეხვევნენ, როდესაც არაბები, ოსმალები, სპარსელები, ლეკები მის გარშემო დანავარდობდნენ და ტაძარ-პალატებს, ქალაქებს და ველ-მინდვრებს მუსრავდნენ და ანგრევდნენ,—მაშინ ქართველი ერი გაკაჟ-ლომებული იბრძოდა. თავიუფლებისათვის, ერთგულებისათვის, მაშველის სიყვარულისთვის, სარწმუნოებისა და ენისათვის.

მაშინ მას ჰქონდა გამორკვეული მიზანი, ნათლად ჰქონდა გაგებული თავის მოვალეობა. დრო და გარემოება თხოულობდა გმირს, გმირულ თავ-განწირვას, სიმხნეეს, შეუპოვრობას. და აი ამისთვის მაშინდელი ჩვენი პოეტებიც გმირობას გაუტეხლობას, უშიშრობას ადიდებდნენ, აქებდნენ და იდეალად სახავდნენ...

ქართველებს ისტორიკოსები „ჯვაროსნებს“ და ქრისტიანობის „გოლიათებს“ ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი ვ. ორბელიანი დრმა მცოდნე საქართველოს ისტორიისა აი რას ამბობს ერთს თავის ლექსში:

„გსურს ივერიის შავი ბედი აღმა იკითხო?
ჩვენ ნურას გვკითხავ, ჯვარი არის—მიდამოს კარსა,
რაც ლმობიერმა გულმა გკითხოს,—ჰკითხე მას ჯვარსა.
მირიანის დროს ხელში ეპყრა წმინდა ასულსა,
ან ძველ ტაძარში მასა ჰპოვებ წმინდად დაცულსა.
ეს არის, ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი,
ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი.
სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი
ჩვენი სამშობლოს ბნელის ეტლი მოთხრობა ბნელი!
გსურს სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მასზე სწერია?
აი, ეს აზრი: „წმინდა ჯვარი და ივერია!“

(ლექსი „იმედი“)

ქართველებს რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაეცვათ ქრისტეს ჯვარი, საჭირო იყო, რომ მათ ხელით და გულით ჭეშმარიტებათ ქრისტიანობა, გაგებული ჭქონოდათ მისი სიდიადე, სიწმინდე—სისუფტაკე და სხვა სარწმუნოებებზე უპირატობა.

და აი ეოვლად ღირსი ქართველი სასულიერო წოდება უდაბნოებში და მონასტრებში ჩვენში, საბერძნეთში და სინის მთაზე დღე და-ღამ შრომობდა: სთარგმნიდა სადმრთო წიგნებს, სწერდა საღვთის მეტყველო კამოკვლევებს, საგალობლებს, საპოლემიკო ტრაქტატებს, რომლებშიც არჩევდნენ მაჭმადიანობას, სომხობას, ქათოლიკობას; ის მონასტრებში აარსებდა დაბალ, საშვალო და უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც აუვარებდა ქართველ მოზარდ თაობას ქრისტიანობას და სამშობლოს.

რადგანაც საქართველოში გაჩაღებული იყო ბრძოლა არსებობისათვის, მაგრამ ბრძოლა უთანასწორო, სამკვდრო-სასიცოცხლო, ამისათვის უკვლა საქართველოს შვილი წმინდა მოვალეობად სთვლიდა ამ საზოგადო გაჭირვებაში, საშვილის-შვილო საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიეღო და, თუ გარემოება მოითხოვდა, თავიც შეეწირა. ამნაირად საქართველოში სიცოცხლე დუღდა... და აკი ამისთვის

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო!“

ასეთმა თავგანწირვამ, რომელიც იყო შედეგი და ნაყოფი შეგნებული საზოგადო მიზანის და იდეალისა, საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდი მოიყვანა. აქ კი დასუსტებულმა ქართველმა გასისხლიანებული ხმალი თავის ერთმორწმუნე ხალხს ხელში მისცა და თავის ეროვნება, ენა, სარწმუნოება დასაცველად ჩაბარა.

ამნაირად ქართველმა თავიდგან მოიშორა ერთი უპირველესი და უმთავრესი თავის მოვალეობა—სამშობლოს დაცვა.

მას დაუდგა ახალი ხანა, დრო, მაგრამ ამ ახალ დროს მან ალდო ვერ აუდო, ვერ შეეჩვია; ის თითქოს აირია, გონება დაჰკარგა; მას სუფველაფერი მიზანი გაუქრა.

საქართველოში დადგა დრო უაზრო, არევ-დარეულ, უმიზნო ცხოვრებისა.

გაქრა იდეალი, საზოგადოებრივი გრძნობა; გამეფდა კუჭი და მდაბალი ინსტინკტები! ამ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უპრინციპო და სამარცხვინო ისტორია მშვენიერის ლექსებით აქვთ დახატული ჩვენ სასიქადულო პოეტებს: იდიას („რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?) და ვახტ. ორბელიანს („სამშობლო ქვეყნის პასუხი).

მოგვაგონებს აქ უკანასკნელი, რომელიც შესამჩნევათ ახასიათებს ჩვენს უფერულს, უაზრო და ქარაფშუტულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ქართველი, ამბობს პოეტი,

„ერთის ხელით ხრმლით მდგარა, ერთათ უმუშავნია.
მაგრამ დასცხრა ომის ხმა, შეიცვალნენ დროები,
გაჩუმდა ნაღარის ხმა, შესწყდნენ სისხლის ღვარები;
ველოდი: მამათ დიდს ღვაწლს ძენი დაასრულებენ,
შრომას, ძმობას, ერთობას, სწავლას დაარსებენ,
მუშაობით, ოფლის ღვრით დანგრეულს აღმადგენენ,
და ძეთ აღყვავებულსა და მთელს ჩამაბარებენ!..
ამის ნაცვლად რა ვნახე? შრომის წილ ზარმაცობა,
სწავლის წილ სმა და ძილი, ძმობის წილ—დავა, მტრობა.
ზოგთა თავის ქონება ბითურ-ცხრაში წააგეს!
ზოგთ დავი-დარაბაში დაჰღუპეს, რაც ებარათ,
რაც ძველ მამა პაპათგან მათ დარჩენოდათ ბედად!
ჩემთ დიდებულთ ძეთ ძენი ბევრნი ეხლაც იღვწიან:
მარჯვნივ და მარცხნივ ჰფანტვენ... სად?—თითონ არ იციან!
ჩარჩებს ფულებს ართმევენ, მერე ემალებიან
და ან ვალის დაცლასა ცრემლით ევედრებიან!
მთელი წლის შემოსავალს ერთს—ორს კვირაში სცლიან,
. . . . . .
ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან;
სხვა და სხვა ურიანი ჩემ პატრონად დგებიან,
ჩემთ დამცველთა ძეთ ძენი მათ მონებად რჩებიან!
ისინიც არ ვარგანან, თუ ვინმე მათ სჯობიან:
ცხოვრების არა ცოდნით ვალებში ირჩობიან!
ნუ ფრინავ მარად ცაში, ნუ უმზერ მარად მთებსა,
ცოტა ძირს დაიხედე, ნახავ მაგალითებსა:
შეხედეთ თქვენს უმცროს ძმათ, ჩემთ უმცროს ძეთ-გლეხებსა,
როგორც თქვენც, ისინიც ჩემის გვამის სახსრისა,
რატომ ვერ მოუარეთ? რად ჩაუგდეთ ჩარჩებსა“!..

ეი როგორ შეიცვალა ქართველების უწინდელი შინაარსიანი და თავგანწირული ცხოვრება. ეი რა სურათს წარმოადგენს ის დღეს!

ეროეტს შესანიშნავის ცოდნით და დაკვირვებით ამოუწერია ეს სურათი ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრებიდგან...

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს დექსი, ჩვენი ცხოვრების შესანიშნავი სურათი, ვ. ორბელიანმა დასწერა, მაგრამ დღესაც, ამ დექსის სიტყვები თითქმის უცვლელად შეგვიძლიან გავიმეორით ახლანდელ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

სამწუხაროდ, ამ დროს განმავლობაში, ქართველ საზოგადოებას უკეთურობა არ დასტყობია, ნაბიჯი წინ ვერ წარუდგამს. მართალია დეკორაცია ცხოვრებისა ცოტათი შეიცვალა, მაგრამ მისი წინანდელი შინაარსი დღემდის უცვლელად დარჩა.

ეი თუ გინდ გადავავლეთ თვალი ახლანდელ ჩვენს ცხოვრებას. რას ნახავთ?

ზარმაცობა, ქეიფი, დავა და მტრობა ახლაც მეფობენ საქართველოში.

მოდალატობა, ორპირობა და პირმოთნეობა სანატრელად გაუხდია ზოგიერთებს.

პირმოთნეობის, მოღალატობის
და ორ პირობის მომმატე ნიჭი,
რომ ვიმოქმედო ჩვენ ქვეყანაში
და თან და თან წინ წავადგა ბიჯი!

—

სულო ბოროტო, ეს აღმისრულე
და მეტს არ ვითხოვ შენგან დიდებას,
მაშინ შენც ნახავ, რომ ყველა ერთ-ხმად
მე დამიწყებენ ჩვენში დიდს ქებას“.

(აკაკი, I ტ. 120 გვ.)

ეი როგორ ლოცულობენ ჩვენში ზოგიერთები! და „სული ბოროტი“ ბევრს უსრულებს დღეს ამ თხოვნას; ბევრს ხელს უწყობს და თავის მოწყალებას არ აკლებს?!.

ეს ვაუბატონები, საქართველოს იმ გამცემ პირს მოგვაგონებენ, რომელიც ადამიანმა ხანთან ბრძოლის დროს „ყამს ეძიებდა“, რომ „მუხთალ ხელში“ ჩაეგდო ქართველების სიმაგრე და მით აეყარა მამულის სიმტკიცის ბეწვი!“ („ბედი ქართლისა“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო ის ერი, რომელსაც ასეთი ძენნი გამრავლებიან; ფურთხის დირსია ის საზოგადოება, რომელიც თავის წრიდგან ასეთს ზიარებს არ აძევებს და ზიზღით ზურგს არ უჩვენებს!

ჩვენში კი ასეთი ვაყბატონები შეურცხვენლად დაიარებიან და ტკბილ „გამარჯვებათ“ ისმენენ ყოველ მხრივ!

ჩხუბი, მკვლელობა,—შედეგი უზრო და ფუქსავატურ ცხოვრებისა,—მატულობენ თუ კლებულობენ ჩვენს სამშობლოში?

დამნაშავეთა სტატისტიკას თავი დავანებოთ (და არც გვაქვს ასეთი სტატისტიკა); წაიკითხეთ ჩვენი გაზეთები და აქ დრო-და-დრო იბეჭდება სასამართლოს ცნობები და ჩამოთვლილია ის საქმეები, რომლებიც დანიშნულია ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველათ!.. თქვენ განგაცვიფრებთ სიმხდალე ქართველ დამნაშავეთა და ხასიათი მათი დანაშაულისა.

მერე ვინ არიან დამნაშავენი?

სიცოცხლით საგსე, მშვენიერი თვალ-ტანათ და ბუნებით ნიჭიერი ჩვენი ახალგაზდობა,—მოშეტებულად კი ჩვენი თავად-აზნაურობა.

რამ ჩაადენინა მას დანაშაული?

არა სიდარიბემ და უსახსრობამ, როგორც ბევრ შემთხვევაში სხვაგან ხდება; არა პოლიტიკურ და სოციალურ რწმენამ... არა. უაზრო, უმიზნო, უპრინციპო და გზა აბნეული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება—აი სად იმალება ის საკვალო და სამწუხარო მიზეზი, რომელიც ასობით ისტუმრებს ციმბირში და იქ აუცილებელ სიკვდილს უმზადებს ჩვენს ახალგაზდობას.

ახლა დაკვირდით სოფლის ცხოვრებას:

აქაც გულსაკლავი სურათი გეხატებათ თვალწინ. შური, მტრობა, გაუტანლობა, დალატი, შესანიშნავის ძალით მძვინვარებს აქაც. სოფლის სასამართლო-კი ნამდვილი სარკეა სოფლის ცხოვრებისა! აქ თქვენ ხშირად გეგმისთ სიტყვები: „პოდლოგი“, „აპეველაციო“, „კასაციო“. ჩვენი გლეხიც დახელოვნდა „პოდლოგების“ კეთებაში, ისიც მიეჩვია „პროსტოტკაზს“ და „ავიდე და ვერ მოგეცის“ უსირცხვილოთ განმეორებას. ის შეეჩვია მოწმების მოსყიდვას და მსაჯულების მოქრთამვას.

მოსე მწერალი—აი ახლა სოფლისათვის საჭირო კაცი!

„ზოგთა თავის ქონება ბითურ-ცხრაში წაგეს?“ გოდებს პოეტი, რგორც დავინახეთ ზემოდ ამოწერილ ლექსიდგან. ჩვენს დროში რას ვხედავთ?

ვინტი, პროფერანსი, ბაქარა, სტოსი, ვერტუშკა და სტუკოლკა—აი რგორ გართულდა „ბითურ-ცხრაში“ თამაში ჩვენს დროში.

ჩვენი „ინტელიგენტები“ კარტის თამაშში ათენებენ დამეებს და თუმცა ძასში მთელ თავის ქონებას არ აგებენ, მაგრამ უაზროთ დროს კი ჭკარგავენ. ეს დრო კი შეეძლოთ თვით განვითარებისა და საზოგადო საქმეს-თვის მოხმარნათ.

ჩვენ გიმნაზიის „მეოთხე კლასიდგან“ გამოსული თავად-აზნაურობა მართლაც დღესაც თავის ქონებას „ბაქარა“ და „ვერტუშკა“-ში აგებს...

ინტელიგენტებს და „ნედოუჩკა“ თავადაზნაურებს თვი დავანებოთ. სოფელს მივაქციოთ ყურადღება:

სოფლის სამეკეტნოებში, რომლებიც სამწუხაროდ ხშირდებიან ჩვენში, ერთი გაცხელებული თამაშია „ჩერეზისა“. აქ თქვენ დაინახავთ მარტო ხელა გლეხს, რომელსაც გუთანთოხი გაუგდია განზე და ბანქოს ჩაკირკიტებია.

ჩვენებური უსაქმო სოფლის აზნაურები უნდა ჩაითვალონ ბიონერად სოფელში ამ ახალ „ცივილიზაციის“ დამკვირებისა.

მაგალითი გადამდებია, საწყალი „შრომის

შვილი“—გლეხი ბაძავს „კეთილშობილებას“ და უქმობას, კარეგნიდებას ეზვევა.

ამნაირად ცდება მშრომელი ხელი, იკარგება დრო...

მაგრამ ორგვლად სამწუხარო და საკვალალო ის არის, რომ ზოგიერთი სოფლის მასწავლებელი, რომლებიც მაგალითად უნდა იყვნენ სოფლელთათვის, ჩაითრია სოფლის ცხოვრებამ და მამასახლის-მწერალთან ბანქოს თამაშში ატარებენ დროს. ეს კი ცუდი ნიშანია! ფმერთმან ნუ ჰქნას, რომ ჩაჰქრეს სოფელში ის მკრთალი, მაგრამ მაინც სანატრელი სინათლე, რომელსაც სოფლის მასწავლებელი ჰფენს! თორემ მაშინ სულ დაბნელდებოდა სოფლის ცხოვრება...

„ჩემთ (საქართველოს) დიდებულთ ძეთ ძენი
ბევრი ეხლაც იღვწიან,
მარჯვნივ და მარცხნივ ჰფანტავენ... სად? თითონ
არ იციან!
ჩარჩებს ფულებს ართმევენ, მერე ემალებიან!
მთელი წლის შემოსავალს ერთ-ორს კვირაში სცლიან,
მაგრამ, ჩემო პოეტო, კარგად შეექცევიან“!..

ასეთს პასუხს აძლევს სხვათა შორის ჩვენი სამშობლო პოეტს, რომელიც მას დაეკითხა: „ჩემო კარგო ქვეყანა რაზედ მოგიწყენია!“-ო.

ამავე პასუხს მოგვცემს ის დღესაც!..

განა დღესაც არ ჭეიდის „ნაჯერ-ნაჯერად“ ჩვენი მოწინავე წოდება „ქვედ მამაპაპათაგან დარჩენილ“ მიწა-წყალს?

განა დღესაც არ რჩებათ ბანკებს და ჩარჩებს უკეთესი ჩვენი მამულები?

განა დღეს ცოტაა მაგალითი, რომ ბანკებიდან ბლომად აღებულ ფულს ჩვენ ორ-სამ წილს ვეფანგავთ?

მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს ქალაქებში, დაბა-სოფლებში, დაკვირდით კოხტად გამოწკეპილ ჩვენ ახალგაზდა თავად-აზნაურობას. ესენი უმეტეს ნაწილად უწარჩინებულეს ჩვენებურ ოჯახებს ეკუთვნიან. მათნი წინაპარნი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იცავდნენ თვის სამშობლო მიწა-წყალს. შვილები კი, უმიზნოთ და უაზროთ ხეტიალს მიჩვეულნი, ზოგი ტიმბირში მიდის დირსება ახალი ჩხუბისა და ავაზაკობისათვის; ზოგს მამული დაუგირავებია და აღებულ ფულებს უგზო-უკვლოდ ფლანგავს; ზოგს კი მამულ გაყიდულს და ფულებ გამოლეულს, რომელიმე შეძლებულ თანამოძმესთვის თავი შეუფარებია და ასე ატარებს დროს; ზოგი კი ქალების კულს აჭიდებია: არშიყობაში დახელოვნებულა და მითი ირჩენს თავს...

ეს უკანასკნელი ტიპია ჩვენს ცხოვრებაში,—ტიპი ქარაფშუტა, მაწანწალა და უზნეო „ალფონსისა“... ამ ვაკაბატონების წყალობით (რომლებიც იყვნენ ჩვენში კარგი მამულების პატრონები) დღეს საქართველოს და მის მშვენიერ არე-მარეს დაეპატრონენ უცხო ერნი.

ჩვენ კი დავრჩით პირდაღებულნი.

ტფილისის უპირველესი ადგილები და ქუჩები, სადაც დღეს მშვენიერი სახლები და მაღაზიებია გამოჭიმული, ამ საუკუნის პირველ ნახევარში თურმე ქართველ მემამულეთ ეკუთვნოდათ, მაგრამ უაზროთ და ორ გროშისთვის დაუკარგავთ მათ და სომხებისთვის ხელში ჩაუგდიათ.

მხოლოდ ჩვენი, ქართველების უჭკუობას და უდარდელობას შეეძლო ასე გაფლანგვა და დაკარგვა საშვილიშვილო ადგილებისა!

ტუვილად გავიძახით ჩვენ ტფილისი ჩვენია...

ტფილისი იყო ჩვენი, ახლა კი სხვისია!

ან და სასარგებლოდ არ არის ჩვენ,—ქართველებისათვის იმის დამტკიცება, რომ ტფილისი ჩვენია?!

ჩვენ სირცხვილით უნდა ვიწოდეთ და ხმა მაინც ჩავიკმიდოთ. ჩვენ ჩვენივე პირით ჩვენს სიდიადეს, უგუნურება-უჭკუობას ვდადებთ!

მეტი სასარგებლოდ იქნება ჩვენთვის რომ

ჩვენ მშვიდობიანობის დროს ხელში ჩაუგდეთ ვიგინდარეებს ჩვენი დედა ქალაქი, რომელიც, როგორც ისტორია მოგვითხრობს, მრავალჯერ ეოთვიდა აწიოკებულ-აკლებული, მაგრამ ეოველთვის ჩვენს წინაპრებს სისხლით დაუცვიათ ეოველი მისი მტკაველი მიწა და ისე შვილებისთვის ჩაუბარებიათ? ჩვენ კი უჭკეოთ სომხებს ხელში ჩაუგდეთ მამაპაპათა სისხლით მორწყული და მათი ძვლებით მოკირწყლული ტფილისი.

სირცხვილი ჩვენ, „სახელოვან მამათა“ უსახელო შვილებს!

ჩვენ არც იურიდიული, არც ზნეობრივი უფლება არა გვაქვს სომხებს უკიყინოთ: რათ დაეპატრონეთ ჩვენს ტფილისსო. სომეხი რომ არ ეოთვიდიეო,—ნემეცი, ურია, პოლონელი და სხ. იყიდიდნენ ჩვენს მამულებს. აბა ვინ არის ისეთი, რომელიც არ ისარგებლებს შემთხვევით და არ იყიდის მამულს, რადესაც უჭკეო პატრონი ჩადის ფასად აჩეჩებს ხელში?!

სულ სხვა, რადესაც სომხის ჩარჩები სულს უხუთავენ ჩვენს გლეხებს: „ნეუსტოიკით“ და სარგებელით ტყავს აძრობენ...

ისეთი წურბელა—სომეხნი ზიზღის ღირსნი არიან. თუმცა აქაც ჩვენი ქართველების დაუდევრობა დიდად ხელს უწყობს ქართველ გლეხების გაძარცვებას.

რაც შეეხება ჩვენ მოწინავე წოდებას, მას სიტყვა არ ეთქმის ამაზე...

„რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერიც ვერ უზამსო“—ეს სწორედ მათზე ითქმევა.

საქართველოში მე XIX-ს, როგორც წიანეთ ვსთქვით „დასცხრა ომის ხმა, შეიცვალნენ დროები, გაჩუმდა ნადარის ხმა, შესწყდნენ სისხლის ღვარები“. მოსალოდნელი იყო ამ მშვიდობიანობის დროს:

მამათ დიდ ღვაწლს ძენი დაასრულებენ, შრომას, ძმობას, ერთობას, სწავლას დაარსებენ, მუშაობით, ოფლის ღვრით“, მტრებისგან დანგრეულ და განადგურებულ სამშობლოს განაახლებენ და აუყვავებენ...

მაგრამ ნამდვილად კი რას ვხედავთ?

„მამათ დიდ ღვაწლთ“ ძენი არამც თუ არ ასრულებენ, არამედ ნაოოოს ამ ღვაწლისას უშვერად, უდიერად ეპურობიან: ზოგმა მათგანმა, სამარცხვინოდ, არც კი იცის მათი მნიშვნელობა და აზრი... მაგალითად მამაპაპათ გვიანდერძეს ჩვენ შეგნებული ერთგული გრძნობა, სამშობლოსუანგარო სიყვარული, თავისებური ნიმუშები ხურთ მოძღვრებისა, მხატვრობისა, შემუშავებული ენა, გაწირვების დროს ძმური დახმარება, პირდაპირობა, უშიშრობა, ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

მათი შვილები კი „რას ვაკეთებთ, რას ვშვრებით“? ვცდილობთ კი ჩვენ ეს მშვენიერი თვისებანი, მამათაგან ნაანდერძევნი, განვავითაროთ და განვასპეტაკოთ?

სრულებით არა! ჩვენ, „სახელოვანთა მამათა“ შვილებმა, საუბედუროთ,

„დავკარგეთ გრძნობა, აღარ გვაქვს გონი
გაგვიქრა სული მამა-პაპური!
ჩინი შეგვექნა ჭკუის საწონი
და ძმობის ნაცვლად—ბოროტი, შური!

—

ადგილი იგი, საც ჩვენს წინაპარს
სისხლი უღვრია თავგანწირულსა,
შვილთ გვეზიზღება დღეს აღარ გვიყვარს
და ვერ გვიხარებს გაყინულ გულსა!..

—

იქ, სადაც ძველად ქართველი ქართველს
ხელს მიაწვდიდა ძმურად, საშველად,
დღეს იქ ქართველი ყელში უჭერს ხელს
თვის მოძმეს სულის ამოსახდელად!

—

ჯერ მოჰკლავს ტანჯვით და დევნით საწმერე მოვა და ზარით იტირებს, ყალს,
აასრულებს ის უკანასკნელ ვალს
ფარისეველობით მჭვრეტავს აკვირვებს!“
(აკაკი, I ტ. 162).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, სამარცხვინოდ, უდარდელად უყურებთ იმას, თუ როგორ ინგრევა, ფუჭდება და იქცევა ოდესმე მშვენიერნი ნაშთნი ჩვენის წარსული დიდებისა. ფიქრადაც არ მოგვდის მათი შეკეთება და შემაგრება. ჩვენი მამაპაპანი კი მათ ასაშენებლად და შესამკობად უთვალავს ოქროს ხარჯავდნენ და უზომო შრომას ეწეოდნენ. დღეს მათ შვილებს თითო გროშის გამოდებაც კვეზარება მათ განსაახლებლად. თუ არა ჩვენი უგულობით, შეუგნებლობით და უგრძნობლობით, მაშ რით აიხსნება, ის, სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენში

„ხშირად ვპოვებთ ტაძართ, შენთ დიდებულთა,
პალატთ, ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა.
მაგრამ სადგურნი, ფრიალოთგან გადმოკიდულნი
უფსკრულს უმზერენ დარღვეულნი, დატოვებულნი“.

(ვ ორბელია, ლექსი „იმედი“)

სხვა სუფევლისფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მხოლოდ იმისთვის მაინც უნდა ვეცადნეთ ამ „ნანგრევების“ შენახვა, იმისთვის მაინც უნდა გვენატრებოდეს მათი მზერა, რომ ისინი მოწმენი არიან ჩვენი წარსულის ისტორიის, რომ

„მგზავრი, მოსული უცხო ქვეყნითა
„დადის მათ შუა უკვალო გზითა,
ჩვენს ისტორიას მათში ეძიებს“.

(ვ. ორბ. ლექ. „ჯვარი ვაზისა“).

რომ ჩვენ, საქართველოს შვილებს

„გვესმის მათი (ნანგრევების) უცხო ენა,
ევერიის ძესა უყვარს მათი სმენა!
ჩვენს გულს უხმონიც ბევრ ს უამბობენ
რაც რომ ყოფილან, მაზედ უბნობენ“.

(იქვე).

აი საქართველოს ასეთს უუძველეს და დიდმნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს მაგ. დიდებული მცხეთის ტაძარი. ათასი წლის განმავლობაში ის მრავალჯერ მტრის ხელით შერეულა და შეგინებულა; ათასი წლის განმავლობაში მას „სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად სცემდნენ“, თითქოს მის შერეკვას და დანგრევას ცდილობდნენო.

მაგრამ ის დღემდის „მაინც დგას გმირად, გმირთა სულით აღშენებული“.

ეს ტაძარი მრავალ ცნობის მოწამე არის და შეუძლიან სამართლიანად სთქვას: „აქ დაბდა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა—ცა, როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“. („არის ადგილი“ ლექსი, ვ. ორბელიანისა).

მის წიაღსა შინა განისვენებენ ჩვენი მეფენი, სხვათა შორის ჩვენი სასიქადულო და საქართველოსთვის თავგანწირული „პატარა კახი“, რომლის „დიდ ღვაწლის, უზომო გვალის“ დასაფასებლად „მის წმინდა გვამზედ, წმინდა საფლავზედ, ოცი აგური და ფარჩა ძველი“, დასდვეს უმადურმა ქართველებმა.

და აი ეს „გმირთა ხელით აღშენებული“ ტაძარი თუმცა დღემდის „გმირულად სდგას“, მაგრამ დროთა ვითარებამ მაინც შეარყია მისი სიძლიერე: აქა-იქ მას აჩნია დღესაც ღრმა ჭრილობანი, რომელნიც, თუ დროზე არ იქმნენ განკურნებულნი, სიკვდილს უქადიან ამ დიდებულ ნაშთს.

აბა დახედეთ სხვა ერებს: ევროპას ხელისხელ საგოგმანებლად გაუხდია თავიანთი ისტორიული ნაშთები, და გულმხურვალედ უვლიან მათ. ისინი თითონ დაწვრილებით სწავლობენ მათს თავგადასავალს და ცდილობენ სხვა ერებსაც გაანცნონ.

ჩვენ?

ჩვენ ჩვენისავე უდიერს ხელებით ვანგრევთ ისეთს ისტორიულ ნაშთებს, რომლებთა კედლებზე სისხლით აწერია ჩვენი სამშობლოს ისტორია!

განა ამაზედ მეტი თვისის თავის დამცირება, შეურაცხყოფა და ჩირქ წაწყება შეიძლება?

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქუთაისიდგან გაზეთებში იწერებოდნენ:

ქუთაისის ბაგრატის ტაძარი,—ეს ოდესმე შესანიშნავი ნაშთი ქრისტიანობრივი ხუროთმოძღვრების, რომლის ხანგრძლივთა დანახვამაც ადტაცებაში მოიყვანა მეორმოცე წლებში ცნობილი ისტორიკოსი მურავიოვი (ავტორი „Грузія и Арменія“-სი),—დიახ, ეს ნიმუში ჩვენი წარსულის დიდებისა, უვიცთა უდირსის ხელებით ინგრევა და სახლების ასაშენებელ მასალად ხმარდებოდ.

მერე სად ხდებოდა ასეთი შემწიკვლა ეროვნული წმინდათა წმინდისა და ასეთი ბარბაროსული საქმე?

ქუთაისში, სადაც მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა ქართველობაა; სადაც ასობით სცხოვრობენ დიპლომიანი ქართველი ინტელიგენტები და სადაც, მაშასადამე, უფრო მძლავრად უნდა სცემდეს მაჯა ჩვენის ეროვნებისა?!

კორესპონდენტი ისტორიკოსებს და არხიოლოგებს იწვევდა, რათა მათ მაინც უურადღება მიექცეთ ამ ბარბაროსობისთვის!

განა მარტო ისტორიკოსებისთვისაა საინტერესო ჩვენი ძველი ნაშთები? განა მარტო არხიოლოგებმა უნდა მიქცეონ მათ უურადღება? განა უველა ქართველი, ვისაც ცოტა შეგნება აქვს და არ ამოშლია გულიდგან გრძნობა ეროვნობისა, მოვალე არ არის მათთვის იზრუნოს?

თუ ასე უგულოთ და უდიერად ვეკიდებით ჩვენ ისტორიულ ნაშთებს საქართველოს დედაქალაქებში და უმთავრეს ცენტრებში, მაშ ადვილი წარმოსადგენია ჩვენი გულცივობა და უდარდელობა განაპირა ადგილების ჩვენი ისტორიული ნაშთების შესახებ!..

მართლაც არა ერთი და ორი ჩვენი საუდრები და ისტორიული ნაშთები მიისაკუთრეს სომხებმა ჩვენის დაუდევრობის მიზეზით. ეს ფაქტია.

ამას რუსულ გაზეთებშიაც მიაქცევენ უურადღება.

რას ნიშნავს ასეთი მოვლენა?

ჩვენს დაბალრებას, დაძაბუნებას და შეუგნებლობას. სომხები ცდილობენ მოამკონ იქ, სადაც არ უოესიათ: ითვისებენ ისეთს ნაშთებს, რომლებიც მათ არ კუთნებიათ იმ მიზნით, რომ ერთი მეტი სხივი კიდევ მიუმატონ თავისს ისტორიას. ჩვენ კი იმასაც ვკარგავთ, რაც გვქონია; ჩვენივე ხელით ვაქრობთ ჩვენს ისტორიულ სხივებს.

სომხები თავის საქციელში ერთში მაინც არიან საქებურნი,—იმაში, რომ ამათ შეგნებული მაინც აქვთ ეროვნული მნიშვნელობა ისტორიულ ნაშთებისა. ჩვენ კი, სამარცხვინოთ, ეს შეგნებაც არა გვაქვს!

სომხობას ევროპა უფრო იცნობს, ვინემ ქართველობას: ბირველის წარსულით უფრო მეტი საწავლულები არიან, დაინტერესებულები ვინემ უკანასკნელის.

სომხურ ისტორიის და ენის შესახებ ბლომად იბეჭდება გამოკვლევები ევროპიულ ენებზე; საქართველოს შესახებ კი ძლიერ ცოტა.

რითი აიხსნება ეს მოვლენა?

არა იმით, რასაკვირველია, ვითომც სომხობა და სომხური ისტორიული ცხოვრება უფრო საინტერესო იყოს, ვინემ ქართველობა და მის წარსული...

სომხები თითონ აცნობენ თავს ევროპიელებს;—აინტერესებს მათ თვისი წარსული; აქეზებენ გამოსაკვლევად და ბლომად მასალას აწვდიან ამ გამოკვლევისთვის.

სომხები აგროვებენ თავიანთ საეროვნო საუნჯეებს სიმდერებს და, შემდეგ მშვენიერად მათი შემუშავებისა, ევროპიელებს აგონებენ.

ამას წინეთ გაზეთებში სწერდნენ: ერთმა სომხის მდვდელმა მშვენიერი ხორო შეადგინა—და კონცერტი გამართა ვენაშიო. ევრო-

ბიელებს დიდად მოეწონათ ადმოსავლეთური ჭარმონია სიმხურის სიმღერებისაო...

როგორ ვიქცევით ჩვენ, ქართველები?

ჩვენ ვსხედვართ სახლში გულხელ-დაკრეფილნი და ერთი ცოტათ თუ ბევრად კარგად მოწყობილი ქართული ხოროც არა გვაკვს, რომ (ევროპიელებს თავი დავანებოთ) ქართველ საზოგადოებას მაინც გავაგონოთ შესანიშნავის ჭარმონიით შეზავებული ჩვენი საერთონო სიმღერები და მით მას რწმენა მაინც არ დაუკარგოთ ქართულ სიძლიერების სიდიადეზე!

მაკრამ გვაქვს თუ არა ეს სიმღერები შეგსებულნი? ჩვენდა სამარცხვინოთ არა!

ასეთი გულცივობა ჩვენ არ შეგვიძლიან გავამართლოთ ქართველთა სიღარიბით. თითო აბაზი, ოთოქმის ნაკლებიც, საკმარისია გამოიღოს ქართველებში უველა იმან, ვინც ინტელიგენტს უძახის თავის თავს, რომ ეს საშვილიშვილო საქმე დაგვირგვინდეს!..

ახლა გადავიდეთ ქართულ ყურნალ-გაზეთებზე. აქაც სოხმებმა შეუდარებლად გაგვისწრეს წინ.

მათ ბლოკად აქვთ მშვენიერად დაუენებული ყურნალ-გაზეთები რუსეთის იმპერიაში, ოსმალეთში, ევროპაში და მგონი ამერიკაშიც.

ჩვენ ორიოდ ყურნალ-გაზეთები გვაქვს და ისინიც ოდნავ ბეუტავენ: მათი რედაქციები დარიბებია და შინაარსითაც ჩვენი ყურნალ-გაზეთები უფერულები არიან, რადგანაც არა ჭკვავთ მოზადებული ნიჭიერი თანამშრომლები.

მერე რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი?

ჩვენი სიღარიბე? არა! ჩვენი უნიჭობა? არა! განათლებული პირების სიცოტავე? კიდევ არა!

ჩვენი მოქალაქობრივი გრძნობის სისუსტე, საზოგადოებრივი ურთიერთობის უქონლობა— ეი სად უნდა ვეძიოთ სათავე და მიზეზი ჩვენი ყურნალ-გაზეთების უკან ჩამორჩენისა და დაქვეითებისა!

მართლა, განა ჩვენ, ქართველები, ისე ფრიბები ვართ, რომ ორიოდ ყურნალ-გაზეთების შენახვა და ფეხზე დაყენება არ შეგვეძლოს? სრულებით არა!

ჩვენ ის ვაუბატონები არ გახლავართ, რომლებიც უზრდოდ სმა-ქეიფში დროს გატარებით და ქურდობა-მკვლელობისათვის დაკარგულ **„ლირსების“** დასაბრუნებლად აუარებელ ფულებს ვხარჯავთ?

ჩვენ განა ლირსეულნი შვილნი არა ვართ ამ საუკუნის პირველ-ნახევრის ჩვენი მამებისა, რომლებმაც სმა-ქეიფი, უდარდელად დროს გატარება კულტად გაიხადეს და ლექსადაც შეაქეს?

და რათ გვიკვირს ამის შემდეგ, რომ ჩვენში დღესაც ბლოკად იყენენ ლოთი ბიჭები, დარდიმანდი უმაწვილები, მოლხინენი და მოთამაშენი?

„...მოქეიფე და მოლხინე წოდება ცხოვრებაში სიღადეს დაეჩვია, მათში სიღადემ დაბადა სითამამე, სითამამემ გარეგნიდება, გარეგნიდებამ გახარწნა და გახარწნამ გადაშენება-გაწყვეტა. ეს მოჭვეა იმ ეკვეიდოვან ხანას, იმ მჩქეფარე ცხოვრებას, იმ სანაქებო ლხინით სავსე სუფრებს, ქეიფებს და დროს გატარებას, რომელსაც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვები ქება-დიდებით მოიგონებენ, აღწერენ, აღიდებენ და სანეტარად ხდიან“...*)

ამ ნაქებმა ქართველურმა ქეიფმა და დროს გატარებამ წაიღო, მოინელა უმთავრესი ნაწილი ჩვენი თავად-აზნაურთა შეძლებისა. ბევრი მათგანი გადატაკდა—და მათ ყურნალ-გაზეთებისა სად სცხელათ: წელზე ფეხს იდგამენ; ამასთან მათ, როგორც მომეტებულად უსწავლელთ, კითხვის მოთხოვნილებაც არა აქვთ.

---

*) იხ. ბროშურა სათაურით „აკაკი“—ა. არიძის გამოცემა, გვ. 20.

ჟურნალ-გაზეთების კითხვას ამ ვაუბატონეღისგან აბა საიდგან უნდა მოველოდეთ?!

სოფლის ხალხი—მუშა?.. ესენი, თუმცა „ოფლს მიწას დვრიან და დაუდგრომელი ხელით ძღიერით“ დედა-შიწისგან უხვათ ნაუოფი გამოაქვთ, მაგრამ თითონ ხშირად ულუკმა-პურად და უსწავლელად რჩებიან და ჟურნალ გაზეთის კითხვა მათ რომ მოვსთხოვოთ, ეს მიუტეგებელ ცოდვად ჩაგვეთვლება!

მაშ ვინ უნდა კითხულობდეს დღეს ჩვენში ქართულ ჟურნალ-გაზეთებს? ვის მოეთხოვება ეველაზე მეტად მათი ხელის შეწყობა და გამაგრება?

ჩვენ კონებრივ არისტოკრატია, ე. ი. ინტელიგენციას... ინტელიგენტებს, როგორც განათლებულ ხირთ, რასაკვირველია შეგნებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერისათვის სამშობლო ენაზე დაბეჭდილ ჟურნალ-გაზეთების გამრავლებას და, როგორც დიპლომიანთ, შეძლებაც ხელს უნდა უწყობდეს, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საშვილიშვილო საქმეში.

ასე კი არის? სამწუხაროდ არა!

კითხულობენ ჩვენი ინტელიგენტები ქართულ ჟურნალ-გაზეთებს? აღევნებენ თვალყურს მათს ბედ იღბალს? მომეტებულს შემთხვევაში არა!

რით ავხსნათ ასეთი ანორმალური მოვლენა? რითი ამართლებენ თავიანთ ასეთ საქციელს თვით ეს ვაუბატონები?

„ჩვენი ჟურნალ-გაზეთები უშინაარსონი არიან; მათი კითხვა უბრალო დროს დაკარგვაა; მათ გამოწერას და კითხვას ის არა აჯობია, რომ რომელიმე უცხო კარგი შინაარსიანი გამოცემა გამოიწეროს და იკითხოს კაცმა; დრო და ფული უმიზნოთ მაინც არ დაგვეკარგება, — აი რა სიტყვებით იმართლებენ თავს ჩვენი ინტელიგენტები!

მერე ეს თავის გამართლებაა? რას მოწმობს ასეთი მსჯელობა ჩვენი ინტელიგენტებისა, თუ არ მათი საქმის უცოდინარობას, ჩაუკვირვებლობას, მეტსაც ვიტყვით, ქარაფშუტობას?

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები რომ დიდ შინაარსიანი არ არიან — ეს მართალია, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ უცხო გამოცემები მათ გაცილებით აჯობიან! მაგრამ ამ ფაქტიდგან ჩვენმა „განათლებულმა“ ის არა გონიერ-განათლებული დასკვნა უნდა გამოიყვანონ, რაც გამოჭყავთ?!.

რა არის მიზეზი, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები თვისს მიზანს ბევრს შემთხვევაში ხირნათლად ვერ ასრულებენ? მათი სიდარიბე და, ამ სიდარიბის აუცილებელი შედეგი გახდა თანამშრომლების უფოლობა!

აბა რა გაამდიდრებს ჩვენში გამოცემებს, როდესაც მათი გამომწერელთა რიცხვი 300-500 ძლივს აღემატება? საიდგან იშოვონ მათ კარგი თანამშრომლები, როდესაც მშრომელს დღიურ ლუკმასაც ვერ აძლევენ?!

ჩვენში ხშირია, რომ განათლებული, ნიჭიერი და შრომის მოყვარე უმაწვილ-კაცები დღიური ლუკმის მოსაპოვებლად სხვა და სხვა კანცელარიებში და კანტორებში უმიზნოთ და უნაყოფოდ დროს ჭკარგავენ და ძალ-ღონეს აღევენ „ოტნოშენიების“, „რაპორტების“, „სპრავკების“ და „ანგარიშების“ წერას. მათ შეიძლება ისეთი ნიჭი აქვთ ლიტერატურულ შრომისა, რომ ხირნათლად შეუძლიანთ თანამოძმეებს ემსახურონ. არგვიონ ცხოვრების ვითარება, დაუსახონ მას ახალი იდეალები და სხვა. შეიძლება მათ სურთ კიდეც იშრომონ ამ სახით, მაგრამ რა ჭქნან საბრალოებმა, რომ დრო არა აქვთ: დილიდგან საღამომდის მოკუნტული სხედან კანცელარიების დახშულ ჭაერში!

აი, მაგ. რომელიმე მათგანი მოვიდა საამსახურიდგან დაღლილ-დაქანცული; ისადილა... რამდენიმე საათი მას კიდევ თავისუფალი აქვს. ამ დროს მას შეუძლიან დაისვენოს, მაგრამ ის იღებს კალამს და სურს რამე დასწეროს

და მით ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს .. მაგრამ რა უნდა დაწერილ ნერვებ აშლილმა, მოქანცულმა, თუმცა კი ნიჭიერმა კანცელარისტმა? რასაკვირველია, მას ნაწერი უფერული გამოვიდის; . მისი ადმა ფერენა და მოსაზრება სუსტობს!..

კანცელარია და მისი ატმოსფერა აბა ვის არ გამოაურუებს და ვის არ შეუსუსტებს ლოდიკას, მოსაზრებას, ფანტაზიას? კანცელარიის უდელში გაბმულს დროც არა აქვს წიგნები იკითხოს, თანამედროვე ცხოვრებას თვალეური ადევნოს, ე. ი. გონიერულად იცხოვროს...

მაგრამ განა მარტო კანცელარია და კანტორებში მოსამსახურე ნიჭიერ ახალგაზდას ადგია ასეთი დღე?

ამავე ტალაში იწვის ნიჭიერი მასწავლებელი, ექიმი და სხვა და სხვა ჯურის მოხელე, რომლებსაც ბედმა არგუნა ფორმალური და წვრილმანი შრომა...

შეიძლება ვინმემ შეგვნიშნოს: ისეთმა ნიჭიერმა და ენერგიის პატრონმა უმაწვილმა სრულებით თავი დანებოს უშინაარსო სამსახურს და ლიტერატურულ შრომას მიჰყოს ხელი. კარგი, ვსთქვათ უმაწვილი დაჰყვა ამ რჩევას: მიანება თავი „ოტნოშენიების“ წერას, „დიკტანტების“ და „ექსტემპორალიების“ გასწორებას და კალამს მოჰკიდა ხელი. მერე ეს კალამი, რაც გინდ მადლიანი იყოს მისი მფლობელი, მისტემს მშრომელ ჩვენში დღიურს ლუკმას? ცოტათი მაინც უზრუნველ ჰყოფს მის ცხოვრებას? სხვაგან კი, ჩვენში კი არა. სხვაგან ცოტათ-თუ ბევრად ნიჭიერი პუბლიცისტი, ბელეტრისტი, პოეტი, ჟურნალისტი—უზრუნველ ყოფილია, ზოგი მათგანი ქონებასაც იძენს... ჩვენში? ჩვენში მწერალი შიმშილით უნდა მოკვდეს, რაც გინდ დიდი იყოს მისი ნიჭი. რა ბედი ერგოთ: ნინოშვილს, ალექ. ყაზიბეგს? ესენი სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყვნენ, განა იმდენ ტანჯვა-წვალებას გამოიკლიდნენ; რამდენიც მათ გამოიარეს ჩვენში?

არა მარტო ესენი. ვინ არ იცის თუ რა მდგომარეობაში ყოფილა ჩვენი სასიქადულო და უნიჭიერესი მამულის შვილი და პოეტი? აკაკი რუსეთში ან ევროპაში რომ დაბადებულიყო, განა ამდენს დამცირებას, უსახსროობას, თითქმის შიმშილს გამოიკლიდა, რამდენიც მან გამოიარა თვის საყვარელ სამშობლოში?! ის გახდებოდა საზოგადოების სათაყვანებელად; მისი ყოველ კალმის მოსმა უადრესად დათვალებოდა და მისი ცხოვრება უზრუნველი იქნებოდა... ჩვენში კი მისმა დიადმა ნიჭმაც და თავგანწირულმა მოღვაწეობამ ის ცოტად თუ ბევრად ვერ ჭეშეს უზრუნველ ყოფილი. აი რას სწერს აკაკის ბიოგრაფი: „...ჩვენი შესანიშნავი მგოსნის ცხოვრება ბევრჯერ უგიდურეს წერტილამდის მისულა, ყოფილა ისეთი წუთები და მოწამე თვით ამ სტრიქონების დამწერი, რომ აკაკის ხშირად ისეთი გაჭირვება ჭამია, წერის მეოხებით იგი მუალე კიტრით, ხაშით და ცხვრის თავით იკვებებოდა, ისიც ერთს დღეს და ერთს კვირას კი არა, არამედ მთელს თვეებს; იგი იყო ისეთს მდგომარეობაში და ისეთი ავადმყოფიც. რომ წამლის და ექიმის ფულიც არ ებადა, წამლები შინაურულად უმზადდებოდა და მეტი გზა არა ჭქონდა. იყო ისეთ წუთებიც, რომ ცალკე დღიურის ცხოვრებისაგან იყო შეწუხებული, ცალკე სახლის პატრონისაგან ქირის გამო და ცალკე მებელების პატრონისაგან, მებელის ქირის გამო; ბევრჯერ გამოსცადა სიდარიბე და უკიდურესი სულის შეწუხება“...*)

თითონ აკაკიც ამბობს თავის თავზე ერთ ლექსში: „ხან მაქვს პური, ხან მშია, ხანდისხან მშიერი ვარ“-ო.

თუ ასეთს მდგომარეობაში იყო უწარჩინებულესი ჩვენი პოეტი, რომლის მზგავსი და

*) იხ. ბროშიურა „აკაკი“—ზ. ჭ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალი ჩვენში კი არა, ევროპაშიც ხშირად არ იბადებიან, მაშ რა მდგომარეობაში იქნება ჩვენში სხვათა ნიჭის პატრონი, მაგრამ ნაყოფიერი და სასარგებლო მწერალ-მოდვაწე?

თუ აკაკის ხანდისხან მწარიც არა ჰქონია და ბევრჯერ მშიერიც ყოფილა, მაშ სხვა ხომ მთლად უნდა მოკვდეს შიმშილით?

დიახ, ეს კარგად იციან ჩვენმა უმაწვილ კაცებმა, რომლებიც ბუნებისაგან დაჯილდოებულნი არიან ნიჭით შრომის მოყვარეობით, მხნეობით, წმინდა მისწრაფებით სიმართლისადმი და ვერ ბედავენ (უჭკუობაც იქნება) თავი მიანებონ, თუმცა უშინაარსო, მაგრამ მაინც მარჩენელ სამსახურს და ლიტერატურას მოჰკიდონ ხელი. და აი ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენში ძლიერ ცოტაა, თითქმის სულ არ არის, ცოტათ თუ ბევრად შესანიშნავი და საყურადღებო ჟურნალისტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი.

კარგი ჟურნალისტობისა, კრიტიკოსობისა და პუბლიცისტობისათვის საჭიროა, გარდა ნიჭისა, თავისუფალი დრო, მოცლა და უზრუნველყოფობა. თუ პუბლიცისტს დრო არა აქვს იკითხოს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები; თუ მან თვალყური ვერ აადევნა ცხოვრების მიმდინარეობას და გულდასმით ვერ ასწონ-დასწონა ამონაკითხ-განაგონი, მაშინ ის, რაც გინდ ნიჭიერი იყოს, ვერაფერს დასწერს შესანიშნავს და საყურადღებოს. ასეთს შემთხვევაში ნიჭი წვრილმანდება, ხურდავდება და შეიძლება მომავალი დობროლიუბოვი ან პისარევი „ბუკვა“ „ზოილი“-სთანა უბრალო ფელეტონისტებათ გადაიქცნენ.

ვინ იცის ჩვენშიც რამდენი ნიკოლაძეების, აკაკების, ნინოშვილების და უაზიბეგების ნიჭი დახურავდა, შესუსტდა და მთლად ჩაქრა?

შეიძლება ჩვენც გვყოლოდა ჩვენი ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, ტურგენიევი; შეიძლება ჩვენც გვქონოდა ისეთი ჟურნალ-გაზეთები, როგორებიც არიან „Рус. Мыс.“ „Рус. Богатство“, „Вѣс. Евр.“, „Рус. Вѣд.“ და სხვა, რომ გარემოება ხელს გვიწყობდეს: ჩვენს რედაქციების შეძლება ჰქონდეს მშრომელებს კარგი თასი აძლიონ და მათ უზრუნველ ჰყონ მათი მდგომარეობა. რომ ცოტათი მაინც ჩვენი ბრესსა გაცოცხლდეს, საჭიროა რედაქციების უზრუნველყოფა. ამისთვის ყველა ჩვენთაგანი მოვალეა, რომ ამ საგნისთვის ცოტა რამ გაიმეტოს. ჩვენის მხრით საკმარისი იქნება ისიც, თუ ეს გამეტება მარტო იმაშიაც გამოიხატება, რომ ყველა შეგნებული ქართველი ერთს ან ორს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გამოიწერს. ეს ქართველობას ქკელმოქმედებათაც ჩაეთვლება, თუმცა სხვაგან ზნეობრივი და აუცილებელი მოვალეობა კია. სოფლის მდვდლები, მასწავლებლები, სხვა და სხვა დაწესებულების ქართველი მოხელეები, ცოტათ თუ ბევრად შეძლებული ვაჭრები, გაკოტრებას გადარჩენილი თავადაზნაურობა და ზოგიერთი შეძლებული სოფლის გლეხები—ყველა ესენი თითო ქართულ გამოცემას რომ გამოიწერდნენ, მაშინ ჩვენ ჟურნალ-გაზეთების ბედს ძალიც არ დაჭეეფდა; თითოეულ მათგანს 5—6 ათასი ხელის მომწერი მაინც ეყოლებოდა! მაშინ რედაქციებს შეეძლებათ ნიჭიერნი თანამშრომლები მოიწვიონ და მატერიალურად უზრუნველ ჰყონ. აი სწორედ მაშინ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები გაცოცხლდებიან და პირნათლად გაუძღვებიან თავიანთ მიზანს! მაშინ ისინი იმ ვაჟბატონებსაც დაკმაყოფილებენ შინაარსით, რომლებიც დღეს დიინჯ შემოურიდნი გაიძახიან: „ჩვენი ჟურნალ-გაზეთი უშინაარსოა, მათი კითხვა არა ღირსო“.

მაგრამ მე ეჭვიც კი მებადება ამ ვაჟბატონების გულახლილობაზე... ვაი თუ რომ ეს ვაჟბატონები ცარიელ სიტყვებს ამბობენ და კარგი შინაარსიან გაზეთის კითხვასაც ისე გაურბიან, როგორ ცუდსაც, ვაი თუ რომ ისი-

ხი ამართლებდნენ ანდაზას: „მიზეზს მიზეზი, დოს მარილი აკლია“!..

მაგრამ რა, ბატონებო? ეს სუფველაფერი ოცნებაა! სინამდვილე კი სხვას გვეუბნება. ასობით და ათასობით მოიპოებიან ჩვენში ვითომც და „ინტელიგენტი“ ოჯახები, სადაც დიოგენის ფარნითაც რომ ეძიოთ ვერ მონახავთ ქართულ ყურნალ-გაზეთებს და ქართულს უბრალო წიგნაკსაც. ამ ოჯახში გესმისთ უცხო ენაზე ტიტინი; აქ სუფველაფერს უცხო-ელფერი აქვს... და გვარის დაბოლოება რომ არ ამხელდეს სახლის პატრონის ჩამომავლობას, სხვა არაფერი არ მოწმობს აქ, რომ ეს ოჯახი ქართლოსიანთა ჩამომავლობისაა.

რა გვეთქმის ჩვენ ასეთს ვაჟბატონებზე? დაგვრჩენია გავიმეოროთ მათ შესახებ მხოლო აკაკის სიტყვები:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!

—

ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა!

—

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

—

ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა...

—

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა;
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა!“ *)

*) იხ. თხზულებანი აკაკის, I ტ., გვ. 262.

ჩვენი ინტელიგენცია, როგორც ვსთქვით, არ კითხულობს ქართულ ყურნალ-გაზეთებს ვითომც იმ მიზეზით, რომ ისინი უშინაარსონი არიან. მაგრამ რით გაიმართლებს ის თავს იმაში, რომ ის არ კითხულობს ჩვენ პოეტების და ბელეტრისტების ნაწარმოებთ (ცალკე წიგნთ გამოცემულთ), რომლებსაც თვისის ღრმა აზრით, პოეზიით, ცხოვრების დაკვირვებით და ადამიანის სულის და გულის ცოდნით შეუძლიანთ დაამშვენონ ევროპის ლიტერატურაც?

ვამბობთ: აკაკი და იღია ქართველების საუვარელი პოეტები არიან; მათ ეველა ქართველები იცნობენო. სახელი ამ პოეტების, მჯერა, რომ ეველა ამბანის მცოდნე ქართველმა იცის, მაგრამ მათი თხზულებები ეველა დიბლომიანსაც რომ ჰქონდეს სრულად წაკითხული,—დიდად და დიდად ეეჭვობ... ამას ის ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ პოეტების თხზულებები არამც თუ მეორეთ არ გამოცემულა, პირველი გამოცემაც ჯერ არ გაყიდულა. თუ ამ უდიდებულეს ჩვენი მწერლების ნაწერებს ასეთი ბედი ერგო, ადვილი წარმოსადგენია აბა სხვა ჩვენ მწერლებს და მათ თხზულებათ რა კარგი დაეესებოდა.

მართლაც ამ მწერლების თხზულებები თუმცა გამოიცა, მაგრამ ჯერ კიდევ ისევ აწეია წიგნების მაღაზიაში. საქმე ჩვენი წიგნების გამოცემლებისა ჯერ-ჯერობით ცუდათ მიდის. მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ ქართველი ინტელიგენტი არ კითხულობს ქართულს წიგნებს, მას მოთხოვნილებაც არა აქვს თვალ-ყური ადევნოს და შეისწავლოს სამშობლო ლიტერატურა და ისტორია და ამისათვის არც ქართულ წიგნებს ყიდულობს. მაგრამ შეიძლება ის კოსმოპოლიტობს; შეიძლება ის თვალყურს ადევნებს უცხოეთის ცხოვრებას, მის ლიტერატურას და ისტორიას? არა, ბატონებო, ის კოსმოპოლიტი არ არის და სხვა ერების ცხოვრების შესწავლისთვისაც

თავს არ იტესავს! ის ჰირად ინტერესების მოჯადოებულ წრეშია მომწყვდეული და თუ როდისმე ამ წრეს გასცილდა, მხოლოდ ბანკების და ქალაქების აშენების დროს. მაგრამ ის აქაც არა საკადრის როდს თამაშობს: აქაც ის „შენ-ჩემობას“ და მაზრულ პატრიოტობასაც არ გასცილებია. შეიძლება გვიწუინონ, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთია საზოგადო ტიპი ჩვენის ინტელიგენტებისა.

და თუ ეს ასეა, მაშ რათ გვიკვირს, რომ ჩვენ გამოცემულებს $^2/_3$ ყველა თავის გამოცემებისა მთელი წლობით გაუყიდველი უწყვია?

ნუ თუ ცოტათ თუ ბევრად შეგნებული ქართველი მოვალე არ არის სახლში იქონიოს ჩვენი მწერლების თხზულებები?

და თუ ჩვენს ოჯახებში, ჩვენდა სასარცხვინოთ, ქართული წიგნების ხსენებაც არ არის, მაშ რას უნდა მივწეროთ ეს მოვლენა, თუ არ ჩვენ უკან ჩამორჩენას, გაძაგვრებას და გათახსირებას?

მართლა ჩვენი გათახსირება-გაძაგვრების მოამასწავებელი არ არის ის მოვლენა, რომ უმეტეს შემთხვევაში ქართველ ინტელიგენტმა არ იცის ქართული ლიტერატურა და ისტორია?

ღრმა და საფუძვლიან ცოდნას თავი დავანებოთ,—ზოგიერთს წარმოდგენაც არა აქვს თვის საშობლოს წარსულზე და აწმყოზე... საშობლო ენის უცოდინარობა, ღრამატიკული შეცდომები და სტილისტიკურ უსწორ-მასწორობა ხომ ყველა ერში ინტელიგენტ კაცისთვის საძარცხვინოდ ითვლება!

„Онъ даже безграмотныи?“-о—თუ თქვეს რუსებმა ვინმე ინტელიგენტზე—ეს ხომ ჰირის მთლად დამამცირებელია. ჩვენში კი მომეტებულმა ნასწავლმა ქართველობაზ არ იცის უბრალო ქართული მართლ-წერაც...

ტეუილად დაუწუებთ ჩვენ თავს მართლებას სხვა და სხვა ხელის შემშლელ გარემოებებით; იქ, სადაც სურვილია, ყოველთვის შესაძლოა ეს დამაბრკოლებელი მიზეზები იყოს ძლეული!

მაშ რა ზნეობრივ უფლებით ვატარებთ ჩვენ საპატიო სახელს—„ქართველი ინტელიგენტი?“

ჩვენ შეიძლება ინტელიგენტები ვიყოთ (რადგანაც ოფიციალურად სასწავლებლები გავგვევლია და დიპლომებიც გვაქვს), მაგრამ ქართველი ინტელიგენტები კი არა ვართ!

ინტელიგენციას საზოგადოდ ერის იმ ნაწილს უწოდებენ, რომელიც გონება გახსნილ-განვითარებულია, რომელსაც შეუთვისებია თანამედროვე მეცნიერება, შეუსწავლია წარსული თვისის ერისა, დაჭკვირვებია მისი თანამედროვე მდგომარეობას და რომელიც, თუ ერის ბელადი არ არის, მისი აზრ-მისწრაფების და სურვილის გამომხატველი მაინც არის. ასეთი უველა ინტელიგენტისათვის საჭირო, თვისებები აქვს თუ არა ვითომდა ინტელიგენტებს? არა... მაშ მას კიდეც უნდა რცხვენოდეს, რომ უსაფუძვლოდ და უდირსად ატარებს სახელს **ქართველ** ინტელიგენტისას!

როცა ამას ვამბობთ, ჩვენ აქ უმრავლესობა გვეკვს სახეში, თორემ თითო-ოროლა ნამდვილი ინტელიგენტი ჩვენცა გვეკვს, რომლებიც დირსეულად ატარებენ ამ საპატიო სახელს...

ხალხი ჯარია—უმეტრება კი მისი მტერია. ეს მტერი გულ-დვიძლს უდრდნის ყველა ერს, რომელსაც კი, საუბედუროდ, მიესევა და დაიმორჩილებს: ამ ერში ჭქრება გონიერული ცხოვრება, კეთილშობილური მისწრაფება და ადამიანური გრძნობა. ამათ მაგიერ გაძლიერდა ჰირუტყვული ინსტინქტები, ბნელდება გონება და წვრილმანდება ადამიანის ჰიროვნება. უმეტრების საშეფო—ბნელეთია, მისი მხედრობა კი—გარეგნილება, გაპირუტყვება და სიბრმავეა!

და ვაი იმ ერს, რომელშიც ასეთი „ბნე-

ლეთის“ სამეფო დამკვიდრდება და ფუძეს მოიკიდებს! მას მოელის აუცილებლად ადგა ბირისაგან ქვეყნისა!

ამისთვის უველა შეგნებული წევრი იმ ერის, რომელსაც უმეტრება დაეპატრონა, მოვალეა მტერს გაუმკლავდეს და შეებრძოლოს,—მოვალეა ეროვლივე თვისი გონებრივი და ზნეობრივი ძალა იხმაროს მისი სიძლიერის შესასუსტებლად. ამ თავგანწირულ ბრძოლით ის იხსნის თვისს გაუნათლებელ და გონებით სუსტ თანამემამულეებს უმეტრების ბრწყალებიდგან.

რა იარადი უნდა მივაწოდოთ ჩვენ მოძმეებს, რომ მათ შესძლონ უმეტრების დამარცხება? თოფ-ზარბაზნების და ტუვია-წამლის მაგიერ რა უნდა იხმაროონ მათ, რომ ეს ახირებული მტერი—უმეტრება ცხრა მთის იქით შიშით გადაიკარგოს? ეს იარადია—სკოლა და წიგნები... მხოლოდ ამათ ვერ უძლებს უმეტრებს; მხოლოდ ესენი არიან მისი მძლავრი მოწინააღმდეგენი!

ვერ ვიტუვით, რომ ქართველი ერი თავისუფალი იყოს უმეტრების ბრწყალებიდგან; ვერ ვიტუვით, რომ მასშიაც არ დაფარფაშობდეს მისი მხედრობა: სიბრმავე, გარეგნიდება და გაბერუტეუვება!

ჩვენშია „დარდვეული ერთობა, დარდვეული ერთობის შეგნება, ჩვენ ხელში არ არსებობს ვაჭრობა, ფული; ფაბრიკები ჩვენ არა გვაქვს... სკოლები ჩვენ არა გვაქვს; სახალხო განათლება და მწერლობა დაცემულია; ხალხის უმეტესი ნაწილი უვიცია; მას თავის თავის პატრონობა არ შეუძლიან; მას გულშემატკივარი არა ყეავს, მის ცხოვრებისთვის არავინ ზრუნავს; იგი ეველას დაუვიწყნია, იგი რჩება საუკუნოების წინეთ ეროვილს მდგომარეობის მსგავს მონურ ცხოვრებაში; მისთვის არც მოქალაქობა არსებობს, არც პირადი უფლების ვითარება, არც სადმე ხმის ამოღების შნო; იგი მონა არის ეველაფერის, ეველგან და ეველას წინაშე,—მონა მით უფრო, რადგანაც ჩვენს გარეშე მოწოდებია სხვა და სხვა ნაირ საქმეებთაგან გამოწვეული ბრძოლა; იგი საქმე ჩვენ მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევს, იგი ჩვენს ტომს ჯიბრს უწვევს, ჩვენ ცუდი განსაცდელი მოგვეღის; ჩვენ ბევრი უიმედობის ნიშნები გვეჩხირება ოვალწინ... მომავალ ცხოვრების დიდი ბიში გვაქვს“...*)

თუ აქ მოყვანილი ავტორის სიტყვები ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ რამოდენიმეთ მართალია და მისი მსჯელობა ნამდვილ ფაქტებზეა დამყარებული, მაშინ განა ეველა განათლებული ქართველი ზნეობრივად მოვალე არ არის, რომ ამ გაჭირვების შესამსუბუქებლად იმოქმედოს?

ჩვენ ხალხს სურს თავი დაიცვას უმეტრებისაგან, ის ეძებს მის წინააღმდეგ საშუალებას; მას სწადიან სწავლა, კითხვა.

ამ სურვილს და მოთხოვნილებას უნდა მიეგებოს ეროვლი განათლებული ქართველი და ეროვლი ამხანაგობა, რომელსაც საზოგადო ხასიათი აქვს.

„ეროვლი ერისა და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერის კეთილდღეობა და მომავალი დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად ბევრი შეგნებული, აქტიური წევრი ყეავს. ისტორიაში ბევრი ეროვლა იმის მაგალითი და დღესაც ვხედავთ. რიცხვით ჩვენოდენა ნორვერგიელი ერი, მაგრამ არა ნაკლები ადგილი უჭერია მას საერთაშორისო ცხოვრებაში, მისი შვილების ეროვლასავე ახალს სიტყვას გაფაციცებით ეურს უგდებს მთელი კაცობრიობა... და ამისი ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია საეროვლოთო სახალხო განათლება ნორვეგიაში. ჩვენც თუ გვინდა ადამიანური ცხოვრება, დიდი ეურადღება უნდა მივაქციოთ ხალხის განათლებას, მივაწვდინოთ მას გონებრივი

*) იხ. ბროშიურა „ნიკოლოზ ნიკოლაძე“. არიძის გამოცემა, გვ. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრდო, რომ უკეთ გაირკვიოს გზა, უფრო შეიარაღებულმა იბრძოლოს, უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდეს უკეთესის მომავლისკენ. თუ ბატონ-ყმობის მოსპობამ მისცა ჩვენს ხალხს უირიდიული უფლებანი, ჩვენ უნდა დაგეხმაროთ ფაქტიურად შეიძლოს საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, გვახსოვდეს ეროვნული და ეროვნულ საქმეში, რომ ჩვენთვის ერთგნული ადორძინება და ასეთი ადორძინება უნდა დაიწყონ ხალხისგან". *)

ეს მოთხოვნილება დიდი ხანია შეიგნო ქართველების უკეთესმა ნაწილმა და, ზოგიერთ პატივცემულ ჩვენ მოღვაწეთა თანხმობით, ჩვენში დაარსდა კიდეც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება".

მიზანი საზოგადოებისა, რაგორც სჩანს მისი სახელწოდებისაგან, დიდად სიმპატიური და დრმა მნიშვნელოვანია: ეს მიზანია—ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელება, ე. ი. საქართველოში უმეტრების მწყვდიადის გაბნევა და სწავლა-განათლების სხივის შეტანა.

თუ ასეთი წმინდა მიზანი დაუსახავს ადსასრულებლად ამ საზოგადოებას, მაშ ყველა ქართველი, რასაკვირველია შეგნებული და საშუალებიანი, მოვალეა გახდეს ამ საზოგადოების აქტიურ წევრად? ყველა ჩვენთაგანი, ვისაც კი ესმის თანამედროვე ცხოვრების საჭიროება და გული შესტკივა ჩვენ საშობლოს ბედ-იღბალზე, მოვალეა ხელი შეუწყოს ამ საზოგადოებას ფულით, ცოდნით და გამოცდილებით.

ყველა ქართველი, ვინც კი თავს სთვლის ინტელიგენტათ, უნდა ითვლებოდეს წევრად ამ საშვილის შვილად სასარგებლო საზოგადოებისა.

ასე უნდა იყოს, რასაკვირველია!..

*) „ივერია" 1900 წ. № 63.

უნდა იყოს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ჩვენ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა არა გვაქვს შეგნებული.

და ამ შეუგნებლობის შედეგია ის, რომ რიცხვი „წ.-კ. გამავრ. საზოგადოების" წევრებისა, ქართველთა საზოგადო რიცხვთან შედარებით, ძალიერ მცირეა და ეს რიცხვი წლით წლობამდი არამც თუ მატულობს, ხანდისხან კლებულობს კიდეც. არიან ამ საზოგადოების წევრნი, ალბათ შემთხვევით ჩაწერილნი, რომლებსაც რამოდენიმე წელი საწევრო თული არ შეუტანიათ.

გარაუდათ რომ ვიანგარიშოთ, ამ საზოგადოების წევრად 5 და 6% ჩვენი ინტელიგენტებისა არც კი იქნება ჩაწერილი.

რას ნიშნავს ეს ასეთი გულცივობა?

რასაკვირველია, ისევ ჩვენ შეუგნებლობას და დაწვრილმანებას!

ზოგიერთი ჩვენი ინტელიგენტები რაგორც ვსთქვით, ქართულ გაზეთის გამოუწერლობას და ქართულ წიგნების უქონლობას იმით ამართლებენ, რომ ვითომც ისინი უშინაარსონი არიან და ამისათვის მათ კითხვა დროს დაკარგვა იყოს.

ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ინტელიგენტები მართლები არიან. მაგრამ რანაირად გაიმართლებენ ისინი თავს, როდესაც ისეთს სიმპატიურ და საშვილისშვილო საზოგადოებას, რაგორიც არის „წ.-კ. გამავრ. საზოგადოება", გაურბიან, დახმარებას არ უწევენ, წევრებადაც არ ეწერებიან?

ვითომ ეს საზოგადოებაც უშინაარსოა? მისთვის შრომა უბრალო დროს დაკარგვაა?

ჩვენი ინტელიგენტებიდან ხშირად გაიგონებთ შემდეგს ფრაზებს: ეს უბრალო დროს დაკარგვაა, ეს წყლის ნაყვაა, ეს უბრალო ძალ-ღონის დახარჯვაა.

უნებლიეთ იფიქრებ, ალბათ ჩვენი ინტელიგენტები ისე სცხოვრობენ და მოქმედობენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეოგელ წუთს და წამს გონიერულად და შინაარსიანად ხარჯავენო.

არა, ბატონებო, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია! და ხომ მოგესენებათ, პოეტისა არ იყოს, რომ „სიტყვა-სიტყვაა, საქმე კი სხვაა“. ნამდვილად კი, თუ დაუკვირდით მათ ცხოვრებას, მოქმედებას და დროს გატარებას, დავინახავთ, რომ, მგონი, არც ერთი ერის ინტელიგენცია ისე უშინაარსოთ, უმნიშვნელოდ და უდარსად არ ატარებს დროს, როგორც ჩვენი... მართლა რაში ვხარჯავთ ჩვენ ჩვენს ძალას, ენერგიას, ჯგუფ-გონებას?

უბრალო კინკლაობაში, უმნიშვნელო დასდასობაში, აეად-მაეადში, დავაში; წვრილმან თავმოყვარეობის დაკმაყოფილებაში, შურის ძიებაში, მაზრულ პატრიოტობაში და „შენ-ჩემობაში“...

შური და სიბოროტე არც ერთს ჩვენ წოდებაში ისე არ არის გაღვიძებული და გაძლიერებული, როგორც ჩვენ ინტელიგენტთა შორის: ისინი ხშირად, ძალიერ ხშირად პატივს არ სცემენ არც ძალიერ ნიჭს, არც პატიოსან მოღვაწეობას და სიმართლეს. მათთვის საკმარისია ერთი უბრალო შემოხვევა, რომ ადენთენ შურით, დაჭკარგონ გონება, მეხსიერება და საწინააღმდეგოდ დარაზმულნენ ისეთი პირის წინააღმდეგ, რომელიც მათზე გაცილებით მაღლა სდგას ჯგუფ-გონებით, განვითარებით, პატიოსნებით, ენერგიით. ასეთი მაგალითები ბევრი ეოფილა ჩვენში და ახლაც არის.

იმ დროს, როდესაც ჩვენი თავად-აზნაურობა და დიპლომიანები უმნიშვნელოდ დროს ატარებენ, საზოგადო საქმეებს გაურბიან და პირად, ეგოისტურ სურვილ-მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძალღონეს და ენერგიას უბრალოდ ხარჯავენ, — ამ დროს ჩვენ ერთს საიმედო და სანუგეშო მოვლენას ვამჩნევთ ქართველ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს მოვლენა რაც დრო გადის თან და თან ირკვევა და უნებლიეთ ეურადღებას იქცევს. მე მოგახსენებთ ქართველების იმ ნაწილზე, რომელსაც სამუშაო, სამრეწველო და საგაჯრო საქმისათვის მოუკიდნია ხელი. ეს ნაწილი ქართველების, ახალ პირობების ზედ გავლენით, დღითი-დღე მატულობს და იზრდება. ამ ზრდასთან მას ეტყობა აგრეთვე საქმის უნარი, გამჭრახობა, მეცადინეობა, ენერგია... საამხიარულოდ ქართველმა ერმა, როდესაც გარემოებამ მოითხოვა და ის გონს მოვიდა, ისეთივე სიმარდე და გონების სიმახვილე გამოიჩინა არშინს და „ჩოთქის“ ხმარებაში, როგორც წინეთ ბასრი მახვილის ტრიალში.

რაზმი ამ ახალ წოდებისა ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ახალ ქართველთა ჯგუფისა შესდგება გაკოტრებულ აზნაურებისაგან და საამუშაოთ და ბედის საძიებლად გარდახვეწილ გლეხკაცებისაგან.

ქალაქებში—ამ განათლების ცენტრში, სადაც ეს მუშები მომეტებულად იერიან თავს,— მათ შეისწავლეს უსკოლოთ და უმასწავლებლოდ ქართული წერა-კითხვა; აქ ისინი დაუკვირდხენ ცხოვრებას: შეიგნეს ცოდნის და გამოცდილების საჭიროება. ქალაქურ ცხოვრების მიმდინარეობამ ისინი ისეთს კითხვებზე და საგნებზე დააფიქრა, რომლებიც სოფელში სიზმრათაც არ მოელანდებოდნენ: ამნაირად მათ დაიწყეს ჯგა-ბასი და კამათიც სხვა და სხვა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამეცნიერო საგნებზე... მათ შეიგნეს აგრეთვე საზოგადო საქმის მნიშვნელობა და სულით და გულით მოწადინებულნი არიან ამ საქმეს ხელი შეუწყონ და ემსახურონ...

ამ მუშების დასახასიათებლად მოვიყვანთ აქ ზ. ჯ. სიტყვებს, რომელიც მათ ცხოვრებას დაახლოებით იცნობს: „...ეოგელს საზოგადო საქმეებში, სწერს ის, ეს მუშები იღებენ მონაწილეობას: სადმე გაზეთებში ხელის მოწერა არის გამართული, უმეტეს ნაწილს ამათა რიცხვთა გვარებს ხედავს კაცი სიაში მოწერილს; სადმე რამ საქმეუნო საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთდება, აქაც იდებენ მონაწილეობას, ითუძნებენ სხვა და სხვა სასოგადო ამხანაგობას, ფულებს აგროვებენ ერთმანეთში და მოშგებიან ბიდეთებს ეიდულობენ, საერთო ქარხნებს ხსნიან, ამისთვის წესდებასაც ადგენენ; ბევრი ამათგანი მწერლობასაც მისდევს; ბევრნი სწერენ მშვენიერს დექსებს, ისტორიულს წერილებს, ადგენენ კრებებს, გროვდებიან აქაიქ და საუკეთესო მწერალთ ნაწერებს არკვევენ და კისრულობენ, მეცადინობენ, რომ თვის მოზარდ თაობაში შეიტანონ რამე სხივოსანი აზრები. ამათში სჩანს მადალი ნიჭი, ამათგან გამოდიან სრულიად ახალი ტვინის, ცოცხალი გრძნობის და სუფთა სიცოცხლის მქონი საახალო მოდგაწე გმირები,—ნარდნიკები. ესენი ეწინააღმდეგებიან ყველა უსწორ-მასწორო წესებს, უთანასწორობას, უმეცრებას, უსამართლობას... ყველა ეს იარაღი სულისა და ხორცის მექონი შრომის, მეცადინეობის და მხნეობის შვილები რეალისტები არიან. მათი ცხოვრებაც შეგნებული რეალიზმის თანხმობა არის. უნაუოფო იდეალისტობა მათში ფესს ვერ იდგამს; რეალიზმი იქნება თვით ამ მუშებმა არც კი იციან რა არის, მაგრამ მათი ცხოვრება, მათი მისწრაფება და ლტოლვა არის წმინდა რეალიზმი“...

ასეთი ოპტიმისტური შეხედულობისაა ავტორი ჩვენ მშრომელ ხალხზე! ასეთ ფერადფერად სდებავით ასურათებს მათ ზნეობრივ და გონებრივ ცხოვრება-მისწრაფებას! შეიძლება ავტორის ასეთი შეხედულობა მუშა ხალხზე ჯერ-ჯერობით გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მოსალოდნელი კი არის, რომ ახლო მომავალში ეს ცოტა ფანტაზია გარეული შეხედულობა ფაქტად გახდება... და ჩვენც ვისურვებთ, რომ ასეთი დრო ჩქარა დადგეს.

შეიძლება ამ ახალმა მოვლენამ, ამ ცხოველმყოფელმა სიზომ დანარჩენი ქართველობაც გამოადვიძოს და შეაგნებინოს თვისი აუცილებელი მოვალეობა. ეს მოვალეობა კი ჩვენის აზრით ა ი რაში უნდა მდგომარეობდეს:

ჩვენში კრგა ხანია, რაც დადგა მშვიდობიანობის დრო. ამისთვის ჩვენ გვმართებს ნაყოფიერათ ვისარგებლოთ ამ დროით: ხელი შეუწყოთ ჩვენში ეროვნულ მოწინავე იდეების და საუკეთესო მისწრაფებათა გაცნობა-გავრცელებას; ხელი მოვიდოთ ისეთს საქმეებს, გავავრცელოთ ისეთი ცოდნა, რაც ჩვენ მოქალაქობრივ და ეკონომიურად ზურგს გაგვიმაგრებს და წინ წაგვწევს; გავავრცელოთ და ადვადგინოთ საქართველოში დაცემული სწავლა-განათლება და მით ქართველთა უმრავლესობა გამოგიყვანოთ ბნელ მდგომარეობიდგან; ეს სწავლა-განათლება დავამყაროთ ეროვნულ ნიადაგზე და მით გამოვაეხიზლოთ ჩვენი მიძინებული ეროვნული თვით-ცნობიერება; საფუძვლიანათ შევისწავლოთ ჩვენი წარსული ცხოვრება, დრმად ჩაუკვირდეთ თანამედროვესაც და უცხოელებსაც გავაცნოთ ჩვენი თავი.

ერთის სიტყვით უნდა ვეცადოთ, რომ

„ცხოვრების მიზნათ სიმართლე გვქონდეს
და სიყვარული მოძმეთა—ვალად.
სამშობლო ჩვენი მარად გვახსოვდეს
თუ გვსურს, რომ გავხდეთ ადამიანად!“ *)

იპ. ვართაგავა.

---

*) მამია გურიელის ლექსი, „ადამიანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიგიენა

(წერილი პირველი)

(დასასრული)

XVII.

უსულო, უორღანო სხეულნი, მაგალ. ქვა, კლდე, მიწა, რაიმე ლითონი და სხვ. ყოველთვის იმავე ტემპერატურისა არიან, რა ტემპერატურისაც მათ გარემო ჰაერი არტყიათ, ხოლო ადამიანი და ყოველი ცხოველი თავის საკუთარ სითბოთი სცოცხლობს, საკუთარი ქურა აქვს.—მაშინ ვგრძნობთ ჩვენს თავს ჯანმრთელად და მხიარულად, როდესაც ჩვენი სხეულის სითბო დონეზეა, ნორმაზეა. ამას გვიჩვენებს **ცელზის** მიერ გამოგონილი **ტერმომეტრი.** ადამიანის ტანის სითბო არ უნდა აღემატებოდეს 37,5% (ოცდა ჩვიდმეტ და ნახევარ გრადუსს) და უნდა იყოს არა ნაკლებ 36% (ოცდა თექვსმეტ გრადუსისა), თუ ამაზე მეტს ან ნაკლებს უჩვენებს, მაშინ ადამიანი დაავადებულია. როდესაც ავადმყოფ ადამიანის სხეულს სითბო ე. ი. სიცხე 42% ზევით ავა, ანუ როდესაც ტერმომეტრი 34% ნაკლებ უჩვენებს, ორივე შემთხვევაში გულისცემა შეჩერდება. სიკვდილი აუცილებელია.

თვით ჩვენი სხეულის ბუნება, ჩვენდა დაუკითხავად ყოველთვის იბრძვის, რომ ტანის სითბო დონეზე, ზომაზე შეინახოს, საკუთარი შუა ცეცხლი არ გაანელოს და არც თუ სიცხე გადააჭარბოს. უმთავრესად კი ჩვენი სხეული ჰავას ებრძვის, რადგან როცა ჰაერი მეტად ცხელია (ზაფხულში), სხეულიც მეტად გვიცხელდება. ამ გვარათვე მოქმედებს ჩვენზე ჰაერის ყინვა-სიცივე.

ყოველ ცხოველის და ადამიანის სხეულს ხელთ აქვს ძვირფასი ბუნებრივი საშუალება, რომლის ძალითაც თავის საკუთარ სითბოს მუდმივ თანაბრად ინახავს და მით ეწინააღმდეგება გარემოცულ ჰაერის ტემპერატურას. ეს ძვირფასი და ყოვლად ძლიერი საშუალება ორგვარ პროცესიდან წარმოსდგება: ერთის მხრივ ჩვენი სხეულის ბუნება განუწყვეტლივ ჰქმნის და ჰბადავს სითბოს (სუნთქვით და მიღებულ საჭმელ-სასმელით) და მეორეს მხრივ, როცა საჭიროება მოითხოვს, მეტს სითბოს გარემოცულ ჰაერს აძლევს, გრილდება (ოფლით, ქშენით და სხვ.).—

ჰაერის მჟავბადი როცა ბუხარში შეშას სწვამს, სითბოს აჩენს, ჰქმნის,—სიცხე იბადება და ბუხარი ხურდება, ამ გვარათვე როცა ჩვენს კუჭში საჭმელი იხარშება, ქიმიზმი სწარმოებს, სითბო იბადება, ამასთანავე შესუნთქული ჰაერის მჟავბადი სისხლში შესულ საჭმლის ძალას (ნახშირს) სწვამს, ამ დროს ჩვენი სისხლიც თბება, ჩვენი სხეული ხურდება. როცა სხეულს თითონვე უჭირს, სითბოს შინვე ინახავს და თუ რო სითბო აღემატება, სჭარბობს, მაშინ ცხელ სხივებს გარეთ უშვებს, ჰაერში ჰფანტავს. მაგალითად, ზაფხულში როცა ტანს სიცხე აწუხებს, ოფლით და ორთქლით განგებ ბევრს სითბოს ჰკარგავს, რომ ამ საშუალებით ტანი გაიგრილოს.—

ზამთარში კი ჩვენი სხეული თავის ქურას უფრო აძლიერებს, შეშას (საჭმელს)

მეტს თხოულობს, სითბოს მეტს ჰქმნის. თბილ სხივებსაც თითქმის აღარ უშვებს კანიდან, იშვიათად ოფლიანდება. ამიტომაც არის რო ზამთარში საჭმელი მეტი გვინდება ვიდრე ზაფხულში. თანაც ზამთარში უფრო ხორცეულს, მსუქანს საჭმელს ვეტანებით, ღორის მსუქან ხორცსაც-კი ადვილათ ვინელებთ. სულ სხვა გუნებაზე ვართ ზაფხულში. სიცხის გამო უფრო მწვანილი, ხილი, რძე, მაწონი გვეხალისება, სუმბუქ საჭმელით ვსაზრდოობთ.

წარმოიდგინეთ ცივ ქვეყნებში ადამიანი, აუტანელი ყინვების გამო, ხორცეულსაც არა სჯერდება. ციმბირში ისე სმენ თევზის ქონს როგორც ჩვენ ჩაისა ვსვამთ. ყოველგვარი ქონი და საზოგადოთ მსუქანი საჭმელი მეტს სითბოს აჩენს ადამიანის სხეულში. ხოლო ცხელ ქვეყნებში სრულებით სხვა მაგალითს ვხედავთ—ჩინეთში, ინდოეთში, შუა აფრიკაში და სხვ. ხორციელი საჭმელი მეტადრე ზაფხულში არც კი აგონდებათ. ჩინელი მუშა კაცი ერთი მუჭა ბრინჯით მთელი დღე მაძღარია. ხალხი მეტ ნაწილად ხილით და ბოსტნეულობით იკვებება.—

მარტო ადამიანის სხეული როდი ადგია ამ გვარ თავდარიგსა. ამ გვარივე **არსებობისთვის ბრძოლა** ბუნებისაგან მინიჭებული აქვს ყოველ ცხოველს. მაგალითად, ზამთარში ნადირი და სხვა ცხოველი უფრო მეტი ბეწვეულობით იმოსება, ფრინველსაც ყუვთუკი და ბუმბული ემატება; ამიტომაცაა, რომ ცივ ქვეყნებში (ციმბირში და და სხვ.) ნადირმა ბეწვეულობა საუკეთესო იცის და ძვირადაც ფასობს.—ზაფხულობით კი ყოველი ცხოველი ხუნდება, ბეწვი სცვივა, ფრინველიც ბუმბულს იყრევინებს, გველიც კი ტყავს იცვლის ხოლმე.

ჰო და ასე, მაშ რაღა საკვირველია, რომ ადამიანმა, როგორც უფრო გონიერმა ცხოველმა, სითბო-სიცივის შესაფერად იცხოვროს.—

სითბო-სიცივემ თავის შესაფერი სატკივრებიც იცის. ზამთარმა: ხველა, მჭვალი, ფილტვების ანთება და სხვ. ზაფხულმა: თავში სისხლის ავარდნა, დამბლა, წვეთი, უმადობა, კუჭის მოშლა, ხორვეელა და სხვა.

XVIII.

ჰაერის სიმძიმე

ბუნებაში ყოველივე სხეულს და საგანს უეჭველად თავისი წონაც აქვს. ამ გვარად ჰაერსაც თავის შესაფერი წონა აქვს,—დედამიწას აწვება თავის სიმძიმით.

წარმოვიდგინოთ ჰაერის უშველებელი სვეტი, ორასი ვერსის სიმაღლე და სართულ-სართულებად დავყოთ. აშკარაა ზემო სართული ქვემოს დააწვება თავის სიმძიმით. ამიტომაც ქვემო სართულებში ჰაერი შედარებით უფრო მჭიდრო და სქელია, ხოლო ზემო სართულებში უფრო გაფანტულ გაქსაქსულია, თხელია, მაშასადამე ზღვის პირად ჰაერი უფრო „შედედებულია“ დაყურსებულია, სქლად არის, მეტს იწონს, მეტად აწვება დედამიწას. ბარზე და ზღვაზე რო ასეა, მთაზე, რა თქმა უნდა, ჰაერი თხელია. ამ გვარად ზღვის პირს რო დავშორდებით და ალმართ ალმართ მთისკენ გავწევთ, რამდენათაც ზევით ავიწევთ, იმდენათ ჰაერი უფრო თხელი გაქსაქსული და გაფანტული იქნება; რის გამოც ნაკლებ აიწონს, ნაკლებ აწვება დედამიწას და მის ყოველივე საგანსა და სხეულს.

ჰაერს, ამ გვარ ფიზიკურ თვისებით, დიდი გავლენა აქვს ჩვენს ჯანმრთელობაზე, ვინც ჩვეული არ არი მთა ადგილას ცხოვრებას, ის ვერც კი აიტანს მეტად გაქსაქსულს და სუმბუქ ჰაერს — სუნთქვას უხშირებს, უძნელდება *).

თუ რო ბარელი მთაში ეხერხულად გრძნობს თავს, აგრეთვე მთიული ბარში ვერ ისვენებს, სუნთქვა ეცვლება, ნაღვლობს და ისევ მთისკენ მიეშურება.

სულ ზემო სართულებში, ცის გუმბათისკენ, ჰაერი არამც თუ მეტის მეტად თხელი და გაქსაქსულია, იქ ჩვენი მაცოცხლებელი **მჟავბადიც** ნაკლები ურევია ჰაერში. ამას აშკარად გრძნობენ ჰაერში აფრენის დროს ჰაეროსტატიი. ამ მიზეზით დაიღუპა სამი გამოჩენილი მეცნიერი: **ტისანდე**, **სიბელი** და **კროჩე-სპინელი**. ეს მეცნიერნი ჰაერში აფრინდნენ და როცა 8600 მეტრს სიმაღლეს ასცილდნენ, საშინელი უბედურება ეწიათ. ტისანდე გულშემოყრილი დაეცა, ხოლო მისმა ორმა ამხანაგმა სული განუტევეს **მჟავბადის სიმშილის გამო**. მას აქეთია, ვინც-კი ეხლა ჰაერში საფრენად ემზადება მჟავბადიც საგძლათ თან მიაქვს — რო დაატყობს გულის წუხილს და თავბრუს დასხმას, წამსვე მჟავბადს შესვამს, შეისუნთქავს და სულს მოიდგამს.

*) ჩვენ თითონ გვახსოვს ერთი შემთხვევა. თბილისიდან გამოგზავნილი მოხელე, მიწის მზომელი (ზემდემერი), **აბულის** მთაზე ავიდა (ათი ათასი ფუტია) მიჯნების დასადგმელად, მაგრამ წამსვე წასქდა სისხლი ცხვირ-პირიდან და ცოცხალ მკვდარი ჩამოიტანეს ბარში. თქმა არ უნდა ამ კაცს იადბუზის მთაზე უარესი დაემართებოდა. ამ გვარად ეგელას როდი შეუძლია გაქსაქსულ ჰაერში სიცოცხლე და ცხოვრება.

როგორც ძლიერ ზემო სართულის ზერკნელის სუმბუქ ჰაერს ვერ უძლებს ადამიანი, ასევე, თუ რო ზღვის პირა ჰაერის სართულს უფრო ქვემოდ ჩამოსცილებია, მაშინაც ძლიერ უჭირდება სუნთქვა და სულთქმა. ჰაერის სისქის და სიმძიმეს ატანა ძლიერ უჭირდება **).

ევროპაში თითო ისეთი მაღაროა ამოთხრილი, რომ ზოგის სიღრმე თითქმის ერთს ვერს უდრის. აქ მუშებს თავსბრუ ესხმით, სისხლი წასქდებათ ხოლმე ცხვირ-პირიდან, რადგან მაღაროს ჰაერი ძლიერ სქელია, მძიმეა, დაყურსებულია.

**) გამოანგარიშებულია, რომ დედამიწის თვითვეულ ოთხკუთხი ვერშოკი 50 გირვ. ჭაერის სიმძიმეს უძლებს, იტანს. ჭასაკოვან ადამიანს ჭაერი 800—900 ფუთის სიმძიმით აწვება. ამ სიმძიმით რა თქმა უნდა ჭაერი დაგშივით გაგვაბრტყელებდა, მაგრამ ეს არ ხდება იმიტომ, რომ თვით ჩვენი სხეულის შიგნეულობა სავსეა ჭაერით. თანაც რა პირობებშიაც დავიბადენით იმავე პირობებში ვიზრდებით, ვცოცხლობთ. გარდა ამისა ჭაერი ყველა საგანს ერთ ძალდონით აწვება ყველა მხრიდან—ზევიდან, ქვევიდან და გვერდებიდან. თუ ასე არ იყოს ჩვენი მაგიდა, რადაც ვერშოკიანი ფიცარი, განა იტვირთებდა 900 ფუთის წონა ჭაერს. სცდელად ჩაის სტაქანი გაავსეთ წყალით, ზე ქაღალდი დაუფარეთ, დაადეთ ხელის გული და პირქვე მოაქცეთ, გადმოაბრუნეთ; ახლა მოაშორეთ ქაღალდს ხელის გული და მაშინ ნახავთ, რომ სიფრიფინა ქაღალდი იმაგრებს მთელ სტაქან წყალს. რატომ არ იდვრება წყალი? იმიტომ, რომ ქაღალდს ქვემოდანაც ჭაერი აწვება საშინელის ძალით, თავის ცხრაას ფუთის სიმძიმით. ერთს წამს რო ჭაერმა ეს თავის ხასიათი რაიმე სასწაულით შესცვალოს, დედამიწის ზურგზე სიცოცხლე მოისპობა.

ამიტომაც გამოცდილი მუშები ძლიერ სიფრთხილით იქცევიან—არც ის ვარგა, რო კაცი უცებ ჩაეშვას ამოდენა სიღრმეზე და არც ისა, რომ საჩქაროდ ზევით ამოვიდეს. ამისთანა ხამი მუშისთვის სიკვდილი აუცილებელია.—ხოლო გამოცდილი მუშა უეჭველად შუა გზაზე, პლატფორმაზე ისვენებს,—ამით არც უეცარი ჰაერის გამოცვლა ავნებს და აღარც თუ ნაოფლი გაცივდება.

XIX.

ჰაერის სიმძიმის ასაწონ იარაღს **ბარომეტრი** ეწოდება. ზღვის დონეზე მდგომ ხომალდზე ბარომეტრს რო დავხედოთ, გვიჩვენებს 760 მილიმეტრს. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჰაერი 760 მილიმეტრს იწონის. ატმოსფერო (ჰაერი) სწორეთ ამდენად აწვება ბარომეტრში მყოფ **სინდიკს** (ვერცხლის წყალი), ესე იგი ბარომეტრის მილში (მინისაა) სინდიკი 760 მილ. სიმაღლეზე ადის. აი ეს არის ნამდვილი დონე და წონა; ამაზედ მაღლა რამდენიც უნდა ვეცადოთ სინდიკი აღარ ავა. ზღვას მოვშორდებით თუ არა, რამდენათაც მის ნაპირიდან ზევით და ზევით ავიწევთ, იმდენათ ბარომეტრის მილში სინდიკი ქვევით და ქვევით დაიწევს. ამ გვარად თუ რო ბათუმში ჰაერის სიმძიმე დიდია, აჭარაში ნახევრად შესუმბუქდება. ხოლო სოფ. ყაზიბეგს და მეტადრე მის ახლო მთაზე მყინვარზე ჰაერი ძლიერ ცოტას-ღა იწონის.

როცა ჰაერი თბება, სუმბუქდება; ცივი ჰაერი კი უფრო მძიმეა. ამიტომაც როცა ბარომეტრით სარგებლობენ ეს გარემოება უეჭველად აქვთ მხედველობაში. ამიტომაც კარგს ბარომეტრს, თან უნდა კარგი ტერმომეტრიც ახლდეს. თანაც, ნოტიოთი ზომიერად შეზავებული თბილი ჰაერი უფრო ნაკლებ იწონის (ნაკლებ აწვება ბარომეტრში მყოფ სინდიკს), ვიდრე ნოტიოთი გაჟღენთილი ცივი ჰაერი.

XX

ქ ა რ ი

უშველებელი ჰაერის ოკეანო, რომელიც ჩვენი დედა მიწის ბურთს გარს ახვევია, განუწყვეტელ მოძრაობაშია. ხოლო ეს მოძრაობა ზოგჯერ წრეს გადადის, სიო-ნიავის და ქარის მაგიერ ქარიშხალად, გრიგალად გადაიქცევა ხოლმე—ზღვას აღელვებს და ქვეყანას ჰგლეჯს. უმთავრესი მიზეზი ჰაერის ასეთი მოძრაობისა ანუ ქარისა, პირველ ისაა, რომ თვით დედამიწა საშინელის სისწრაფით ციბრუტივით ტრიალებს. და მეორეც ესა, თითონ ჰაერიც ყველა ადგილას ერთის ტემპერატურისა არ არის—ზოგან ცხელია და ზოგან ცივი, ამიტომაც ჰაერი ერთს დონეზე ველარ ჩერდება. თვით ჩვენს ოთახში ჰაერი განუწყვეტლად მოძრაობს—შინა ჰაერი გარეთ იწევს, გარე ჰაერი შინ *).

ზემო უკვე მოვიხსენიეთ, რომ მზე დედამიწის შუა-გულს (ეკვატორს) თონესავით

---

*) სანდელად, ცოტათი გამოდებულ კართან იატაკზე დასდგით ანთებული სანთელი. სანთლის ალი მაშინათვე ოთახისკენ გამოიწევს, რადგან გარეთა ცივი ჰაერი მძიმეა, ძირს იატაკს ეფინება და შინ მოიწევს.

ახლა სანთელი იმავე კართან მაღლა დაიჭირეთ ჭერთან, მაშინ სანთლის ალი გარეთ გაიწევს, რადგან ოთახის თბილი ჰაერი ცივზე სუმბუქია, მაღლა მოგრეოვილა და ახლა გარეთ იწევს. აი ასე წარმოსდგება ქვეყნიერებაზე ქარი.

ძალზე ახურებს. ხოლო ნაპირები, პოლიუსები, მზის სითბოს ძლიერ მოკლებულია. სწორედ ეს გარემოება იწვევს ჰაერის ნაკადულთა მუდმივ მოძრაობას, რომელსაც ჩვენ **ქარს** ვეძახით.

თბილი ჰაერი სუმბუქია, მაღლა ადის, ცისკენ იწევს; ცივი ჰაერი-კი მძიმეა ძირს ეფინება. ამიტომაც უშველებელი გროვა ჰაერის ცხელი ქვეყნებიდან მაღლა-მაღლა მომდინარეობს, ხოლო ცივი ქვეყნებიდან ჰაერი ძირის სართულებში მიჰქრის.

სხვა და სხვა დროს ქარს, სხვა და სხვა სისწრაფე და ძალაც აქვს. ამ გარემოებასაც ჰიგიენა დიდს ყურადღებას აქცევს, რადგან ქარს იმ ჰავაზედაც დიდი გავლენა აქვს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. მაგალითად, ცხელი ქვეყნებიდან წამოსულს თბილ ქარს სითბო მოაქვს, სინოტიეს აშრობს ანუ ახმობს; ჩრდილოეთის ცივი ქარი კი ჰავას გვიგრილებს, ხოლო ზღვიდან წამოსული სველი ანუ ნოტიო ქარი ქვეყანასაც ანოტიებს. ყველა ამას, რა თქმა უნდა, ჰავაზე აქვს დიდი გავლენა და ჰავას კი ჩვენს ჯანმრთელობაზე.—

იმერეთში, აღმოსავლეთ საქართველოდან რომ ხმელი ქარი დაუბერავს, თუ ხშირად იქმნა—ქვეყანას ღუპავს—ჰაერს აშრობს, ახმობს, ჭირნახულს აოხრებს და სასუნთქველადაც ძნელი ხდება, ხოლო როცა ზღვიდან, დასავლეთიდან წამოვა ჰაერის ნაკადული (ქარი) სინოტიეს ჰფენს, ყველაფრისთვის კარგია, სიცოცხლეა... მაგრამ თუ ზღვიდან ქარი ხშირია, მაშინ-კი გადაჭარბებული სინოტიე ჭირნახულს ალპობს და ადამიანის ჯანმრთელობაზედაც ძლიერ ცუდად მოქმედობს... ის წელიწადია დასავლეთ საქართველოსათვის ყველაფრით ბედნიერი, რა წელიწადსაც ორივე ქარი ხელს უწყობს, თავის დროზე და ზომიერათაც ჰქრის.—

ამის გარდა ქარს შეუძლიან მაგალითად ჩვენში გაძლიერებული რამ ჭირი თან წაიღოს, თავიდან მოგვაშოროს; სამაგიეროთ ისიც შეუძლიან, რომ სხვა ქვეყნიდან ჩვენსა გადმოიტანოს, თავს დაგვატეხოს ჭირი მთელის თავის ძლიერებით და ვაებით *).

ქარს მაშინაც დიდი ვნება მოაქვს, როცა ქუჩებს და შარა გზებს ჰგვის და მტვრიანი ჰაერით ფილტვებს გვივსებს.

საქართველოში თითქმის ყველგან გა-

---

*) რო ასეთი ძალა და უნარი აქვს ქარს, ეს შემდეგი მაგალითებიდანაც სჩანს. მეზღვაურთ დიდი ხანია შემჩნეული ჰქონდათ **წითელი წვიმა** და ვერ კი მოესაზრათ მიზეზი. ბოლოს აღმოჩნდა რომ ათრიკის უშველებელ უდაბნოდან, სახარიდან ქარს გადმოაქვს, 200 ვერსის სიშორეზე ერთ გვარი წითელი მტვერი. ჰაერში ატაცებულ ამ მტვერს თუ წვიმა შეხვდა წვიმის წვეთებს ღებავს და წითელი წვიმა მოდის. მოსეს რო ისრაელები მოჰყავდა და გზაზე **მანანამ უწვიმა**, ეგ სასწაული დღესაც ხდება—ქარი აიტაცებს ხოლმე ბუჩქებიდან მანანას და მერმე წვიმასავით სხვა ადგილს ცვივა. ცარცის მთებიდან გრიგალს მტვერი აქვს ჰაერში და თუ წვიმა შეესწრო—იღებება, **რძის წვიმა** მოდის. ერთხელაც მოხდა, რო სათიბ მინდვრებს და ახლო ტყეს ცეცხლი მოეკიდა და ბოლის უშველებელი გუნდები დრუბლებივით ცაში ადიოდა. ქარისაგან წამოდებულ ბოლის დრუბლების გამო ასის ვერსის მანძილზე სხვა ქვეყანაში **შავი წვიმა** მოვიდა. ტრუ-მოჩრწმუნე ხალხს ეგონათ, რო „ახლა კი **მეორეთ მოსვლა მოვიდაო**“. ასეთი ძალის ბატარონმა ქარმა რადა გასაკვირველია, რომ სხვა და სხვა გადამდები ჭირის ბაციდა-ბაქტერია ერთი ადგილიდან მეორეში გადაიტანოს.

ნუწყვეტელად ჰქრის, მეტადრე ქართლში. ზაფხულში თუმცა ჰაერს გვიგრილებს, მაგრამ როცა დაჟინებული და ძლიერია, ქეიფს გვიფუჭებს, მეტადრე მას ვინც ნერვებით ავადობს, ხოლო ზამთრის ქარი სწორეთ რო აუტანელია.

შედარებით ჩვენში სულაც არ იცის დიდი ზამთარი და ყინვა, მაგრამ ქარის გამო კი ყინვისა და სიცივის ძალა მთლად სხეულსა სჭვალავს—ძვალსა და რბილში გვიჯდება.—ამგვარად ჩვენში თუ 10—15 გრადუსი სიცივე (ქარის გამო) ძნელად ასატანია, რუსეთში 40% ყინვასაც უძლებენ, რადგან არამც თუ ქარი, ჰაერი სრულებით არ ინძრევა, თითქოს ესეც გაყინულიაო.

ქარი, მეტადრე ჩვენში, ათას გვარ სატკივრების მიზეზად ხდება: მჭვალი ანუ ფილტვების ანთება, მუხლებში ქარი ანუ მტეხიაროობა საღსრებისა, ხშირად გაციება და სურდო-ხველა, ინფლუენცა, ყველა ეს სატკივრები უფრო ქარიან ზამთარში ვრცელდება.

ილ. ალხაზიშვილი.

3 დეკემბერს 1911 წ.
ქ. ახალ-ქალაქი.

მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

VI.

ახლა მ. მგონია ურიგო არ იქნება ისიც გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს სისხლი, ან რა თვისებისა იგი: სისხლი ერთნაირი სითხეა. იგი მთელს სხეულს, სხეულის ყოველს ნაწილს და უჯრედს უზიდავს სიზრდოს და ერთმევს მისთვისს უკვე უვარგისს და მავნებელ ნივთიერებათა; ამიტომ თუ სხეულის რომელსამე ნაწილს იგი მოაკლდა, იწყება ასეთი ნაწილის შიმშილობა, რასაც შედეგათ ამ ასოს განლევა ან სიკვდილი მოჰყვება.

ფერით სისხლი ან ძალიან წითელია და ან მოშავო—ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ მასში რამდენი მჟავბადია გახსნილი. უბრალო, შეუარეველი თვალით რომ დახედო სისხლს, იგი თითქმის ერთნაირის ნივთიერებისგან შედგენილი გეგონება, მაგრამ თუ მისკროსკოპით გასინჯავ—ნახავ, რომ მასში რამოდენიმე ნაწილია: სისხლის წრბოლი ან „ბლაზმა“ და სისხლის მართულები ან სორსლები. სორსლებიც ყველა ერთნაირი როდია. მაგ. არჩევენ მასში სისხლის წითელ სორსლებს, უფერულსა და ბრტყელ სორსლებსა. ეს სორსლებიც სხვა და სხვა თვისებებისა და მოქმედებისაა. წითელი სორსლები ერთობ რბილი, სათუთი და გამწყვია, რის გამოც ისინი ადვილად იცვლიან თვისს სახე-მოქმედებას და თავის მიმოქცევის დროს ადვილადვე ეგუებიან ბეწვეული მილების სივრცეს. მაგრამ ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ისე მათ განსაკუთრებული მოძრაობის უნარი არა აქვთ. ისინი მხოლოდ სისხლის წრბოლის შუაგულში დატივტივობენ. ამ სორსლების წითელი ფერი დამოკიდებულია ერთ ნაირ ნივთიერებაზე, რომელსაც „ჰემოგლობინი“ ეწოდება. ეს „ჰემოგლობინი“ ხარბად ითვისებს მჟავბადს და მითი იყენებს. ამ სორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლების რიცხვი ადამიანის სხეულში მთელი სისხლის ასე 30%—40% უდრის. ან ერთ კუბიკურ მილიმეტრს *). მამა-კაცის სისხლში ხუთი მილიონია. დედა-კაცებს იგი ცოტა ნაკლები აქვთ. საზოგადოთ მათი რიცხვი დამოკიდებულია სქესზე, წლოვანებაზე, საზრდოებაზე და ჰაერზე. სრულ წლოვან და ნაპატივებ ვაჟკაცს მეტი აქვს, ვინემ დედაკაცსა. სოფლის მცხოვრებლებს მეტი ვინემ ქალაქელებს. ამ სორსლების სიმრავლეზეა დამოკიდებული ადამიანის ფერი და უმეტესს შემთხვევაში მისი ჯანი და ღონეც. ამიტომაც არის, რომ სოფლელებს უფრო წითური დაუდაჟა ფერი აქვთ, ვინემ ქალაქელებსა, რომლებიც უფრო ხშირად ფერ მკრთალნი არიან.

სისხლის უფერული სორსლები შეხედულებით უფრო თეთრი არიან და თან დაუოდიდი მოძრაობის უნარი აქვთ ბუნებისაგან მინიჭებული, ამის წყალობით იგინი ხშირად იცვლიან თავის სახეს, ძვრებიან სისხლის სადენ მილების კედლებში და სხეულის ქსოვილებში და ახლა რომ აქ არიან, პატარასანს იქით იქ ამოუოფენ თავსა. იგინი თითქმის ყოველგან არიან. ამას გარდა მათ კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება აქვთ: იგინი ულაპაკენ და ინელებენ, როგორც უსულო პაწაწკინტელა ნაწილებს და ნივთიერებათ, ეგრეთვე მიკროორგანიზმებს, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტათ საშიშარნი არიან. ამასთანავე თითქოს უნოსვა ჭქონდეთო განვითარებული იგინი კარგათ არჩევენ სხვა და სხვა ნივთიერებათ, ზოგს გაურბიან, ახლოს არ ეკარებიან და ზოგისკენ კი მიისწრაფიან. მიკრობების ჩაულაპა და მონელება სისხლის თეთრ სორსლებს ამ ნაირათ შეუძლიათ: როდესაც სხეულში რომელიმე მიკრობი ჩაუთესლება, სისხლის თეთრი სორსლები უტებიტოობენ ამას, აქეთ მოისწრაფიან და გარს ერერტუმიან მიკრობს. თვისი ტანიდგან გამოუშვებენ პაწაწკინტელა ბუსუსებს, რომელსაც მეცნიერებმა ტრუ ფეხები დაარქვეს, ჩაბღუჭავენ მას, მიიზიდვენ და შემდეგ თვისი ტანის გარსს შიგნით მოიქცევენ. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სხეულისათვის. ამ სორსლების საშუალებით სხეული თითონვე ებრძვის მასში დამკვიდრებულ საშიშრობას — ავადმყოფობის წარმომშობ მიზეზს და ცდილობს მის თავიდან მოშორებას. თანამედროვე საექიმო მეცნიერების შეხედულებით კი თითქმის ყოველი ავადმყოფობის გამჩენი და წარმომშობი მიზეზი მიკრო ორგანიზმებია, ეს დაუძინებელი უხილავი მტერი ადამიანის ჯანმრთელობის და ბედნიერებისა. ამ შემთხვევაში სისხლის თეთრი სორსლები ჩვენი სხეულისათვის გონიერ ბუნების მიერ დანიშნულ ნამდვილ მაშველ ჯარს წარმოადგენენ. როგორც ზევით ვთქვით, შევა თუ არა სხეულში მიკრობი, თეთრი სორსლები გარს ერტუმიან მას და ცდილობენ დროზე გაანადგურონ და თავიდგან მოიშორონ ეს ჩვენთვის საშიშარი არსება. იწუება ჩვენთვის დაფარული, მაგრამ ჩვენდა სასარგებლოთ მომართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ერთის მხრით ბაკტერიები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გამრავლდენ და თავის შხამით მოწამლონ, როგორც თეთრი სორსლები ისე მთელი სხეული. მეორეს მხრით თეთრი სორსლებიც გაფაციცებით მოძრაობენ, ბეჯითად იწერენ იმათ, ულაპაკენ და ინელებენ. ასეთი შესასიშნავი თვისებისათვის გამოჩენილმა მეცნიერმა მეჩნიკოვმა, ამ სორსლებს „მულაპელი სორსლები“ ან „ფაგოციტები“ უწოდა. და სხეულის სასარგებლოთ მიმართულ მათ მოქმედებას კი „ფაგოციტოზი“.

ყველა ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჯანმრთელობისათვის. თეთრი სორსლე-

*) მილლიმეტრი—მეტრის (22½ გოჯის) ერთი მეათედი ნაწილია.

ბი მუდამ ცდილობენ სხეული განსაცდელისაგან იხსნას; ებრძვიან მასში ჩამოთესლებულ საშიშროებას, და რაკი ერთხელვე იმარჯვებენ ავადმყოფობის წარმოშობ მიზეზზე, ეჩვევიან მათთან ბრძოლას, და შემდეგაც ერევიან მას თუ ინიციობაა სხეულში კიდევ როდესმე ასეთმა ავადმყოფობამ მოინდომა დამკვიდრება. ამის გამო, რომ სხეული იხდის ზოგიერთ ავადმყოფობას, მერმე ადარ შეექნება იგი.

ასეთია ჩვეხი სხეულისათვის სისხლის ორნაირი სორსლების დანიშნულებაა, ერთი უზიდავს მას მყავბადს და საზრდოს და მეორე იცავს მას განსაცდელისაგან. თუ რას აკეთებენ მესამე ნაირი სორსლები (ბრტყელი სორსლები) ეს ჯერ კიდევ კარგათ ვერ გამოურკვევიათ. საზოგადოთ სისხლი თუ სხეულიდგან გამოვიდა, იგი მაშინვე შედედდება და იკვრება. ამას კი დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის სისხლის შეკავების საქმეში. იგი აადვილებს ჭრილობიდგან ჯერ სისხლის დენის შეწყვეტას და მერმე ჭრილობის მორჩენას; რად და რანაირათ ამას შემდეგში დავინახავთ.

თეთრი სორსლები და სხვა და სხვა ნივთიერებაა შემადგენელი ნაწილი იმ მეორე სითხისა, რომელიც სისხლსავით მთელ ჩვენს სხეულში დადის და რწყავს იმას. ამ სითხეს წრბოლი ან ლიმფა ეწოდება. მისი სადენი მილები ბადესავით არის მოფენილი მთელს ჩვენს აგებულებაში, აქვს ამას აგრეთვე თავისი ჯირკვლებიც. ზოგი მათგანის ნახვა ოქვენ ადვილად შეგიძლიათ, მაგ. კისერში, იღლიებში და ბაგეებში, სადაც მათ საზრდულები ეწოდებათ და სხვაგან. ხშირად, ავადმყოფობის დროს, ეს ჯირკვლები შეუსივდებიან ხოლმე ადამიანსა. განსაკუთრებით ხშირათა აქვთ იგი გასივებული სუსტი აგებულების ბავშვებსა და ამ შემთხვევაში ძალაუნებურათ იბერობენ ჩვენს ყურადღებასა.

ლიმფა რძესავით თეთრი ფერისაა, წარმოადგენს საკმლისაგან შემზადებულს და ნაწლეგებიდგან შესრუტულ სითხეს—წალას, რომელიც აქიდგან გულის მარჯვენა წინ გულში მიდის, შემდეგ სისხლში გარეული ჯერ ფილტვებში, და მერმე გულის მარცხენა კოჭობის მოქმედების გამო მთელს სხეულს დაუვლის.

ამ ნაირათ შენ ხედავ, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენს აგებულებაში ყველაფერი დიდის ბეჯითით და მოფიქრებით არის მოწყობილი, რომ ადამიანის არსებობას თუმცა ეოველ ფეხის გადადგმაზე ელის საფრთხე, მაგრამ თვით ბუნებამ ისე დარაზმა მასში ეოველი ძალები, რომ უმეტესს შემთხვევაში სხეული იმარჯვებს არსებობისათვის სტეხილ ბრძოლაში. ადამიანის მოგალეობაა თავის გონიერი ქცევით ხელი შეუწყოს ამ გამარჯვებასა...

ექიმი **ევ. გ. ლოსაბერიძე.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

I.

ვინც ოდნავ მაინც ჩაკვირვებია პედაგოგიური პრაქტიკის ბუნებას, მან ალბათ იცის ყველა ის ოღრო-ჩოღრო, რომელიც ასე მდიდრულითა და უხვი ხელით არის მის ზესკნელზე გაფანტული. მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის ისე შავი და ბნელი, ისე საშიში და სახიფათო, როგორც ერთი. იგი პედაგოგიური პრაქტიკის თვით შუაგულშია ამოთხრილი, და ამიტომაც არის, რომ მასთან ანგარიშის გასწორება ყველას უხდება.

ჩვენ სახეში გვაქვს ის უფსკრული და ის უძირო ზღვა, რომელიც აღმზრდელისა და ასაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩაგუბებულა და მათს ძირითად გაუგებრობას საფუძვლად უდევს.

როგორია აღმზრდელის მისწრაფება? ეს ჩვენ უკვე ყველას მოგვეხსენება. იგი აღზრდის ობიექტის მოზარდის კეთილდღეობის გამჭედათ მოდის, მისს კეთილდღეობას ესწრაფვის. აი მისი მიზანი. მოზარდიც თავის კეთილდღეობისაკენ ილტვის, მაგრამ იმავე დროს აღმზრდელს გაურბის, მის სურვილებს არ ემორჩილება. რა არის ამ საკვირველი მოვლენის მიზეზი? აშკარაა, აღზრდის პროცესის ორ მომენტს, აღმზრდელსა და მოზარდს სხვა და სხვა ნაირათ აქვთ კეთილდღეობა წარმოდგენილი. ერთი სულ სხვა შინაარსით ავსებს ამ ცნებას, და მეორე კიდევ სხვით.

როგორ უნდა ესმოდეს კეთილდღეობა პირველს? რას უნდა აფასებდეს იგი პიროვნებაში და რას უნდა ესწრაფოდეს? იგი აქტიური მომენტია აღზრდაში. იგი მატარებელია განსაკუთრებული იდეალებისა, რომელთა სინამდვილეთ გადაქცევასაც ის თავის მოღვაწეობის დანიშნულებათა სთვლის. მაგრამ როგორი ხასიათის უნდა იყოს ეგ იდეალები?

აღზრდა რთულს საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს. სადაც არ არსებობს საზოგადოება, იქ არც აღზრდა იქნება, და სადაც სუსტია საზოგადოებრივობა, იქ აღზრდის პრაქტიკაც ძნელათ თუ გასცილდება ოჯახის ვიწრო ფარგლებს. ამის დამტკიცება ადვილია, როგორც ლოღიკურად ისე ისტორიულათაც. ჯერ ისიც საკმარისია, რომ აღზრდის მცნება ორ მომენტს თხოულობს, რომელთა ურთიერთ გავლენაც ჰქმნის მას. პირველი არის აღმზრდელი და მეორე ასაზრდელი. მაშასადამე აღზრდა წმინდა ინდივიდუალური ცნება ვერ იქნება.

ამ ორ მომენტს შორის ერთი აკტიურია და მეორე პასივური; პირველი მოქმედობს და მეორე ამ მოქმედებას განიცდის. პირველის მოქმედება საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს და მეორეს სურვილთ ყურს არ ათხოვებს. ეს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივები, როგორც ერთად ერთი მიზეზი აღმზრდელის მოქმედებისა, თვით **აღზრდის მიზანთ** წარმოადგენს. მაშასადამე მიზანი აღზრდისა აუცილებლად აღმზრდელის საკუთარ კუთვნილებას შეადგენს.

მაგრამ რა სახისაა აღმზრდელის ის მოტივები, რომელნიც აღზრდის მიზნობას სწევენ?

პირველ ხანებში, როდესაც საზოგადოებრივობა ჯერ კიდევ ვერ იყო საკმაოთ განვითარებული, აღმზრდელი მამა ან დედა იყო. და იგიც თვისი შვილის აღზრდის დროს მხოლოდ თვისი საკუთარი ოჯახის ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მას სურდა, მისი ბავშვი სასარგებლო ადამიანი გამოსულიყო იმდენათ თავისთვის არა, რამდენათ მთელი ოჯახისათვის და ბავშვის კეთილდღეობას იგი სწორეთ ოჯახის კეთილდღეობაში სჭვრეტდა. იგი მას, როგორც ოჯახის წევრს ესმოდა. ასე შეაქცია ზურგი პირველ ყოფილ ხანებში აღზრდამ პიროვნების სწრაფვათ და ასე დაემქვემდებარა იგი იმ თავითვე გარეშე მოსაზრებათ.

ასე იყო მაშინ, მავრამ ასეა დღესაც, სადაც კი საზოგადოებრივობა ნაკლები ტემპით მიიწევს წინ. მშობელი ბავშვსა ზრდის და ამ აღზრდაში იგი ბავშვის კეთილდღეობის მაგიერ საკუთარი ოჯახის ინტერესებით ხელმძღვანელობს.

მაგრამ განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანი ოჯახის კედლებს გარდალახავს და შემადგენელ ნაწილათ უფრო რთული ერთეულის სხეულს ედულება. იგი წევრი ხდება საზოგადოებისა, სახელმწიფოსი. და მისი აღზრდა ოჯახის ფარგლებს უსხლტება და საზოგადოების ან სახელმწიფოს სპეციალურის პედაგოგიურ დაწესებულებებში, სკოლებში სრულდება. ამით აღზრდის მიზნებიც თავის ოჯახურ ელფერსა ჰკარგავს და სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ემორჩილება.

ასე იღებს აღზრდა სოციალურ ხასიათს. ასე ჰკარგავს იგი პიროვნებასთან კავშირს.

თუ ყველა ეს მართალია, თუ აღზრდა იმ თავითვე პიროვნულ ელფერს მოკლებული იყო, თუ იგი მუდამ რთული ერთეულის, ოჯახისა და საზოგადოების ინტერესების სამსახურს ეწეოდა, მაშინ აშკარაა, რომ ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, ასაზრდელის რწმენით ხშირათ უბედურობა და წამება იქნება; და რაც აღმზრდელისათვის სასწრაფო და სალტოლველია, ის ასაზრდელისთვის საშიში და სახიფათო იქნება. აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით სჭვრეტს ამ კეთილდღეობას და ასაზრდელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურათ.

ასეთია ის რადიკალური ბოროტება, რომელიც შუაზე პობს აღზრდის პროცესს და მისთვის აუცილებელ ჰარმონიაში იმ თავითვე დისონანსი შეაქვს.

ეს ბოროტება ძირითადია და ამიტომ ყოველ აღზრდას ახლავს თან; ოჯახის ფარგლებში იქნება იგი ნაწარმოები თუ სკოლაში,—ეს სულ ერთია,—ჩვენ ყველგან ერთსა და იმავე ბოროტებასთან გვექნება საქმე.

თანამედროვე პირობებში ჩვენი ახალგაზდობის აღზრდამ განსაკუთრებული, აუცილებელი სახე მიიღო, დღეს ჩვენთვის სავსებით წარმოუდგენელია ისეთი აღზრდა, რომელიც სკოლის ზღუდეთა გარეშე სრულდებოდეს. დღეს სკოლა აღზრდის აუცილებელ ეტაპათ გადიქცა! ამით კი იმ ძირითად ბოროტებას კიდევ ახალი მიემატა. მაგრამ რაში მდგომარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს ეს ახალი ბოროტება? სკოლის უმთავრესი და აუცილებელი თვისება ის არის, რომ იგი ესეთ ნიმუშს ქმნის, რომელსაც მრავალ პიროვნებას უქვემდებარებს, და ამით შესაძლო ეკონომიას აღწევს. იგი მიზნათ ისახავს განსაკუთრებული ცოდნის პროგრამას და მრავალ შეგირდს ერთსა და იმავე დროს და ერთისა და იმავე საშუალებით ამ პროგრამას ათვისებინებს. იმას კი არ ჰკითხულობს, არის თუ არა შესაძლებელი სხვა და სხვა ფერი ინდივიდუალური თვისებებით აღჭურვილი პიროვნება ერთ ყალიბში გავავლოთ, ერთსა და იმავე მოთხოვნილებას დაუქვემდებაროთ. არა, კიდეც რომ სურდეს სკოლას მრავალ ინდივიდუალურ თვისებათა სახეში მიღება და სწავლების დროს პრაქტიკაში გამოყენება, იგი ამას მაინც ვერ შესძლებს.

რატომ? პასუხი აშკარაა. განა შესაძლებელია იქ ყოველი თითოეული პიროვნების თვისებათ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა ყურის-გდება და ყველა ამისთვის ანგარიშის გაწევა, სადაც თვით საქმის ორგანიზაცია ამას ძირიანათ ეწინააღმდეგება?

სკოლა კი არსებითად პირის-პირ უდგია ასეთ ანგარიშის გაწევის შესაძლებლობას. იგი მოითხოვს **ერთ დროულათ** ერთისა და იმავე მასალის გადაცემას **მრავალი** პიროვნებისათვის. ერთი და იგივე მასალა ერთსა და იმავე დროს მრავალ პიროვნებას ხომ მხოლოდ **ერთი განსაკუთრებული საშვალებით** გადაეცემა! მათი პირადი თვისებანი კი სულ სხვა და სხვა მასალას თუ არა, სხვა და სხვა საშუალებით გადმოცემას მაინც მოითხოვენ.

სჩანს, სკოლა უკვე თავისი ძირითადი თვისებით ეწინააღმდეგება სწავლების დროს მოწაფეთა ინდივიდუალურ თვისებათა სახეში მიღების შესაძლებლობას; სჩანს, იგი ამ მხრით არ წარმოადგენს ისეთ ნიადაგს, სადაც შესაძლებელია პირად თვისებათა გახარება და გაძლიერება; პირიქით, იგი ჰკლავს ასეთ თვისებებს და ყველა ადამიანს ერთი სახით ჩამოყალიბებას უქადის. ამ მხრით თანამედროვე შვილის განათლება ფაბრიკის წარმოებას წარმოადგენს, რომელიც უპიროვნო და უსახო ეგზემპლიარების წარმოშვებაში ვარჯიშობს.

ამით სკოლაში თავიდანვე ერთგვარი წინააღმდეგობა ჩნდება, რომელიც აღმზრდელის მოქმედებასა და ასაზრდელის მისწრაფების შორის იჩენს თავს.

რაში მდგომარეობს ეს წინააღმდეგობა? მასწავლებელი ბავშვის გონებრივი განათლებისაკენ მიილტვის; მაგრამ სკოლაში მას მრავალ მოწაფესთანა აქვს საქმე. ამიტომ იგი იძულებულია თავისი მიზნის მისაღწევათ მხოლოდ ერთი გზა აირჩიოს, ერთი საშუალება იხმაროს, რომელსაც სახეში მუდამ ყველას ინტერესი, ყველას გემოვნება ექნება. ეს გარემოება კი შეუძლებელ ჰყოფს, რომ ყოველი თითოეული მოწაფე კმაყოფილი იყოს იმ სწავლების წესით, რომელიც ყოველ სკოლაშია აუცილებელი. ყველა აქედან აუცილებელი ხდება ძალა დავატანოთ ბავშვს, რომ იგი სწავლების საერთო წესს დაემორჩილოს და ამ სახით გარედან ნაჩვენებ გზას დაადგეს. ძალდატანება კი თავისუფალ სურვილს, ინტერესს, გატაცებას ჰკლავს; უამისოდ კი შრომა ნაყოფიერი არას დროს არ იქნება. ამიტომაც არის, რომ თანამედროვე სკოლის განათლება ფრიად ვიწრო, შემოფარგლული ხასიათის არის; და საზოგადო გონების განვითარებისთვის ხშირათ

სრულებით უნაყოფოთ, უგავლენოთ რჩება ის, რაც რვა-ცხრა წლის განმავლობაში ასეთი ოფლის ღვრით და ხშირათ ზეადამიანური ენერგიით შეგითვისებიათ, გადაგიღეჭავთ, მაგრამ საკმარისი სიმტკიცით მაინც ვერას გზით ვერ აღგიბეჭდავთ თქვენს მეხსიერებაში.

დიახ, მხოლოდ ეს ძალდატანება არის, რომ მოსწავლეს ინტერესსა და აღფრთოვანებას უკლავს და ამიტომ მისს სკოლაში დაკარგულ ენერგიას უნაყოფოთ სტოვებს.

ვის არს გაუვლია თანამედროვე სკოლის განათლების გზა, მაგრამ ვინ არ იცის იმავე დროს, რომ ამ ნარ-ეკლით მოფენილ გზაზე სრბოლა თითქმის ყოველთვის უმიზნო აღმოჩენილა და ჩვენი ცნობიერების ზრდაზე საკმარისი გავლენა არ მოუხდენია. ეს ყველამ იცის, და ამიტომაც არის, რომ უმეტეს ნაწილათ ჩვენ სკოლაში შეთვისებულ ცოდნას ასე ალმაცრათ ვუყურებთ და ნამდვილს გონებრივ განვითარებას მხოლოდ ისეთ შეგირდებში ვეძიებთ და ვპოულობთ კიდეც, რომელნიც სკოლაში სასწავლო საგნებს იმდენათ არ ეტანებიან, რამდენათაც გარეშე წიგნების კითხვას. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან სკოლის საგნებისადმი ინტერესი ბავშვს უმეტეს ნაწილათ არა აქვს, გარეშე წიგნების კითხვას კი თავისი ინტერესის ძალით ეტანება, და ამიტომ, ძალიან უსისტემოც რომ იყოს იგი, ბავშვის ცნობიერებაში საგრძნობ რეზულტატს მაინც სტოვებს.

ასეთია სწავლება სკოლაში. მაგრამ არც აღზრდა არის უკეთეს მდგომარეობაში. მასაც ისეთსავე ნიადაგზე უხდება მოქმედება, როგორც სწავლებას, და ამიტომ ისიც ისეთსავე ნაყოფიერებას იჩენს, როგორსაც სკოლის პირობებში ნაწარმოები სწავლა-განათლების საქმე. სხვაფრივ შეუძლებელიც არის. მართლაც, როგორ შეიძლება მოზარდმა მისს საკეთილდღეოთ მიმართული მოღვაწეობა აღმზრდელისა შეიგნოს და ღირსეულათ შეაფასოს? აღმზრდელს ხომ ასეთ შემთხვევებში სულ სხვა მოსაზრებანი ამოქმედებენ, ვიდრე ისეთები, რომელნიც ამ წამს მოზარდს აინტერესებენ.

ეს უკანასკნელი თავისი პირადი ინტერესების მცველი-დარაჯია, იგი მათ ემსახურება და სხვისაგანაც ნათს სამსახურს მოითხოვს. მაგრამ მას არც ეს აკმაყოფილებს. შეიძლება თქვენ მხოლოდ მის ინტერესებს ემსახურებოდეთ, და ნამდვილი ასეთი სამსახური მოითხოვდეს, რომ სწორეთ დღევანდელი წუთიერი სიამოვნება მომავალი ხანგრძლივი კეთილდღეობის უზრუნველყოფას ზვარაკათ შესწიროთ. შეიძლება ეს პირდაპირ აუცილებელი იყოს მისივე პირადი მომავალი კეთილდღეობისათვის. ასეთ შემთხვევაში გონიერება მოითხოვს, მყობადი აწმყოს შესწიროთ, მცირე სიამოვნება დიდსა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ. მაგრამ მოზარდი სულ სხვაგვარათ ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასდროს და ვერაგზით ვერ ანაცვალებს. იგი მომენტით სცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავისს აწმყოს მთელი მისი სიამოვნება — არა სიამოვნების გრძნობებით — და მუდამ სასტიკი მოწინააღმდეგე იქნება ყველა იმისი, ვინც ამ მხრით მისს ბუნებრივ სურვილთა განწყობილებას წინ გადაეღობება.

აღმზრდელი კი მთელი თვისი აღმზრდელობით, მზრუნველობით ძირიან-ფესვია-

ნათ პირისპირ ეჯახება მოზარდის ასეთ განწყობილებას.

ჯერ ერთი ის გაიხსენეთ, რომ აღმზრდელმა კიდევაც რომ მხოლოდ თითოეული პიროვნების კეთილდღეობის დამკვიდრება დაისახოს თავის ერთად ერთ მიზნათ იგი მაინც ვერ შეურიგდება მოზარდის სურვილთა განწყობილებას, და მასთან ბრძოლა მისთვის მაინც აუცილებელი იქნება.

რატომ? პასუხი ყველასათვის თვალსაჩინოა. ყოველი ადამიანის ცხოვრება მით არის ცხოვრება, რომ იგი მუდმივ მოძრაობაშია და მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ის, რაც დღეს ერთ როლს თამაშობს მისთვის, ხვალ სულ სხვა სახით ევლინება მას; ის, რაც დღეს მხოლოდ სიტკბო-სიამეს უმზადებს მას, ხვალ ტანჯვა-ვაების წყაროთ ექცევა, ამიტომაც არის, რომ ყოველ ადამიანს ცხოვრება ყოველთვის საბედისწერო ამოცანის სახით უდგება თვალწინ; მისი ახსნა ისევე აუცილებელია მისთვის, როგორც თვით ცხოვრებისადმი ლტოლვილების ინსტიქტი არსებობისათვის.

საჭიროა გამოცდილებით გავარჯიშებული გონების თვალით გაჰვრეტა და გაზომვა, დაკვირვებით აწონ-დაწონვა და შეფასება ყველა იმ ღირსებულებისა, რომელიცა აქვს ადამიანის ცხოვრებისათვის ყოველს თითოეულ მოვლენას. ამ მუდმივ აწონ-დაწონვაში და შეფასებაში ბოლოს ყოველთვის აშკარა ხდება, რომ ერთი რომელიმე სურვილი, რომელიც დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ზვარაკათ ეწირება ჩვენი მომავალი კეთილდღეობის საქმეს. ეს აუცილებელი მოვლენაა.

აღმზრდელის უწმინდესი მოვალეობა მომავალი თაობის ბედის გაჭედვაა. დღეს კი მას საქმე აქვს მცირე წლოვანთან, რომელიც მხოლოდ მასალას წარმოადგენს მომავალი ადამიანის შემუშავებისათვის. ამიტომ, როდესაც მცირე წლოვანის წუთიერი სურვილ-მისწრაფებანი მომავალი დასრულებული ადამიანის ინტერესებთან კოლიზიაში ვარდებიან, აღმზრდელი ყოველთვის ვალდებულია პირველნი მეორეს დაუქვემდებაროს და ამ გზით აწმყო მომავალს ანაცვალოს. იგი ხომ მომავალს ჰქმნის! მაშ როგორ შეიძლება, მან თავისი მიზანი ყოველი წამოჭრილი სიძნელის წინაშე უკუაგდოს, ან დაივიწყოს? ამიტომ ხდება, რომ ფაქტიურათ ყოველი აღმზრდელი მუდამ მოზარდის მომავალი ინტერესებით ხელმძღვანელობს და აწმყოს მუდამ მას ანაცვალებს.

მოზარდი კი, როგორც ვიცით ამ გარემოებას ვერ შერიგებია. მას და აღმზრდელს შორის მტრული განწყობილება მკვიდრდება. ეს მტრული განწყობილება, ეს ანტაგონიზმი რადიკალური ხასიათის არის. იგი იმ ძირითადი გაუგებრობით იკვებება და იზრდება, რომელიც ღრმა უფსკრულის სახით ედება აღმზრდელისა და მოზარდის ცნობიერებათა შუა.

მაგრამ განა მარტო მოზარდის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობა ახასიათებს აღმზრდელის მოქმედებას? მას საზოგადოთ არ შეუძლიან ყოველი თითოეული პიროვნების ინტერესით იხელმძღვანელოს იქ, სიდაც მას საქმე ასთანა და ათასთანა აქვს. ზნეობრივი აღზრდა კი ისეთი ბუნებისა და ხასიათის არის, რომ მას აუცილებლათ თითოეულ პიროვნებასთან უხდება საქმის დაჭერა. ეს აშკარაა, ვინაიდან თვით ზნეობრივობის სფერო ისეთ წმინდა პიროვნულ განცდათ ეხება, როგორიცაა ნებისყოფობის დისპოზიცია. სულ სხვაა სწავლება; იგი არ

არის ასეთი პიროვნული ხასიათის; იგი უფრო ობიექტიური ბუნებისაა, ვინაიდან მას საქმე ჩვენი ცნობიერების ობიექტიურ ელემენტთან, გონებასთან აქვს. ამიტომ აშკარაა, რომ იმდენათ, რამდენათაც ზნეობრივი აღზრდის სფეროში, არსად არ იქნება საგრძნობი ის პიროვნებისადმი იძულებული უყურადღებობა, რომელიც სკოლაში მოღვაწე აღმზრდელის მოქმედებას ახლავს თან.

მაგრამ ჯერ გავარკვიოთ, რათ არის სკოლის აღზრდის პირობებში პიროვნებათა ინტერესების სახეში მიღება და მხოლოდ მით ხელმძღვანელობა შეუძლებელი? აშკარაა, რომ ამის მიზეზი ისევ იმ მრავალრიცხვანობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც სკოლას ახასიათებს. სკოლაში ხომ ერთ პიროვნებასთან არა გაქვს საქმე! იქ ასსა და ათასს უნდა გაუწიო ანგარიში; მაგრამ როგორ? ყველას საერთოდ? ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არც რაიმე სიძნელეს ექნებოდა ადგილი. მაშინ მრავალ-რიცხვიანობას მნიშვნელობა აღარ ექნებოდა და იგი აღმზრდელიც ყველას საერთოდ ისე მოეპყრობოდა, როგორც ერთს. ასეთ მოვლენას, მაგალითად, ადგილი აქვს ყაზარმაში. ჩვეულებრივათ ოფიცერი ისე ეპყრობა ათასს ჯარის-კაცს, როგორც ერთს, რადგანაც მას ყველგან ერთდროულათ აქვს საქმე. სულ სხვაა სკოლა. აქ მართალია ბევრთანა გვაქვს საქმე, მაგრამ ყველასთან ერთად და ერთბაშათ კი არა,—სათითაოდ. ეს გარემოება კი გარდუვალ სიძნელესა ჰქმნის.

მაგრამ რაში მდგომარეობს ეს სიძნელე? ვთქვათ თქვენ, როგორც სკოლის აღმზრდელი, რაიმე განკარგულებას ახდენთ. რასაკვირველია, აუცილებელი ეოთხოვნილება ყოველი ზნეობრივი აღზრდისა, მისი ალფა და ომეგა, იმ განსაკუთრებული დისპოზიციის ან განწყობილების შემუშავება არის, რომელსაც ჩვენ **ვალდებულების** გრძნობის სახელით ვიცნობთ. ამიტომ აშკარაა, თქვენ მოითხოვთ, რომ დასახელებული განკარგულება ყველამ სისწორით აასრულოს. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ბევრი თქვენს განკარგულებას წინ აღუდგება, ბევრი სიხარულით აუვლის მას გვერდს, თუ კი ეს როგორმე შესაძლებელი იქმნება. ამით კი იგი თავისი ვალდებულების წინააღმდეგ წავა და მაშასადამე ერთგვარ დანაშაულს ჩაიდენს.

რათ ჩადის იგი დანაშაულს? ამის განმარტება და გაგება ძნელი არ არის. მართლაც, თქვენი განკარგულება ხომ ერთისთვის არ იყო შექმნილი. იგი რამოდენიმე პირისათვის ან მთელი სკოლისათვის იყო განზრახული. მაშასადამე იგი თითოეული პიროვნების ინტერესსა და ბუნებას სახეში არ ღებულობდა; ან კი როგორ უნდა მიეღო, როდესაც მას ყველაზე უწინარეს მთელი სკოლა აინტერესებდა? ამიტომ ბუნებრივათ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა. რომ ყოველი თითოეული პიროვნება სიხარულით ეცდება გვერდი აუხვიოს ისეთ განკარგულებას, რომელიც პირადათ მისს ინდივიდუალურ ინტერესებსა და სურვილებს არ შეეფერება. ამგვარათ გამოდის, რომ ყოველი თქვენი განკარგულება, როგორიც კი უნდა იყოს იგი, რაკი მთელ სკოლას შეეხება, ყოველს თითოეულ მოწაფეში აუცილებლათ მოწინააღმდეგეს პოულობს.

ასე იბადება შინაგანი წინააღმდეგობა, ერთგვარი ანტინომია: **ზნეობრივობისადმი მისწრაფება სკოლის ზდუდეთ შორის-უზნეობას იწვევს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ წავიდეთ ქვევით! დანაშაული სასჯელს თხოულობს, მაშასადამე თქვენთვის პირდაპირ აუცილებელია მოწაფეთა დასჯა ისეთ შემთხვევებშიაც კი, როდესაც მათ სხვაგვარათ მოქცევა არც კი შეეძლოთ,—როდესაც მისი საქციელი პირდაპირ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. შესაძლებელია, რომ ყოველს თითოეულ მოწაფეს ასეთ შემთხვევაში არავითარი დანაშაული არ მიუძღოდეს, და ამ გვარათ მისი საქციელი **თავისთავად** არ იყოს სასჯელის ღირსი. მაგრამ რაკი იგი სკოლის წევრია და რაკი მან სკოლისთვის შეძენილ წესს გვერდი აუხვია, ამიტომ იგი აუცილებლათ უნდა დაისაჯოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია ყოველმა ცალკე მოვლენამ დანარჩენთათვის ცუდი მაგალითობა გასწიოს, და ამ გზით საყოველთაო წესის დარღვევა სისტემათ გადაიქცეს.

ამგვარათ გამოდის, რომ შესაძლებელი ყოფილა ისეთი მოვლენა, როდესაც აღმზრდელი იძულებული ხდება უსამართლობა ჩაიდინოს, რომ ამით მეტი სამართლიანობა დაამკვიდროს.

რაკი ზნეობრივი აღზრდის შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი, უადგილო არ იქნება, აქ მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებას მივაქციოთ, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სკოლის აღზრდის დასახელებულ თვისებათ. ყოველი აღზრდა მომავალს ემსახურება. იგი ამიტომ, ზნეობრივ სფეროში მაინც, დღევანდელი მომენტით კი არ ხელმძღვანელობს; მას სახეში მუდამ მომავალი აქვს. აქედან აშკარაა, რომ ყოველი აღზრდის თვალსაზრისით მხოლოდ იმდენათ აქვს ბავშვის რომელსამე საქციელს მნიშვნელობა, რამდენათაც იგი მისს ბუნებას, ნორმალურ განწყობილებას, დისპოზიციას, ხასიათს იმუშავებს. ამიტომ ყოველი საქციელი ბავშვისა მხოლოდ ხასიათის შემუშავების თვალსაზრისით განიხილება; იგი მარტოთ-მარტო **ფორმალურათ** შეფასდება. მატერიალურ თვალსაზრისს იქ არავითარი ადგილი არა აქვს. მაგალითი ნათლად გვაჩვენებს, რომ ჩვენ არ ვსცდებით. ვსთქვათ, ბავშვმა სიცრუე სთქვა, თუმცა ამით მას არავისთვის არავითარი ვნება არ მოუტანია. ყოველი ნამდვილი აღმზრდელი ვალდებულია ამისთვის ბავშვი დასაჯოს და მას შთაგონოს, რომ დანაშაული ჩაიდინა. რისთვის? ბავშვის საქციელს თავის-თავათ ხომ ნამდვილი დანაშაულის სახე არა აქვს? არა, მაგრამ ადამიანის ხასიათი წვრილსა და უმნიშვნელო მოვლენებში ვითარდება; ამიტომ შესაძლებელია ამით ბავშვს ერთგვარი დისპოზიცია, ერთგვარი განწყობილება სიცრუისადმი შეუმუშავდეს. ასეთი დისპოზიცია ბოლოს და ბოლოს მას მაინც საგრძნობ დანაშაულს ჩაადენიებს.

ამგვარათ გამოდის, რომ აღზრდის ზნეობრივი ფილოსოფია და ჩვეულებრივი ცხოვრების, სულ სხვა და სხვა ყოფილა. იგი არსებითად **რიგორისტული** ხასიათის უნდა იყოს. რიგორიზმი კი ყოველთვის ეწინააღმდეგება ჩვეულებრივი ადამიანის გრძნობა-სურვილთა განწყობილებას. ამიტომ იგი აუცილებლათ ერთგვარს საწინააღმდეგოსა და მტრულ განწყობილებას იწვევს მის აღმსრულებლისადმი. მოზარდისა და აღმზრდელის კავშირი ამგვარათ მტრულ ხასიათს ღებულობს.

II

ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ აღზრდის ხანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ

ეროვნული

ერთი განსაკუთრებული თვისებით ხასიათდება. და ეგ თვისება ყველგან მასში მდგომარეობს, რომ აღმზრდელსა და მოზარდს შუა მუდამ ერთგვარი განწყობილება მკვიდრდება, რომელიც თანხმობისა და ერთსულოვანობის მაგიერ, ქიშპსა და განხეთქილებას ჰბადებს.

აღმზრდელი თავისს მიზნებს ელტვის, და ასაზრდელი თავისას, პირველი მეორეს ვერა სცნობს და მეორე პირველს. ასე იბადება და იზრდება ერთგვარი **გაუგებრობა**, რომელიც აღზრდის სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში იჩენს თავს. და იმ გარდუვალ ტრაგედიას, რომელიც ყოველ აღზრდაში მარხია, სარჩულათ ედება.

გიგრძვნიათ თქვენ მისი სიმწვავე? თუ ოდესმე ბედს აღმზრდელობა ურგუნებია, მაშ იგი თქვენთვის უცხო არ იქნება. ალბათ სწორეთ მან გაიძულათ, ეს სიმპატიური მოღვაწეობა გვერდზე გესროლათ! მაგრამ შეიძლება დღესაც აღმზრდელის მძიმე უღელს ეწევით? ამ შემთხვევაში თქვენთვის ეგ ტრაგედია ნამდვილი აქტუალური განცდა იქნება. საკმაოა ოდნავ მაინც ჩაუკვირდეთ მას, რომ მთელი მისი სილრმე იმ წამსვე იგრძნოთ. იგი ყველასათვის აუტანელია, ყველასათვის თავბრუს დამხვევია. ამიტომ ძნელია შეხვდეთ ისეთ მასწავლებელს, აღმზრდელს, რომელიც თავისი სამოქმედო ასპარეზით სავსებით კმაყოფილი იყოს.

თქვენ მუდამ მრავალი სიტყვა გაქვთ მზათ ყველა იმ ვეებერ-ელა მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ახალგაზდობის აღზრდას ახასიათებს.

აღზრდა, ეს ხომ კაცობრიობის მომავალი ბედის ჭედვაა! ამბობთ თქვენ; მაშ ეს უდიდესი სამოქმედო ასპარეზი ყოფილა ყოველი გულწრფელის, სოციალური ხასიათის ინტერესებით გატაცებული ადამიანისთვის. კაცობრიობის ბედის მჭედელი,—ამაზე უფრო წარმტაცი პერსპექტივის წარმოდგენა არც კი შეიძლება.

ყველა ეს ურიცხვჯერ სმენია აღმზრდელს. მაგრამ დღეს, როდესაც მან აღზრდის პრაქტიკის მთელი სიტკბოსიმწვავე თვითონ განიცადა, მან უკვე კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს ეს წარმტაცი ბედის მჭედლობა. და ამიტომაც არის, რომ ასეთი ფრაზების მოსმენა ხშირათ მისს სახეზე ირონიულ ღიმილს იწვევს ხოლმე. მას უკვე აღარ სწამს თავისი პროფესიის სიდიადე. გამოცდილებამ, პრაქტიკამ იგი მოსტეხა და ფერადი სურათების მაგიერ თვალწინ მწარე სინამდვილე დაუყენა,—მომავალი ბედნიერების გამჭედის მაგიერ იგი მოზარდი თაობის უბედურების წყაროთ შეიქმნა. იგი გრძნობს ამას, და ამიტომაც არის, რომ მისს მოქმედებას მოდუნება, უენერგიობა, უგულობა, ძალდატანება ეტყობა. იგი ყოველ წუთს მზათ არის ხელი გაუშვას თავის პროფესიას და ბედი სხვაგან ეძიოს.

მერე რა არის მიზეზი ასეთი ახირებული მოვლენისა? რათ ჰქრება გულში მოდებული, იდეალებით აგზნებული ცეცხლი, როგორც კი დაუახლოვდება იგი პრაქტიკას, სინამდვილეს? საიდან იზრდება ამოდენი უილაჯობა და უიმედობა? დაუკვირდით და პასუხს თქვენ თვითონ იპოვით. მართლაც! განა ყველასათვის აშკარა არ არის, რომ ასეთი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმ რადიკალურ გაუგებრობაში უნდა ვეძიოთ, რომლის შესახებაც ზევით მოგახსენეთ? აღმზრდელს თან მოაქვს თავისი მიზნები და აღზრდის პროცესიც მისთვის მხოლოდ ამ მიზნების

ცხოვრებაში გატარებას წარმოადგენს. მოზარდი მთელი თვისი ენერგიით ეწინააღმდეგება აღმზრდელის ასეთ მოქმედებას, მას არ სურს ის უცხო ნერგი თვისი სულის შინაარსში გადმორგას და იქ გაახაროს.

ასე ეხლება იდეალი სინამდვილეს, და გამარჯვებაც ყოველთვის უკანასკნელს რჩება. აღმზრდელს თავისი პრაქტიკიდან მუდამ დამსხვრეული იდეალები გამოაქვს, და მოზარდს თვისი აღზრდის ისტორია მხოლოდ მეხსიერებაში შერჩენია, და ისიც,—როგორც უსიამოვნო, ცუდი სიზმარი. ასეთია თანამედროვე აღზრდის პრაქტიკა.

ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ რას გვპირდება ექსპერიმენტალური პედაგოგიკა ამ შემთხვევაში. არის თუ არა შესაძლებელი, მან რაიმე შემატოს ამ პედაგოგიური ტრაგედიის გადაწყვეტის საკითხს? მაგრამ ჯერ გავიხსენოთ ყოველი ცალკე განსახიერება ამ ტრაგედიისა, რომ ერთხელ კიდევ გადაავლოთ თვალი ყველა იმ სფეროს, რომელშიც განსაკუთრებულათ იჩენს თავს ეგ უდიდესი ტრაგედია პედაგოგიური მოღვაწეობისა.

ჩვენ უკვე გავარკვიეთ, რომ a) თვით აღზრდა ისეთი ხასიათის მოვლენას წარმოადგენს, რომელიც თავიდანვე აუცილებელ ჰყოფს განხეთქილებას აღმზრდელსა და მოზარდს შორის, ვინაიდან აღზრდის მიზანი, სოციალურობა იმთავითვე ეწინააღმდეგება მოზარდის ბუნების პიროვნულს, ეგოისტურ განწყობილებას. მაგრამ ამას გარდა აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ b) დღევანდელი აღზრდა აუცილებლად სკოლაში განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის ფორმას იღებს. სკოლა კი კატეგორიულათ მოითხოვს ყოველი აღმზრდელისაგან, რომ მან ყველაზე უწინარეს მთლიანის ინტერესი მიიღოს სახეში და მით იხელმძღვანელოს და არა თითოეული მისი შემადგენელი ნაწილის სურვილთა ქანაობას აჰყვეს. ამ გარემოების აუცილებელი შედეგი კი მუდამ ერთია: მოზარდთა გულში უკმაყოფილების ჩასახვა და მისი პროგრესიული ზრდა.

ახლა ვიკითხოთ, შეუძლია თუ არა ექსპერიმენტალურ საფუძვლებზე დამკვიდრებულმა პედაგოგიკამ აღზრდის ამგვარათ დარღვეული ჰარმონია კვლავ აღადგინოს. შეუძლია თუ არა მას, ძირიანათ აღმოფხრას მთელი ის ღვარძლი, რომელიც ამ განხეთქილებას ჰკვებავს და ახარებს? ერთი სიტყვით, შეუძლია თუ არა ფსიხოლოგიურ საფუძვლებზე დამკვიდრებულმა პედაგოგიკამ აღმზრდელსა და მოზარდს შორის დამკვიდრებული გაუგებრობა გააქარწყლოს?

განვიხილოთ სათითაოდ ყოველი ცალკე სფერო! ჯერ პირველი. რა არღვევს აქ აღზრდის სუბიექტთა შორის დამყარებულ ჰარმონიულ განწყობილებას? რა არღვევს აქ მოქმედებისა და ზეგავლენის მთლიანობას? ჩვენ უკვე საკმაო სინათლე მოვფინეთ ამ საკითხს. ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ ერთს—სახეში ფართო, სოციალური ერთეული და მისი ინტერესმოთხოვნილება არ აქვს და მეორეს კიდევ—მხოლოდ ვიწრო, პიროვნული. აქ კოლიზია აუცილებელია, აქ შებრძოლება ყოველთვის მოსალოდნელია. ეს კოლიზია, ეს წინააღმდეგობა, როგორც ხედავთ არსებითი ხასიათის არის; მაშასადამე მისი მოსპობა, მისი ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა ხომ მხოლოდ ისეთ ზომათა სისტემაა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც ბავშვის ფსიხიურ თვისებათა მეცნიერულათ დასაბუთებულს დეტალურ შემეცნებაზე არიან დამკვიდრებულნი! ექსპერიმენტალური პედაგოგიკა არსებითად ხომ მხოლოდ მით განირჩევა ჩვეულებრივი პედაგოგიკისაგან, რომ იგი ფსიხოლოგიური ცოდნის შუქით ინათებს გზას თავისს ბნელით მოცულს სამოქმედო ასპარეზზე! მაშასადამე იგი უძლურია, ის არსებითი იარა მოალბოს და განკურნოს, რომლის ძირიც მოვლენათა ინტიმურ შინაარსში იწყება და იზრდება; იგი უძლურია სამუდამოთ მოსპოს ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც თვით აღზრდის ცნებას განუყრელ თანამგზავრთ სდევს თან.

მაშასადამე ეს წინააღმდეგობა მუდმივი ხასიათის ყოფილა, იგი გარდაუვალი სიძნელეა, თვით აღზრდის შუაგულში წამოჭრილი.

მაგრამ, თუ სულ ძირიანათ აღმოფხვრა არა, შეიძლება ექსპერიმენტალური პედაგოგიკის ხელთ დროებით მოლბობა და და მით ტკივილების მოტკბობა მაინც იყოს? მართლაც! ექსპერიმენტალური პედაგოგიკა ჩვენს წინაშე ხომ ბავშვის ფსიხიური ცხოვრების სურათსა შლის. იგი გვაცნობს ყველა იმ პოტენციალურსა და აქტიურ ძალას, რომელიც ბავშვის სულშია დამარხული. აქედან აშკარაა, რომ ჩვენ ბავშვის ფსიხიკის წიაღში წამოჭრილს, სოციალური ხასიათის ინსტინქტებსაც გავეცნობით. ერთი სიტყვით ჩვენს ხელთ მთელი ის სიმდიდრე იქნება, რომელიც ბავშვის სულის სამკვიდროშია თავმოყრილი. ჩვენ გვეცოდინება აგრეთვე, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ის მიმართულებაც, რომელსაც ბავშვის სულიერი ცხოვრების განვითარება ადგია. ჩვენ გვეცოდინება დაახლოვებით ყველა უმთავრესი ეტაპის არსებითი თვისებანიც. და ყველა ეს, რასაკვირველია, შეძლებას მოგვცემს, უტკივლოთ და შეუგრძნობლათ შეუფარდოთ ჩვენი სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის სულიერი საუნჯის მასალას, მისს ბუნებრივი განვითარების გზას. ამ სახით, თითქმის შეუმჩნევლათ მივაღწევთ ჩვენს მიზანს: სოციალური ხასიათის ლტოლვილებანი ბავშვის პირად მისწრაფებათ შეუტყუპდება, შეელესება, შეუთვისდება. ყველა ამას შემდეგ კი იგი ძვირათ თუ იგრძნობს იმ სხვა ბუნებოვანობას, იმ ჰეტეროგენობას, რომელიც ამ ორი სახის მისწრაფებათა შორის არსებობს.

ამგვარათ აშკარაა, ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჯეროვანათ შემუშავებული და შესაფერ საფუძვლებზე დამკვიდრებული, იმდენათ ძლიერი ყოფილა, რომ მას იმ უმწვავესი ტრაგედიის შესუსტება მაინც შესძლებია, რომელიც თვით აღზრდის არსებითი ხასიათიდან უშრეტათ გამომდინარეობს.

ახლა ავიღოთ სკოლის პირობებში ნაწარმოები აღზრდა და მისს ნიადაგზე წამოჭრილი სიძნელენი. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ აქ უმთავრესი სიძნელე სკოლაში მოზარდთა მრავალ-რიცხოვანობაში მდგომარეობს. აღმზრდელი იძულებულია ყველას ინტერესებით იხელმძღვანელოს; ამიტომ იგი ხშირათ ყოველი თითოეული მოზარდის ინტერესს ანგარიშს ვერ უწევს, და მოზარდიც თვისს გულში უკმაყოფილებას კვებავს მთელი იმ აღზრდის სისტემის წინაშე, რომელსაც სკოლა აწარმოებს.

რისი მოცემა შეუძლია აქ ექსპერიმენტალური პედაგოგიკას? აშკარაა, რომ იგი ვერც აქ მოსპობს ძირიან-ფესვიანათ ზოგადისა და პირადის წინააღმდეგობის

ნიადაგზე წამოჭრილ განხეთქილებას. ამიტომ იგი მანამ იარსებებს, სანამ საზოგადოთ პიროვნება იმდენათ არ გაითქვიფება საზოგადოებაში, რომ მისი პირადი ინტერესები სოციალურურთ ჩაექსოვება, და სოციალური მისს პირად ინტერესებთან შესისხლხორცდება. მართალია, თანამედროვე კულტურა სწორეთ ასეთ მიმართულებას იღებს; მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ოდესმე ადამიანი ერთბაშათ ისეთს სოციალურ არსებათ გადიქცეს, რომელსაც არსებითად პიროვნული აღარაფერი დარჩება.

ხოლო რაც შეეხება ამ წინააღმდეგობის სიმწვავის შესუსტებას, აქ ექსპერიმენტალური პედაგოგიკა სწორეთ მისწრებას წარმოადგენს. ბავშვის სულიერი ცხოვრების გაცნობა, განსაკუთრებით მისი ბუნებრივ ინტერესთა განვითარება ფართო გზას მისცემს ყოველს აღმზრდელობითი გავლენას მისი სულის წიაღში და მით საგრძნობათ შეასუსტებს იმ ტრაგიკული ნაკადის სიშმაგეს, რომელიც აღზრდის ნიადაგზე იბადება და მიჰქროლავს.

ხოლო ჩვენ ამით სრულებით არ გვსურს იმის თქმა, თითქოს თანამედროვე ექსპერიმენტალური პედაგოგიკის მიმდინარეობა უკვე იმდენათ მაღლა სცემს თვის ტალღათ, რომ მისი სიმაღლიდან იმ ტრაგიკული ხასიათის სიძნელეთა გადალახვა მაინც შესაძლებელი იყოს, რომელნიც მხოლოდ არსებული აღზრდის სისტემიდან გამომდინარეობენ. პირიქით, დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი მეცნიერებისა იმდენათ მდარეა, რომ მისი პრაქტიკული გამოყენება ჯერ კიდევ საშიშო და სახიფათოა. ამიტომ ჩვენ ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი, აურიცხველი შრომა გვჭირია, და ვინ იცის, როდის შესძლებს ექსპერიმენტალური პედაგოგიკა ყველა იმის მოცემას, რაც მოსალოდნელია მისგან.

დ. უზნაძე.

თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი პოეზია

პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წელსა ქალ. ბეტერბურგში. იმისი მამა გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის მეფის ირაკლი მეორის რწმუნებული ელჩი იყო რუსეთის სამეფო კარის წინაშე. ალექსანდრე დაიბადა სწორედ სამი წელი რომ გავიდა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულობის დამტკიცების შემდეგ ქალ. გეორგიევსკში... ეს ის ხელშეკრულება იყო, რომლის ძალით საქართველოს სამეფო კახეთ რუსეთზე დამოკიდებულ (ვასსალურ) სამეფოდ... მომავალი პოეტი რუსთა ხელმწიფემ ეკატერინე მეორემ მოსათლა; ირაკლი მეფემ კი ამირეჯიბობა უწოდა (დენერალ-ადიუტანტობას უდრიდა) და სამუდამო ბენსია დაუნიშნა. ალექსანდრე ფუფუნებასა და კმაყოფილებაში იზრდებოდა ჯერ თავის მამის სახლში და შემდეგ ცამეტ წლამდის ფრანგულს პანსიონში, სადაც მან ზედ მიწევნით კიცნო ფრანგული ენა. 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ალექსანდრე მამამ ტფილისში ჩამოიყვანა და აქ 1802 წელს ახლად გახსნილს კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარა. დერენალმა კნორრინგმა, როგორც ვიცით, საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა; მოისპო მეფობა; ბატო-

ნიშვილებს აპატიმრებდენ და რუსეთში გზავნიდნენ. ამ გარემოებამ კახეთის და ქართლის თავად-აზნაურთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. მეფის შვილს ფარნაოზს კახეთში 14 ენკენისთვეს 1804 წელს, თავად-აზნაურებმა ერთგულება შეფიცეს და მის დროშის ქვეშ ბაგრატიონთა მეფობის აღსადგენად ბრძოლა გადასწყვიტეს... ამ თავად-აზნაურთა რიცხვში ერია ალექსანდრე ჭავჭავაძეც...

1805 წელს, როდესაც ამათი გეგმა დაირღვა, ალექსანდრე სამის წლის ვადით ქალ. ტამბოვში გაგზავნეს.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ ის სამხედრო სამსახურში შევიდა... იმან რუსთა ხელმწიფის ალექსანდრე პირველის ცნობილს გალაშქრებაში ნაპოლეონის წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღო და ქალ. პარიზში რუსის ჯართან ერთად 1814 წ. შევიდა. 1823 წლიდამ ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა მოხელედ საქართველოს მთავარ-მართებელთან. 1828 წელს მას ლენერალის ხარისხი ებოძა და სომეხთა ოლქის გუბერნატორად დაინიშნა.

1832 წელში ქართველი თავად-აზნაურობის მოწინავე პირები რუსთა ბატონობის წინააღმდეგ შეთქმულობას ამზადებდნენ. ამ შეთქმულობას ის უნაყოფოდ სთვლიდა და მასში მხურვალე მონაწილეობას არ იღებდა. როცა ეს შეთქმულება გამჟღავნდა, გაღაასახლეს რუსეთში, მაგრამ მალე დაბრუნეს, როდესაც მისი უდანაშაულობა გამოირკვა. 1846 წლის 3 ნოემბერს, როდესაც ის სადარბაზოდ მიიმიდიოდა მეფის მოადგილე ვორონცოვთან, გაქანებული ეტლიდამ გადმოვარდა დაიჩეხა და მალეც გარდაიცვალა...

მისი გვამი ქალ. თელავის ახლოს სამოთხის სიმშვენიერით შემკულს ადგილს აღშენებულს შუამთის მონასტერში დასაფლავეს...

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე ითვლება ქართული მწერლობის ისტორიაში მალალ ნიჭიერ და მგრძნობიარე პოეტად... ლექსებს გარდა მან დასტოვა ფრანგული ენიდამ თვის მიერ თარგმნილი პიესები, რომელნიც ჯერ დაბეჭდილნი არ არიან („ალზირა", „იფიგენია", „ცინნა", „სიდი" და „ევდოკია, ბელიზარის ასული")... თარგმანში ხელს უწყობდა მას ფრანგული ენის ცოდნა.

ეროვნული მწერალი საზოგადოების შვილია. მისს პირველს პოეტურს აღმაფრენას ასაზრდოებს საზოგადოება, მასალას აძლევენ თანამედროვე პირობები, სოფელ მხედველობა, მოწინავე აზრები... ტალანტს საზოგადოების გარეშე განვითარება არ შეუძლია. რას წარმოადგენდა საქართველო და ქართველი ხალხი მაშინ, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძეს აღეძრა პოეტური მოდგაწეობის სურვილი? იმ ხანად, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა ალექსანდრე 15 წლისა იყო... მაშასადამე სიჭაბუკეს მიღწევნული. თუმცა საქართველოში მეფობა იყო, მაგრამ მეფე სათამაშო იყო სხვა და სხვა ფეოდალების (მებატონეების) ხელში... არა თუ იმერეთი და ამერეთი არ იყო გაერთიანებული, არამედ ცალკე სამეფოებში და სამთავროებში გამუდმებული ბრძოლა იყო მეფეთა და მთავართა და მათ ქვეშევრდომ ფეოდალთა შორის. სამეფო გვარის წევრნი, რომელთა რიცხვი აუარებელი იყო, ერთმანეთს ებრძოდნენ და ურთიერთს უფლებას და ლუკმას ეცილებოდნენ... ჩვენმა მეფეებმა ვერ შესძლეს ალაგმვა ფეოდალებისა, რომელთ ხელში იყო საქართველოს სვე-ბედი... ფეოდალებმა მოინდომეს უფრო მეტი გავლენის მოპოვება, უფრო ძლიერ ფეოდალებთან შეკავშირება, და აკი ამიტომაც ეროვნის დონისძიებით ხელს უწყობდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეს... ქართველი თავად-აზნაურობა კარგად ხედავდა, რომ რუსეთი თავისს საზღვრებს ათვრთოებდა და საქართველოსაც მოუახლოვდა ეირიმის დაპყრობის შემდეგ... მას გაელვეძა მალა ძლიერი ხელმწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც შესაძლებელი შეიქნებოდა სამხედრო სამსახური, ჯამაგირის და ჩინების მიღება, გამდიდრება, კვლენის მოპოვება და სხვა...

საქართველოს ვედარა იხსნიდა რა: მას შინაური არეულობის და გარეშე მტერთან ბრძოლის გამო დაუძლურებულს ადრე იქნებოდა თუ გვიან ძლევა-მოსილი რუსეთი დაეპატრონებოდა... რუსთა ხელმწიფეს ქართველნი ისე უცქეროდნენ, როგორც ბიზანტიის ხელმწიფის მოადგილეს, ქრისტიანობის ხელის ადმპყრობელს და მფარველს... ამ გარემოებამ და არა პოლიტიკური შორს მჭვრეტელობის უქონლობამ, როგორც ზოგიერთებს ჴგონიათ, აიძულა ირაკლი მეორე ზემოდ მოხსენებული ხელშეკრულობა დაედო რუსეთთან და მას საპატიო და ხელსაყრელი პირობებით შეერთებოდა...

ეს აზრი მშვენივრად აქვს გამოთქმული ნიკ. ბარათაშვილს თავისს ლექსში: „ბედი ქართლისა“, სადაც ის ირაკლი მეფის პირით ეუბნება რუსთან კავშირის დაჭერის მოწინააღმმდეგეს სოდომონ ლეონიძეს:

„დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“

რუსეთთან შეერთების შემდეგ კარგა ხნობით ქართველი ხალხი თითქმის ისეთსავე გონებრივს და ნივთიერს მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელშიც მეთვრამეტე საუკუნეში იყო... ვაჭართა და მრეწველთა კლასები ამ დროს საქართველოში არ მოიპოვებოდა... იყვნენ აქა იქ ჩარჩი, შეუგნებელი ვაჭრები, რომელნიც საზოგადოებრივს ძალას არ წარმოადგენდნენ. თავად-აზნაურობას ჴქონდა თვით მართველობა... მასვე საშუალება და დროც ნებას აძლევდა სწავლა-განათლება შეეძინა და დაწინაურებულიყო. მაშინდელი მწერლობის საოფლმხედველობა იმავე თავად-აზნაურობის საოფლმხედველობა იყო... ქართველს საზოგადოებას მაშინ თავად-აზნაურობას ეძახდნენ და რამდენადმე სამფლველოებას... მაგრამ თავად-აზნაურობა მაშინ წინ სვლის ნაცვლად უკან-უკან მიდიოდა, ძალა და გავლენა ეკარგებოდა, ნიადაგი ფეხ-ქვეშ ეცლებოდა, გზა და გზა ერთვნული შეურაცხყოფის მაგალითებს ხვდებოდა... მისი გული ამისგამო სევდით ივსებოდა... მან ბევრი ისეთი რამ ნახა, რასაც არ მოელოდა... ბევრი მათგანი თავის ახალს ბედს შეურიგდა, რუსეთის მთავრობას დაუხლოვდა, რომელიც მათ აძლევდა ჯამაგირს, ხარისხს და ორდენებსა. ყველაზე უფრო სტრფიალო საზოგადოების ამ ნაწილისთვის სამხედრო სამსახური იყო. რუსეთის სამხედრო ისტორია ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ქართველ გმირებს, რომელნიც თავად-აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდნენ... ლეკები, ჩეჩნები, ჩერქეზები, ინგუშები და სხვა მთიელნი რუსთა მთავრობამ ქართველი სარდლების მხურვალე მონაწილეობის მეოხებით დაიმორჩილა... სამხედრო პირნი და სხვა მემამულენი ევროპიული დროს გატარების გემოს გაეცვნენ... დროს გატარება და ლხინი ფულთხოელობდა... ფულის შესაძენად კი საჭირო იყო ან მამული დაეგირავებინათ და ან გლეხები შეეიწროებინათ... გლეხთა მდგომარეობა მეტად აუტანელი შეიქმნა... სანუგეშო მხოლოდ ის და იყო, რომ თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი სწავლა-განათლებას ეტანებოდა და იძენდა კეთილშობილურს აზრებს კაცთმოყვარეობის შესახებ... ამ ნაწილს თავად-აზნაურობისას ლხინი და ქეიფი ცხოვრების მიზნად არ მიაჩნდა. მის გულში სევდას და მწუხარებას ბუდე ჴქონდა გაკეთებული... მისი დარდი უფრო „წარსულს დროებს“ შეეხებოდა... მას ანადგურებდა საქართველოს წარსული დიდების დაკარგვა. ის თავისუფლებას თანაუგრძნობდა, დაჩაგვრის და მონობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამავე დროს მას არა გუკეთებია რა დამონაგებულ გლეხთა სასარგებლოდ... მას ამგვარად აკლდა საქმიანობა, აზრების განხორციელება, ის მოწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული არ იყო „მსხვერპლად და ზვარაკად“ შეწიროდა კეთილდობილურს ასრულებს...

ამ ჯგუფის უუშესანიშნავესს წარმომადგენელებად ითვლებიან პოეტები ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე. მათს ლექსს აზის დრმა სევდის და მწუხარების ბეჭედი... განსხვავება ამ ორს მგოსანს შორის მხოლოდ ისაა, რომ ალ. ჭავჭავაძის სევდის მიზეზი გამოურკვეველია,—მისი სულის კვეთება უფრო სასო წარკვეთილია, მისი სულიერი ბუნება „მგრძნობელობით“ გამსჭვალულია; ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდის მიზეზი უფრო გარკვეულია, მისი სულის კვეთება—იმედ მოსილია, მისი სულიერი ბუნება მაღალ აუენებს გონივრობას... ორივე კი ინგლისის დიდებულ მგოსნის ბაირონის ზედ გავლენის ქვეშ იმოყოვებოდნენ... ამ მგოსნის სასოწარკვეთილება—მაშინდელ მაღალ ნიჭიერებით დაჯილდოებულ გვამთა სოფელ-მხედველობას ასაზრდოებდა... ეს გვამნი ვერ შერიგებოდნენ იმ სულის შემხუთველ რეაქციას, რომელიც გამეფდა საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ... ამ შეურიგებლობის ჭანგი უველგან გაისმოდა, სადაც კი გონება აზროვნობდა და გული გრძნობდა...

ასეთს ატმოსფერაში ვითარდებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ნიჭი... მისი პოეზია იმითაცაა საყურადღებო, რომ ეს მწერალი ერთი ფეხით მეთვრამეტე საუკუნეში სდგას, ხოლო მეორე ფეხით მეცხრამეტეში. ის მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობის შემაერთებელი ხიდია, ორი სოფელ-მხედველობის გამომხატველია. რამდენადაც ის მეთვრამეტე საუკუნის მწერალია, იმდენად მის პოეზიას სპარსული სალირიკო პოეზიის ზედ-გავლენა ეტყობა და რამდენადაც ის მეცხრამეტე საუკუნის მწერალია, იმდენად ეტყობა რუსულ-ევროპიული მწერლობის ზედგავლენა. ამ ორი მწერლობის გავლენის ელემენტები მოიძებნებიან მის ლექსებში... ალ. ჭავჭავაძე საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვის ცოცხალი მოწმეა,—მაშინდელ მოწინავე შეგნებულ გვამთა სულიერი მდგომარეობის მცოდნეა... ალექსანდრე ჭავჭავაძე ძველი ქართველი თავადის ნამდვილი წარმომადგენელი იყო: სტუმართ-მოყვარე, დარდიმანდი. თარის და ჩანგურის დაკვრა და მათზე დამღერება შვენივრად იცოდა... მისი ოჯახი სამაგალითო ქართულ ოჯახად ითვლებოდა... იქ იკრიბებოდნენ უველა ისინი, რომელთ გულში დვიოდა შეობლიური ლიტერატურის მიმართ სიყვარული. მისი ოჯახი იყო ის კერა, სადაც ინახებოდა ნაკვერჩხალი, რომლიდამაც გაძლიერდა ქართული ახალი მწერლობის ცეცხლი. მას ერთი ერთმანეთზე დამაზი ასულები ჰყოვდა, რომელთაგან ერთი რუსთა მწერალს გრიბოედოვს მისთხოვდა ცოლად. სამსახურში დაწინაურებული ოთავადი, შეძლების პატრონი გართობის და ქეიფის მოყვარული, როგორც მისი ლექსებიდამ სჩანს, სევდით მოცული იყო... მისი სული იტანჯებოდა,—კმაყოფილებას ვერ ჰპოებდა. მისს ლექსებში, სიყვარულს შეეხება თუ სამოქალაქო გრძნობას, გამოსჭვრიტავს ქართველ თავად-აზნაურობის იმ შეგნებულ საუკეთესო ნაწილის გოდება, რომელიც კმაყოფილი არ იყო თვისი ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობისა. ილია ჭავჭავაძე ერთს თავისს ლექსში ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის უმთავრესი ხასიათი ნათლად აქვს დახატული.

ი რას ამბობს პოეტი ამ ლექსის პირველს ნახევარში:

„მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან სუფრაზე მოფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ლაღობს, ხარობს;
გამღერებს და ამღერდება.
ხან ღონდება ნაზ ქალივით
უიმედო სიყვარულით;
ხან იფეთქებს ჭაბუკივით
და განდევნის სევდას გულით.

ხან ბუჩქებში მიმალული
ზის მარტო ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად
ტრფობის ისრით განაწონი“.

მოუვანილი სტრიქონებიდან სჩანს, რომ პოეტი ალ. ჭავჭავაძე თავის ლექსებში უმდერის სიყვარულსა, — რომლის ხრკიელი მხარის ხელოვნურად დახატვაში მას ბადალი არავინ ჰყავს... ის მეთვრამეტე საუკუნის ბესიკი გაბაშვილის ნამდვილი მოწაფეა სიყვარულის სიძლიერის დახატვაში... ილ. ჭავჭავაძე იმავე ლექსის მეორე ნახევარში ამბობს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი (მუზა):

„ხან რბის ველად, მარტო გალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავბედს ქვეყნისასა
ქვეყნისათვის ანატირი.
ხან დაჰყურებს ღრუბლიანი
დაფიქრებით გოგჩის ტბასა,
დაემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა“.

მოუვანილ სტრიქონებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ ალ. ჭავჭავაძე არ იყო მარტო სიყვარულის, ლვინის და ქეიფის მომდერალი პოეტი, არამედ ის თავის პოეზიაში შეეხებოდა ასე თუ ისე სამოქალაქო მოტივებს, რომელთაც ემსახურებოდა თითქმის თითოეული ჩვენი მწერალი მეცხრამეტე საუკუნეში და მით ადასრულებდა რუსთველის დიდებულს მოძღვრებას:

„შაირობა (პოეზია) პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი,
მსმენელთათვის დიდი მარგი“.

მაშასადამე, ამის შემდეგ თავისთავად მნიშვნელობა ეკარგება იმ აზრს, რომელიც გავრცელებულია ჩვენში ალ. ჭავჭავაძე შესახებ, ვითომც ის იყოს მარტო სიყვარულის, სმის და ქეიფის მომდერალი პოეტი. მისი პოეზიის უმთავრესი დედა-ძარღვი რადიკალური პესიმიზმია... მისი პოეზია შვილია სევდით ნაწამი გულისა. ბუნებას არავითარი ნუგეშის მიცემა არ შეუძლია ადამიანისთვის: ის თვითონ უაზრო, უშინაარსო, უგულო... ეს აზრი ცხადად სჩანს შემდეგი მისი ლექსიდან:

„ყოველთ კეთილთაგან ია ვარ-ქმნილი
ვზი და ვსტირ ჩემს ბედსა ცრემლით თვალნილი.
სიკვდილს ნუ მექადით: იგი მჩანს არად;
რა თავი მეკვეთა, მუნით ვარ მკვდარად,
ერთ არს ლეში საცა ვეგდო სამარად!“

პოეტი მოკლებულია ყოველსავე კეთილს... რაც თავი იცნა, ის მკვდარია, ლეშია უსიცოცხლო... მისი პოეზიის ასეთი კიდეს მიზეზი დრმაა. იგი არაა მის პირადს სევდიანობასა და უბედურებაზე აღმოცენებული. ბუნებამ და ცხოვრებამ პოეტი უხვად დააჯილდოვა: შვენიერი სახლობა, კარგი საშასახური, ჩინებული ჯამაგირი, აუარებელი ადგილ-მამული, დიდი პატივი, ყოველივე ეს ჰქონდა პოეტს. მაშ რად, ზის და სტირის თავის ბედსა? რისთვის დადის ის ცოცხალ მკვდარი?! პოეტი ქვეყნის შვილია, და იმის გულში დაისადგურა ისეთმა სევდამ, რომელსაც გამოურკვეველად, ბინდ-ბუნდად გრძნობდნენ პოეტის თანამედროვე ქართველები. მაშ მის სევდას წარმოშობს საზოგადოებრივი სევდა, ის ასაზრდოებს მას, ის ურწყებს აკვანს... ის კია, რომ პოეტმა თავის სევდის მიზეზი გარკვევით, გაბედვით ვერ გამოსთქვა...

არც დრო იყო მაშინ ასეთის სევდის გარკვევით გამოთქმისათვის. ქართველი მოწინავე საზოგადოება მომხდარი ამბებით თავ-გაბრუებული იყო... ის ადარც წარსულში იყო და ვერც ახალს გაცნობოდა ჯერეთ, ორს წყალს შუა იყო და არ იცოდა, რა ექნა... ეი ! ალ უნდა ვეძიოთ იმ გამოურკვევლობის მიზეზი, რომელითაც მოცული იყო პოეტის თანამედროვე ქართველების სოფელ-მხედველობა.

ილ. ფერაძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედია პროტასოვი და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა *)

ჩვენი აწ მდგომი ცხოვრება აშმორეულ ჭაობსა ჰგავს, რომლის მოშხამული ჰაერი სულს გვიხუთავს და გვიწყლულებს. ასეთ დროს ადამიანის ჯანყითა და ბურუსით მოცულ აზრსა და გონებას აცისკროვნებს და მწარე მწუხარებით დასერილ გულს დამატკბობელ ნექტარს აპკურებს ხალხის გულთა მხილავის ზეგარდმო ნიჭით მირონ ცხებულის ამა თუ იმ მწერლის ყოველი ახალი სიტყვა. ხოლო ვის შეეძლო ჩვენი გრძნობა-გონების დატყვევება მსოფლიო მწერალ ტოლსტოიზე უკეთ, რომელიც უკვე მეორე წელიწადია ცივ სამარეს მივაბარეთ. ახლა მისი ახალი სიტყვა კიდევ უფრო მეტის სიძლიერით ელექტრონის ნაკადივით ედება ხოლმე მთელ ჩვენს არსებას. სწორედ ამით აიხსნება ის ინტერესი, რომელიც ამას წინად ტოლსტოის „ცოცხალმა ლეშმა“ გამოიწვია.

ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა ამ ნაწარმოების ღირსება-ნაკლულოვანებაზე. ჩემი განზრახვაა ამ პიესის უმთავრეს გმირს **ფედია პროტასოვს** იმ მხრით შევეხო, რომელიც, თუ არ ვცდები, არავის აღუნიშნავს. მე გავკადნიერდები და ამ პიროვნებას თქვენს წინაშე აღზრდის თვალსაზრისით გავარჩევ. ხოლო წინდაწინა ვგრძნობ, რომ ასეთ რთულსა და ღრმა საკითხის ჯეროვანათ გარკვევას, სავსებით გაშუქებას ვერ მოვახერხებ და თქვენც ვერ დაგაკმაყოფილებთ, რისთვისაც თავიდანვე ბოდიშს ვიხდი და პატიებასა გთხოვთ.

აქ საჭიროდ არ მიმაჩნია დასახელებული პიესის შინაარსის გადმოცემა, რადგან, დარწმუნებული ვარ, მას ყველანი იცნობთ.

ბევრს **ფედია პროტასოვი** იდეალურ პიროვნებათ მიაჩნია და მომავალ საზოგადოების სასურველ წევრათა თვლის. ჩემის აზრით პროტასოვს თვალსაჩინო დიდებით მხარეებთან ერთად მეტად ბევრი უარყოფითი მხარეები აქვს და მისი იდეალურ პიროვნებათ დასახვა ყოვლად შეუძლებელია. ვინც ცოტათი მაინც იცნობს ტოლსტოის მოძღვრებას და მის ნაწერებს, იმას კარგათ მოეხსენება, რომ ასეთი სუსტი ნების პატრონი, ხასიათის სიმტკიცეს მოკლებული, თავდაუჭერელი, გულისთქმის ამყოლი და თუ გნებავთ, გარყვნილი ადამიანი ამ მწერლის იდეალს არ შეადგენდა. მას ჭეშმარიტ ქრისტიანად და სათნოიან ადამიანად მხოლოდ ის მიაჩნდა, ვინც თავდაჭერილი, გულისთქმათა დამთურგვნელი და ვნებასურვილების შემზღუდველი და უარის მყოფელია.

მართალია ავტორის სიმპატია ფედიასკენაა, მაგრამ ამით ტოლსტოი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ პროტასოვი ბუნებით კეთილი და სათნოიანი ადამიანი იყო, ხოლო დღევანდელი მისი ნაკლულოვანებანი და აუტანელი ხასიათი უხეირო და ურიგო აღზრდის შედეგია. ამის საბუთს გაკვრით პიესაშიც ვპოულობთ: კარენინი და მისი სიდედრი ლიზასთან

*) წაკითხულ იქმნა ქუთაისის ქალთა წრეში.

სოფელში მოდიან. აქ ლიზას დედა, პროტოსოვთან შენაძენ ბავშვის დანახვაზე, ამბობს: „როგორა ჰგავს! რა ყოჩაღია! გულიც რომ მამის გამოყვებოდეს“... ამაზედ კარენინის დედა უპასუხებს: „მხოლოდ ხასიათის სისუსტე კი არა“... ლიზა: „ყველაფერი გამოყვეს, ყველაფერი. ის ყველაფერი ჩინებული იქნებოდა, რომ პიტარაობიდანვე მიმართულება მიეცათ“-ო.

ჩვენ, რასაკვირველია, სავსებით ვერ მივიღებთ ტოლსტოის მოძღვრებას იმის შესახებ, რომ კაცობრიობა უნდა დაუბრუნდეს პირველ ყოფილ მდგომარეობას, თავი დაანებოს ქალაქებს და კულტურულ ცენტრებს და ბუნების წიაღზე აღიზარდოს და იცხოვროს. მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ახლანდელი ოჯახური აღზრდის უვარგისობის აღსარებაში, როდესაც ბავშვებს ანებივრებენ და ფუფუნებაში ამყოფებენ, უსაქმობას, მცონარეობას და სინაზეს აჩვევენ. აქ ნორჩ არსებათ პატარაობიდანვე, წინააღმდეგ სპარტასა და საზოგადოთ ძველ საბერძნეთში არსებულ აღზრდისა, უნერგავენ არა სასურველ თვისებათ და სრულებით უხშობენ თავის შეკავებას და ნდომა-სურვილების საზღვარ დადების ჩვეულებასა და ნიჭს.

პროტასოვსა და მისი წრის ხალხს თავიდანვე არ აჩვევენ ნაყოფიერ შრომას, გულის-ყურით და მონდომებით საქმის ხელის მოკიდებას, საქმით გატაცებას, ჩაფუშული საქმის გამოსწორებასა და გამობრუნებას, დაღლილობის ატანას და დასვენების სიტკბოებას, თავის შრომის ნაყოფის ხილვით სიამოვნების განცდას. ისინი, პირიქით, ცუდათ ყოფნას, შრომის უპატივცემლობას, სხვისი დამუშავებულის გაფუჭებას, გადაგდებას და ფულით ყველაფრის შეძენას ეჩვევიან. იმავე დროს ერთხელაც არის არ დაფიქრდებიან იმაზე—ყველა ეს მათთვის საჭირო და სასიამოვნო საგნები თუ როგორღა ჩნდებიან და საიდან მოდიან.

ასეთ ნიადაგზე აღზრდილი პიროვნება, თქმა არ უნდა, სუსტი ხასიათის და თვით-მოქმედებას მოკლებული იქნება, ცხოვრება მას აუტანელ მძიმე ტვირთად დააწვება და სწორედ ცოცხალ ლეშათ გადაიქცევა.

„კარგია კიდევ—ამბობს ტოლსტოი ერთ თავის წიგნაკში, სახელდობრ Первая ступень-ში, თუ ახალგაზდა ყმაწვილი ბუნებით ზნეობრივად სუსტია და გრძნობიერი არ არის, ვერ ამჩნევს თან დაყოლილისა და მის არსებაში გარედან ჩანერგილ ჩვეულებათა შორის გამეფებულ წინააღმდეგობას და ეგუება ცხოვრებაში დამკვიდრებულ ბოროტებას. ასეთ ადამიანში ზნეობრივი გრძნობა თანდათან იფერფლება, თითონ გარეგნულად თითქო კარგათ და რიგიანად ეწყობა და კუბოს კარამდი მყუდროთ და მშვიდათ ცხოვრებას. მაგრამ თუ ადამიანი ფაქიზი და მახვილი გრძნობების პატრონია, მასში იღვიძებს ჭეშმარიტი ზნეობრივი მოთხოვნილებათა ხმა და აქედან იწყება მწვავე შინაგანი ბრძოლა და ტანჯვა. ის თავისი ზნეობრივი ალღოთ გრძნობს და ხედავს, რომ ასე ცხოვრება ურგოა და შეუძლებელი და მის შეცვლას ლამობს. მაგრამ ამ დროს მას გარს ეხვევიან, საზოგადოების ყოველ მხრიდან ჩასძახიან და არწმუნებენ, რომ გარემო ცხოვრებაში გამეფებული ზნე-ჩვეულება გონიერი და სამართლიანია; უმტკიცებენ, რომ ადამიანს საზღვარს დაუდებელ აღვირ ახსნილ ვნებათა ღელვის და სურვილების თავდაუჭერლად დაკმაყოფი-

ლება არ უშლის პატიოსანისა და სასარგებლო კაცის სახელი ატაროს. ბრძოლა უმეტეს შემთხვევაში სამწუხაროთ თავდება. თავის სუსტი ხასიათით განაწამები ადამიანი საზოგადოების ხმის ზეგავლენას ემორჩილება, სინდისის მხილებისაგან ყურებს იყრუებს და ზედ ნაცარსა და ფერფლ აყრის, ჭკუა-გონებას და აზროვნებას აუკულმართებს, რათა გაამართლოს თავისი საქციელი და სხვებივით გარყვნილ ცხოვრებას დაეწაფოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლომდი იბრძვის, იტანჯება და დასასრულ ან ჭკუაზე ცთება და ან თავს იკლავს".

აი სწორედ ასეთი მგრძნობიერი, ბუნებით თოვლივით სპეტაკი, მაგრამ იმავე დროს სუსტი ნების პატრონი გახლავთ ფედია პროტოსოვიც. ის ვერ ეგუება არსებულ ცხოვრების დუხჭირ პირობებს, მაგრამ იმდენად სუსტი აღმოჩდება, რომ ველარ უმკლავდება მას და მისი ქარტეხილში მოჰყვება. ქვეყნად ფრთებ-გაშლილ ცხოვრების სისაძაგლეს ხმა მაღლა აღიარებს და ამავე დროს მის წუმპეში უფრო და უფრო ეფლობა და ბოლოს თვით-მკვლელობით ათავებს.

„განა ვერ ვხედავ, ამბობს ფედია, მე დაღუპული ვარ, აღარაფრად ვარგივარ? ყველასათვის და ჩემი თავისთვინაც მძიმე ტვირთი ვარ"...

გრძნობს ამას და სირცხვილით იწვება. მაგრამ, იმის მაგივრად, რომ ცხოვრებაში თავის ადგილსა და როლს მიაგნოს, პატიოსანსა და წმინდა შრომას ხელი მოჰკიდოს, იგი თავაშვებულ ლ გზააბნეულ ცხოვრებას ეძლევა, ღვინითა და თავდავიწყებით ფიქრობს და ცდილობს სინდისს ხმის დაყრუებას და სირცხვილის გრძნობის დაჩლუნგებას.

„თქვენი ვერაფერი გამიგია,—ეუბნება პროტასოვს გენ. აბრეზკოვი. თქვენ-მოხერხებული, ჭკვიანი კაცი, ასეთმა გრძნობიერებამ კეთილისადმი,—როგორ შესძელით მაგნაირი გართობა, დავიწყება იმისი, რასაც თქვენგანვე მოითხოვთ? როგორ მიხვედით მანდამდის, როგორ დაღუპეთ თქვენი სიცოცხლე?"

განა ამას თვითონაც კარგად გრძნობს, მაგრამ ძალა ის არის, რომ აქტიურ შრომისათვის ძალა არ შესწევს, ხასიათის სიმტკიცე და ძლიერი ნება არა აქვს და სხვანაირად ცხოვრებას ვერ ახერხებს.

„ყველა ჩვენთვის, იმ წრისათვის, რომელშიაც დავიბადე, ამბობს პროტასოვი, სამი რამეა ასარჩევი,—მხოლოდ სამი: იმსახურო, შეიძინო ქონება და გააფართოვო ის სისაძაგლე, რომელშიაც ცხოვრობ. ეს მეზიზღებოდა, იქნება ვერც ვახერხებდი, მაგრამ მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მეზიზღებოდა. მეორე—ძირს უნდა უთხრიდე იმ სისაძაგლეს; ამას გმირობა უნდა, გმირი კი არა ვარ. ან კიდევ მესამე—თავდავიწყებას მიეცე, დრო ატარო, იმღერო,—აი მეც სწორედ ამას ჩავდიოდი, რამაც ამ დღემდე მომიყვანა"...

დიახ, პატარაობიდანვე უფროსების ერთნაირ უგნურ მზრუნველობის ქვეშ აღზრდილს, თვით-მოქმედებასა და საკუთარ შრომას მიუჩვეველს, ნების ძალას მოკლებულს და იმავე დროს მგრძნობიერ ფედიას მეტი არა დარჩენოდა რა, თუ არ თავდავიწყებისა და გარყვნილების მორევში შეტოპვა. მას ცხოვრებაში დამყარებულ უსამართლობისა და სისაძაგლის შებრძოლება კი არა, უბრალო განუწყვეტელი პატიოსნური შრომაც კი გმირობათ მოეჩვენებოდა. მის არსებაში თვით-მოქმედების და შრომის უნარი შეუფერებელი და მახინჯი აღზრდით აღმოფხვრილი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომიერ შრომასა და ვარჯიშობაში ბედნიერებასა და კმაყოფილებას ჰპოებდა, თავის შრომის ნაყოფით დატკბებოდა და მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქებით შვებასა და ლხენას განიცდიდა.

მუშაობა და შრომა ჩვენი არსებობის კანონია. ის მთელი ხალხის და კერძო ინდივიდთა მამოძრავებელი პროგრესის ცოცხალი სტიმულია. გონიერი შრომის სიყვარული ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერების აუცილებელი პირობა. „ჩვენ, ამბობს ტოლსტოი „Война и миръ“-ში, თავის ზნეობრივ თვისებებით არ შეგვიძლია უსაქმოდ და ცუდათ ყოფნა და იმავე დროს სულიერი სიმშვიდის შერჩენა“. მართლაც მცონარე და უსაქმო ადამიანი მუდამ მოუსვენარი და უკმაყოფილოა და ათას გვარ შავი ფიქრებით გარემოცულია. კეთილი და სათნოინი ადამიანი ცხოველსა და გამამხნევებელ მუშაობაში, თავისი და საზოგადოების სასარგებლოთ გაწეულ შრომაში მაღალ სიამოვნებას და ციურ ნეტარებას ჰპოებს.

„მუშაობა, პროფ. სიკორსკის აზრით სიცოცხლის ერთი პირობათაგანია და ნერვიული სისტემის განვითარებისა და წარმატების ხელის შემწყობია. ყველა დიდებულმა პიროვნებამ ბუნებრივ ნიჭთან ერთად მუდმივი დაუცხრომელი შრომით გაითქვა სახელი და ნაყოფი გამოიღო. ადამიანის ხორციელი და სულიერი თითეული ორგანო გონიერი და ზომიერი შრომით სიმახვილეს ძალას, სიმკვირცხლეს და სისწორეს იძენს და სრულყოფილად იქცევა“.

ამისთვის ფრიად სასარგებლო და აუცილებლად საჭიროა ბავშვს პატარაობიდანვე ჩაუხერგონ და შეაჩვიონ საღ შრომას, რომელიც, უშინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ—„არის ერთად ერთი ღირსეული ბედნიერება, რაც კი ხელმისაწდომია კაცისათვის ქვეყანაზე“.

არ შეიძლება გულის ტკივილი და მწუხარება არ იგრძნოს კაცმა, როდესაც მოზარდ თაობის, ამ მომავალ მოქალაქეთა აღზრდა-განვითარების წარმოებას გაითვალისწინებ. ღარიბი, მშრომელი ხალხის შვილები სიმშილსა და მწუხარებაში იზრდებიან და მოკლებულნი არიან ყოველგვარ მზრუნველობასა და ყურადღებას. მაგრამ მათი მდგომარეობა საშუალო და მაღალ საზოგადოების ბავშვებისას იმით მაინც ჯობს, რომ ბუნების მკერდზე ლაღათ დანავარდობენ და მის დიად გავლენას განიცდიან; ამათ, მიუხედავათ გაჭირვებულ ცხოვრებისა, ბავშური სიმკვირცხლე და ხალისი არ დაკარგვიათ. ქალაქის შეძლებული მშობლების ბავშვები კი განაზებული და განებივრებული აღზრდის წყალობით უსულო არსებათ წარმოადგენენ და ცოცხლად მკვდრებს ემზგავსებიან. აქ ბავშვებს ანებივრებენ და აზვიადებენ და ცხოვრებისთვის სრულებით არ ამზადებენ.

მ. კაკაბაძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონტესორის სისტემის საბავშვო ბაღი იტალიაში

მდაბიო ხალხისთვის შემუშავებული პედაგოგიური ხერხი იხმარება საზოგადოთ სწავლა-აღზრდის საქმეში, როგორც უფრო რაციონალური. ბიოგრაფიული ცნობანი ავტორის შესახებ. მონტესორის წიგნის განსაკუთრებითი ღირსება. მონტესორის საბავშვო ბაღისა და ჩვეულებრივ საბავშვო ბაღის განსხვავება. უარყოფა ნივთების კეთებისა. კრიტიკა ფრებელის ზოგიერთა ვარჯიშობისა ფიზიოლოგიურ თვალსაზრით. შეძერწვა—ერთად ერთი ვარჯიშობაა, გადმოდებული ფრებელის საბავშვო ბაღიდან. კუნთების სისტემის ვარჯიშობა. ფეხების გიმნასტიკა. ხელების გიმნასტიკა. გიმნასტიკა სუნთქვისა და მუშაობა სახლში და ბაღში. გარეშე გრძნობათა განვითარება. უნარსვა,—გემო,—შეხება. ხედვა. საგნის ზომა. ფორმა. ფერი. სმენა. ხმაურობისა და ბგერის გარჩევა. სიჩუმის სეანსი

I.

სწავლა-აღზრდის საქმეში შენიშნულია, რომ ის მეთოდი, რომელიც საუკეთესოთ მიაჩნდათ ჩამორჩენილ რასსებისთვის, ან საზოგადოების ღარიბ ნაწილისათვის, უფრო ნაყოფიერი გამომდგარა, ვიდრე მეთოდი, რომლითაც ხელმძღვანელობდა კაცობრიობის განვითარებული ნაწილი. ყოველივე, რაც პირველთაოვის მოგონილია, ხელსაყრელი გამომდგარა მეორესთვის. ანალოგიურ მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე შემდეგი მოვლენა: ის მეთოდი, რომელიც შემუშავებულია გონებრივად და ფიზიკურად ჩამორჩენილ ბავშვთათვის, დიდ სამსახურს უწევს ნორმალურ ბავშვების აღზრდას. პირველთა ზრუნვამ გამოიწვია მრავალი მეთოდი, რომელიც თავისი ფსიხო-ფიზიოლოგიური საფუძვლით საუკეთესო გამომდგარა ნორმალურ ბავშვის გასავითარებლად. ამ მეთოდის დიდ ღირსებას შეადგენს ის თანდათანობა, რომელიც ასე ხელს უწყობს გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს. ამავე თანდათანობის პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ ნორმალურ ბავშვების სწავლის დროსაც, რადგანაც ნიჭიერი ბავშვი ხშირად საგანს მხოლოდ რწმენით ითვისებს, იმეორებს მასწავლებლის სიტყვას, ღრმად არ არის დარწმუნებული შეძენილი ცოდნის სინამდვილეში. ამ ჟამად ამ მეთოდის მოძღვრეა ქ-ნი მონტესორი. ამ თხუთმეტი წლის წინად იგი დანიშნული იყო ექიმ—ასისტენტად რომის უნივერსიტეტის ფსიხიატრულ კლინიკაში; პაციენტთა შორის ქ-ნი მონტესორის განსაკუთრებითს ყურადღებას სულით ავადმყოფი ბავშვები იქცევდნენ; შემდეგ იგი დაინიშნა ამ გვარ ბავშვთათვის დაარსებულ სკოლის ხელმძღვანელად; მან დაარსა აგრეთვე საექიმო-პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც თვითონვე იყო მასწავლებლად და ეცნობოდა ზნეობით და სულით ავადმყოფ ბავშვებს; კითხულობდა ლიტერატურას, რომელიც კი ამ უკანასკნელთ შეეხებოდა; განსაკუთრებითს ყურადღებას აქცევ-

და ორ კლასსიკს Stard-ს და Seguin-ს, რომელთა მეთოდით იგი ხელმძღვანელობდა; ქ-ნ მონტესორს საჭიროდ მიაჩნდა პედაგოგიურ ანტროპოლოგიის მნიშვნელობა და ამიტომაც შეუდგა მის შესწავლას. ამ ჟამად იგი რომის უნივერსიტეტის დოცენტად ითვლება, აგრეთვე, კითხულობს ლექციებს ქალთა უმაღლეს კურსებზე რომში. მან დასწერა წიგნი შემდეგის სათაურით: „ჩჩვილ ყრმათა აღსაზრდელი სამეცნიერო-პედაგოგიური მეთოდი“.

მარიამ მონტესორი.

წიგნი მეტად საინტერესოა. აქ იმდენი ახალი თავისებური და მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული მასალაა, რომ ყველა, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს ბავშვის სათუთ ბუნებასთან, მასში ჰპოვებს ბევრს საგულისხმიეროს და სასარგებლოს. ყოველივე, რასაც იგი ბავშვის შესახებ გვამცნევს, პედაგოგისთვის ნამდვილ აღთქმას უნდა შეადგენდეს. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, და შეიცავს 283 გვერდს. ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ამ წიგნის უფრო საგულისხმიერო ადგილებს. თავდაპირველად შევეხებით მონტესორის საბავშვო ბაღს, რომელიც ბევრ განათლებულ ქვეყნებში სხვა და სხვა სახელით არსებობს, „Kindergarten“, „Ecol maternelle“ infont-school.

ვეწვიოთ საბავშვო ბაღს გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში, რუსეთში.

შესვლისათანავე თვალ-წინ გეშლებათ შემდეგი სურათი: კედლებზე ჩამწკრივებულია მრავალი სხვა და სხვა ნივთი, რომელიც ბავშვისა და მის ხელმძღვანელ მასწავლებლის მუშაობის შედეგს წარმოადგენს; აქ ნახავთ პატარა ხალიჩებს, მძივის კალათებს, ფერადი საღებავით აჭრელებულ წიგნაკებს და სხვა. ყველა ეს დიდის სიფრთხილით ინახება და დრო გამოშვებით მართავენ ამ ნივთების გამოფენას. ამ ნივთების დამზადება დიდს შრომას მოითხოვს, როგორც მასწავლებელთაგან, აგრეთვე, ბავშვებისაგანაც.

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს მონტესორის სისტემის საბავშვო ბაღი. აქ ბავშვის შრომისაგან არავითარ საგრძნობელ შედეგს არა თხოულობენ. ის ძვირფასი დრო, რომელსაც ბავშვები ფრებელის ბაღში სხვა და სხვა ნივთების გაკეთებას ანდომებენ, აქ სულ სხვანაირად არის განაწილებული. მონტესორის საბავშვო ბაღში უმთავრესი ყურადღება ბავშვის მოძრაობაზეა მიქცეული, რომელსაც მიზნად აქვს განავითაროს მისი კუნთები და გრძნობანი, მისცეს მას ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და საზოგადოებრივი აღზრდა. აქ ბავშვის საუკეთესო გასართობ მასალას ქვიშა შეადგენს. ბავშვი თავისთვის ჩხირკედელაობს და რაც უნდა, იმას აკეთებს ქვიშისაგან, რომელიც შემდეგ ილშება და არავითარ კვალს არა სტოვებს. მრავალ პედაგოგთაგან უკვე აღნიშნულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რამდენად უნაყოფოა ის დრო, რომელსაც ბავშვი ნივთების კეთებას ანდომებს. ამის და მიუხედავად მთელ ევროპაში საბავშვო ბაღში ჯერ-ჯერობით ვერ განშორებიან ამ მეთოდს. ქაღალდის ხალიჩების დაწყნა, კერვა დაჩხვლეტილ ქაღალდებზე, მძივისაგან კალათების კეთება და სხვა, მონტესორის აზრით, სრულიად არ შეესაბამება ბავშვის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, რადგანაც ბავშვს თვალის აკომოდაცია ჯერ საკმარისად არა აქვს განვითარებული და იგი ძალას ატანს თვალებს, რასაც ფატალური გავლენა შეუძლიან იქონიოს მის მხედველობის განვითარებაზე. ერთად ერთი, რაც ქ-ნმა მონტესორიმ ფრებელის საბავშვო ბაღიდან გადმოიღო ეს—შეძერწვაა. მაგრამ ამას აქ სულ სხვა ხასიათი ეძლევა; აქ მასწავლებელი არავითარ მონაწილეობას არ იღებს ბავშვის მუშაობაში. ბავშვს სრული თავისუფლება ეძლევა და ისიც თავისი ფანტაზიით რასაც უნდა იმასა სთითხნის თიხისაგან.

„ძერწვას—ამბობს ქ-ნი მონტესორი—არავითარი აღმზრდელობითი ხასიათი არა აქვს, არამედ ის მასწავლებელს საშუალებას აძლევს გაეცნოს ბავშვის ფსიხიკას, მის ინდივიდუალობას. როგორც ფრებელის საბავშვო ბაღში, ისიც სარგებლობს ფერადოვან ბურთებით, რომლის საშუალებით ბავშვი ფერადების გარჩევას ეჩვევა. ხმარობს აგრეთვე კუბიკებს, აგურებს, რომელნიც ბავშვებს შეხებათა გრძნობას უვითარებენ. ბავშვმა თვალები უნდა დახუჭოს და ისე გაარჩიოს აგური კუბისაგან. როგორც ვხედავთ მონტესორის საბავშვო ბაღი ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივ საბავშვო ბაღიდან; ამან სრულიად უარჰყო ნივთების კეთება. მაშ რა მისცა ბავშვს ამის მაგიერ? აი როგორ განმარტავს თვით მონტესორი ყმაწვილის აღზრდის დანიშნულებას: „აღზრდის პირველი და წმინდა დანიშნულებაა,—განავითაროს ბავშვში ენერგია,“ ყმაწვილი, მოყრილი საბავშვო ბაღისთვის იმ ასაკშია, როდესაც ის ინდივიდუალურ ცხოვრებიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გადადის; აი სწორეთ ეს გარდასვლა უნდა შევუსუბუქოთ მას, ფრთხილად უნდა გავაცნოთ ახალი ცხოვრება და სასტიკად არ დავარღვიოთ მისი პირადი ინტერესები. ბავშვის ნორმალურ განვითარებისთვის ქ-ნ მონტესორს შემუშავებული აქვს მრავალ-გვარი ვარჯიშობა, რომელთა დანიშნულებაა: განავითაროს ბავშვის კუნთები, მისი ხუთი გრძნობა და მეტყველება. როდესაც მონტესორი კუნთების განვითარებაზე ლაპარაკობს, მას მხედველობაში მარტო ხელი კი არა აქვს, როგორც სხვა საბავშვო ბაღებს. „ფიზიკური აღზრდა ჩვენ უნდა გვესმოდეს, როგორც მრავალგვარი ვარჯიშობა, რომელნიც ხელს უნდა უწყობდნენ ბავშვის ნორმალურ ფიზიოლოგიურ აქტების განვითარებას: მაგ. სუნთქვას, მეტყველებას და სხ. საუკეთესო დრო კი ამ ვარჯიშობისათვის 3—6 წლამდის არის“.

როგორც მეცნიერი ანტროპოლოგი ქ-ნი მონტესორი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ფეხების ვარჯიშობას. ბავშვი, რომელიც მოკლებულია ხეირიან საზრდოს, ხშირად მახინჯდება, ფეხები უმრუდდება, რადგანაც მათ არ შეუძლიანთ ატარონ მთელი ტანი. „გიმნასტიკით“--ამბობს ქ-ნი მონტესორი „ბავშვს უნდა გაუმაგროთ ფეხები, ეს კი შეიძლება მხოლოდ ზომიერი ვარჯიშობით“. საუკეთესო საშუალებათ მონტესორს საქანელა, თოკის კიბე, ბურთის თამაშობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირბილი, სერსო და სხვა ამისთანები მიაჩნია, რაღა თქმა უნდა, რომ ქ-ნი მონტესორი უყურადღებოდ არა სტოვებს აგრეთვე ხელის ვარჯიშობას; საშუალებად მას მიაჩნია „დიდაქტიური მასალა“ (როგორც ეს მის წიგნში არის აღნიშნული). ჩარჩოში გაჭიმულია ტყავი, ან რაიმე ქსოვილი, რომელზედაც ბავშვები ვარჯიშობენ. ამ გვარ ვარჯიშობას ის დანიშნულება აქვს, რომ ბავშვები ეჩვევიან თავიანთ-თავად კაბის, ფეხსაცმელის შეკვრას. ხელებს ავარჯიშებენ აგრეთვე შეძერწვით და ხატვით.

როგორც უკვე ვთქვით, სუნთქვისა და ხმის ორგანოების ვარჯიშობას დიდ მნიშვნელობას აძლევს ქ-ნი მონტესორი. ხშირად ბავშვს რომელიმე ასოსი ან სიტყვის გამოთქმა უძნელდება; ეს კი იმიტომ ხდება, რომ ყმაწვილს განვითარებული არა აქვს პირისა და ყბების კუნთები. აღმზრდელმა უნდა შეურჩიოს ბავშვს შესაფერი მარცვლები, რომელნიც ავარჯიშებენ ბავშვის ენას. მაგრამ მარტო გიმნასტიკით არა კმაყოფილდება ქ-ნი მონტესორი; მისი შეგირდები ვარჯიშობენ აგრეთვე საოჯახო საქმეებში: მაგ. ასუფთავებენ ოთახებს, უვლიან ყვავილებს, ზოგიერთ შინაურ ოთხფეხს. ყოველივე ამას დაუმატოთ აგრეთვე ის თავისუფლება, რომელსაც ქ-ნი მონტესორი ანიჭებს ბავშვებს სწავლის დროს, და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ამ სისტემით ბავშვს საშუალება ეძლევა თავისი პაწია ორგანიზმი ნორმალურად განავითაროს. რომ უფრო სრულ ჰყოს ბავშვის განვითარება, ქ-ნი მონტესორი ყურადღებას აქცევს აგრეთვე გარეშე გრძნობათა განვითარებას. აქამდისინ ერთ რაიმე გრძნობას აძლევდნენ უპირატესობას, მაგ. ერთი ინგლისელი პედაგოგი შემდეგსა სწერს: „კაი ხნის განმავლობაში ყური მიაჩნდათ იმ კარად, რომლის შემწეობითაც ადამიანი იძენდა გონების საზრდოს. შემდეგ, როდესაც უარ ჰყვეს ასეთი ცალმხრივობა, საშველად მოიხმეს თვალი, და მაშინ გამეფდა სწავლა საგნების შემწეობით. მასწავლებელი ეუბნებოდა ბავშვს: „უყურეთ, თქვენ ხედავთ ამას და ამას“, და ამას ეუბნებოდა იგი მაშინ, როდესაც საგნის ამა თუ იმ თვისების გაცნობა შეიძლებოდა მხოლოდ შეხებით. მაშასადამე ცოდნის შეძენის უმთავრეს საშუალებად თვალი იყო მიჩნეული. მაგრამ ეს ნაკლიც მალე იგრძნეს და მაშინ მიმართეს ხელს და შეხების გრძნობას. დროა შევიგნოთ—დასძენს იგი—რომ ამა თუ იმ გრძნობის ცალმხრივი განვითარება ვერასოდეს ვერ შეგვძენს ჩვენ საჭირო ცოდნას; მხოლოდ ყოველი გრძნობის განვითარება შეაძენინებს ადამიანს ნამდვილ ცოდნას“. აი სწორედ ამიტომ ქ-ნი მონტესორი იმისთანა გრძნობასაც კი აქცევს ყურადღებას, რომელიც სხვა საბავშვო ბაღებში სრულიად უარყოფილია. მაგ. ყნოსვა და გემო. აი რა საშუალებას ხმარობდა იგი ყნოსვის გასავითარებლად: ბავშვს აუხვევდა თვალებს და ცხვირთან მიუტანდა რომელსამე ყვავილს; ბავშვსაც ყნოსვით უნდა გამოეცნო ეს ყვავილი. ცუდი სუნის გასაგებათ ბავშვს აყნოსვინებდნენ აგრედვე აყროლებულ ხორცს, დამჟავებულ მაწონს და სხ. გემოს გასავითარებლად იგი შემდეგ საშუალებას ხმარობდა: ენასთან მიჰქონდა შაქარი, მარილი, ქინაქინა და სხვა და სხვა ნაირად შეზავებული ნარევი. ამის შემდეგ ბავშვი პირს ირეცხდა და იგი სისუფთავესაც ეჩვეოდა. ბავშვს ჩვეულებად აქვს ყოველისფერს ხელით შეეხოს; ამ თვისებით ისარგებლა ქ-ნმა

მონტესორიმ და შეხების გრძნობის გასავითარებლად მთელი სისტემა შეიმუშავა.

მას ჰქონდა 1) ფიცარი, გაყოფილი ორ ნაწილად; ერთ ნახევარს სრულიად სუფთა, უხორკლო ქაღალდი ეკრა, მხოლოდ მეორეს ეგრედ წოდებული „შუშიანი ქაღალდი“. 2) ჰქონდა აგრეთვე ფიცარი, რომელზედაც რიგზედ იყო ჩამწკრივებული ხორკლიანი და უხორკლო ქაღალდი: იშველიებდა აგრეთვე სხვა და სხვა ქსოვილებს: ფარჩას, ხავერდს, ჩითს, ტილოს. ყველა ამას ბავშვი თვალ დახუჭული ეხებოდა. დაინტერესებული ბავშვი ხშირად თავის მასწავლებლის კაბასაც ეხებოდა, რომ გაეგო—თუ რა მასალისაგან იყო იგი შეკერილი. ვიდრე ბავშვი ამ ვარჯიშობას შეუდგებოდა, ჯერ ხელები საპნით სუფთად უნდა დაებანა, მერე თბილ წყალში უნდა ჩაეყო და როდესაც კარგად გაიმშრალებდა, საქმეს შეუდგებოდა.

ქ-ნი მონტესორი სცდილობდა, რომ ბავშვებში „ტერმიული, სითბოს გამოცნობის ნიჭი, განევითარებინა. იმის გარდა, რომ ბავშვი ხელსა ჰყოფდა თბილსა და ცივ წყალში, მას მომზადებული ჰქონდა აგრეთვე ერთგვარად მოწყობილი ქვაბები, რომლებშიაც სხვა და სხვა ზომის სითბო-სიცივის წყალი იდგა. ის ასწავლიდა აგრეთვე წონის შეტყობას; ამისთვის დამზადებული ჰქონდა სხვა და სხვა ხის ნაჭერი, ერთნაირი ფორმისა და სიდიდისა; ამ ნაჭრების სიმძიმე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა; ბავშვს სათითაოდ უნდა დაედო თითებზედ ეს ნაჭრები და ამნაირად იგებდა მის სიმძიმეს. შეხებით გრძნობის გასავითარებლად ქ-ნი მონტესორი ხმარობდა აგრეთვე ფრანგელის აგურებს და კუბიკებს. ამათ ბავშვი ჯერ თვალ-ხილულად ეცნობოდა, ანაწილებდა მათ: ერთ მხარეს კუბიკებს აწყობდა, მეორეს—აგურებს; შემდეგ ყოველსავე ამას ბავშვი თვალ-დახუჭული აკეთებდა. ამ შემთხვევაში ბავშვს შეუძლიან მოიხმაროს აგრეთვე ფული, სხვა-და-სხვა მარცვლეულობა. „ერთი სიტყვით“ ამბობს ქ-ნი მონტესორი—ბავშვი უთვალოდ უნდა ხედავდეს“. შემდეგში დავინახავთ, თუ რა დიდი შეღავათი მისცა ბავშვებს ამ თვალ-ხუჭია თამაშობამ, როდესაც ისინი წერის შესწავლას შეუდგნენ. გადავიდეთ ახლა ხედვაზედ. ქ-ნი მონტესორი აქ იმ სახელმძღვანელოებს იშველიებს, რომელთაც ჩამორჩენილ ბავშვთათვის ხმარობდა. ამ სახელმძღვანელოების დანიშნულებაა—გააცნოს ბავშვი საგნის ზომას, ფორმას და ფერს. ბავშვი ასე ეცნობა საგნის ზომას: მას ბლომად აქვს ამოჭრილი ფიცრები; ფიცრის ნახვრეტები სხვა და სხვა ზომისანი არიან; ამ ნახვრეტებისათვის დამზადებულია ხის შესაფერი ნაჭრები, რომელთაც ცილინდრის ფორმა აქვთ.

ბავშვები შესაფერ სიდრმეში ათავსებენ გეომეტრიულ ფიგურებს, რომელთა ფორმებს მხედველობით და შეხებით ეცნობიან.

ერთი ამ ფიცართაგანი მას წინ უდევს; იქვე უყრია ერთმანეთში არეული ხის ნაჭრები. ბავშვმა ესენი ამოჭრილებში

ეროვნული

უნდა ჩასხას. თუ მას ხელში დიდი ნაჭერი შერჩება, რომელიც პატარა ნახვრეტს არ უდგება, ის მაშინვე ხედავს თავის შეცდომას და საჩქაროდ ასწორებს მას. ჰრიზმიდან ბავშვები აშენებენ კიბეებს, კოშკებს და ავარჯიშებენ მხედველობას. ამ რიგად ყმაწვილი სწავლობს ზომას და შემდეგ გადადის ფორმაზედ. მას აძლევენ სხვა და სხვა გეომეტრიულ ფიგურებს; ამ ფიგურებისთვის შესაფერი ნახვრეტებია ამოჭრილი ფიცარში. ბავშვმა ამ ნახვრეტებში უნდა ჩასხას ეს ფიგურები. თუ ბავშვი ამას ერთბაშად ვერ მოახერხებს, მაშინ იგი ჯერ უნდა ფიგურას შეეხოს და შემდეგ იმ ნახვრეტს, რომელშიაც იგი უნდა ჩასვას. მასწავლებელმა კი უნდა უხელმძღვანელოს ბავშვს, რომ იგი სწორედ შეეხოს ფიგურას. სხვა გრძნობათა შორის ქ-ნი მონტესორი აღზრდის სისტემაში სმენას ნაკლებ ადგილს არ უთმობს. ის ამბობს, რომ აკუსტიურ განათლებას ბავშვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვი არა თუ მარტო ესთეტიურად ვითარდება, არამედ დისციპლინასაც ეჩვევა. ბავშვი, რომლის ყურიც ნელ-ნელა ეჩვევა ჰარმონიულ ხმებს, აღარ დაარღვევს სიწყნარეს რაიმე მჭახე ხმაურობით; მაგრამ ჯერ-ჯერობით აკუსტიურ გრძნობის გასავითარებლად მეცნიერული, დიდაქტიური მასალა შემუშავებული არ არის. ხმების გარჩევისათვის ქ-ნი მონტესორი კამერტონებს ხმარობდა; სხვა და სხვა ხმაურობის გამოსაწვევად ის ხმარობდა კოლოფებს, რომლებშიაც ეყარა ქვიშა, კენჭები; ხმარობდა აგრეთვე დალაბანდს, ზარს. ქ-ნი მონტესორის აზრით აკუსტიურ გრძნობის გასავითარებლად უკეთესია იხმარებოდეს უფრო მარტივი იარაღი, მაგ. არფა, სტვირი, ფორტეპიანო მას ნაადრევად მიაჩნია, რადგანაც მასწავლებელი დაკვრის დროს საკმარის ყურადღებას ვერ უწილადებს ბავშვებს. „არა ერთხელ შეგვინიშნავს, — ამბობს ქ-ნი მონტესორი, — რომ ბავშვი უფრო ადვილად ითვისებს მუსიკის რითმს, ვიდრე ჰარმონიას. ამიტომაც ურჩევს იგი მასწავლებელთ ბალეტის გამართვას, რომელიც ბავშვს რითმიულ და მოხდენილ მოძრაობას შეაჩვევს. მას მოჰყავს მაგალითი მილანის საბავშვო ბაღიდან, სადაც ამგვარ ვარჯიშობის შემდეგ ბავშვები ერიდებოდნენ ხმაურობას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამასთანავე, რომ ამ ბაღის ბავშვები ღარიბ დედ-მამის შვილები იყვნენ, ქუჩაში აღზრდილები და დისციპლინისა არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ. ამ საბავშვო ბაღის ზედამხედველი ქალი მონტესორის სისტემით ხელმძღვანელობდა და თავ-აშვებულ ბავშვებს არ უშლიდა ხტუნაობას, ცელქობას; ხმაურობისთვის არ სჯიდა; მხოლოდ ამასთანავე ბავშვებს მუსიკის შემწეობით ცეკვაში ავარჯიშებდა, ამ სისტემამ სასურველი ნაყოფი გამოიღო; ბავშვები ნელ-ნელა ეჩვეოდნენ წეს-რიგს და ბოლოს სამაგალითო დისციპლინაც დამყარდა.

— ყოველივე, ეს იმიტომ მოხდა, ამბობს ქ-ნი მონტესორი, — რომ ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილება — მოძრაობა შეზღუდული არ იყო, არამედ მას წესიერი და სასურველი განვითარება მისცეს მუსიკის შემწეობით“.

საინტერესოა — თუ როგორ უვითარებდა ქ-ნი მონტესორი ბავშვებს ყურ-მახვილობას. სხვა და სხვა საშუალებით კლასში სამარისებულ სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რის შემდეგაც ბავშვები საათის ჩხაკუნს ან სხვა რისიმე ხმას ტყობილობდნენ, რაც ჩვეულებრივ დროს მათთვის უმნი-

შვნელოდ იკბრგებოდა. აი ერთი მაგალითი ამგვარი სიჩუმისა:

— როდესაც კლასში სრული სიჩუმე ჩამოვარდა—მოგვითხრობს ქ-ნი მონტესორი, მაშინ ბავშვებს ვუთხარი: დახუჭეთ თვალები, თავი დაღუნეთ და ყური მიუგდეთ იმ ხმას, რომელიც თქვენ გამოგიძახებთ. მეორე ოთახიდან ბავშვებს სათითაოდ ვეძახოდი ჩუმის ხმით, რომელიც სამარიდან ამოძახილს უფრო მიაგავდა; ეს ხმა ბავშვს ღრმად სწვდებოდა გულში; გამოძახებული ბავშვი თავს მაღლა იღებდა, თვალებს ახელდა და გასაოცარი სიფრთხილით, რომ სიჩუმე არ დაერღვია, გამოსწევდა ჩემკენ; მაგრამ ფეხის ხმა მაინც ისმოდა; როგორც კი ბავშვი კარებში თავს შემოჰყოფდა, ერთს შეხტებოდა, გულიანად გადაიკისკისებდა და მაგრა მომეხვეოდა. ეს ბავშვი გულის ფანცქალით უცქეროდა თავის ამხანაგებს; ის კარგად გრძნობდა, რომ მას უპირატესობა მისცეს, რადგანაც პირველი გამოიძახეს; მან იცის, რომ ყველას გამოიძახებენ; მაგრამ პირველად მას იხმობენ, ვინც ყველაზე წყნარად ზის. ამიტომ ყველა ცდილობდა სიჩუმის დაცვას, რომ მალე გამომეხმო. მე ვნახე პატარა გოგონა, რომელიც ყოვლის ღონის ძიებით ცდილობდა ცხვირის ცემინება შეემაგრებინა, რომ სიჩუმე არ დაერღვია; პაწია ებრძოდა თავის თავს და ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან. ამ გვარი ვარჯიშობა ძლიერ ეხალისებათ ბავშვებს. ისინი ამაყობენ თავიანთ გამარჯვებით.

II

ზნეობრივ-საზოგადოებრივი აღზრდა. დისციპლინა. თავისუფალი მოძრაობა, ჭეშმარიტი დისციპლინა თავისუფლებაზეა დამყარებული. რა არის თავისუფლება? თავისუფლების აღზრდა. სიჩუმის კაკვეთილები. ზომები კერძ ბავშვთათვის. დასაჩუქრება და დასჯა. სწავლის სურვილი. ინტელექტუალური განთლება. სწავლება ნომენკლატურით. როგორ უნდა შეხვდეს მასწავლებელი ბავშვის შეცდომას? მასწავლებლის მრავალ-სიტყვაობა უნაყოფოა. სურათების ახსნა. შეძერწვა და თავისუფალი ხატვა.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ზომებს ხმარობდა ქ-ნი მონტესორი ბავშვის ზნეობრივსა და საზოგადოებრივ გრძნობათა გასავითარებლად. ორ-სამ წლიდან ბავშვი საზოგადოების წევრი ხდება და თავის ტოლ-ამხანაგებში ერევა. აქ ბავშვი ეჩვევა კარგის და ავის გარჩევას, ის აკვირდება თავის ახალ ცხოვრებას და ითვისებს საზოგადოებრიულ დისციპლინას. მან უკვე იცის როდის და როგორ უნდა მოიქცეს. ქ-ნ მონტესორის სწამს დისციპლინა, მხოლოდ მისი შეხედულება დისციპლინაზედ არსებითად განსხვავდება იმ შეხედულებისაგან, რომელიც გამეფებულია ჩვეულებრივ საბავშვო ბაღებში. როდესაც ჩვენ კლასის დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ასეთი კლასი გვყავს წარმოდგენილი: ბავშვები სულ-განაბულნი უმოძრაოდ სხედან თავ-თავიანთ ადგილებზე და შესცქერიან მასწავლებელს. ამ რამდენიმე წლის წინათ ქ-ნი იანჟული ინგლისში ეწვია ეგრედ წოდებულ „საბავშვო განყოფილებას“ და მას შემდეგი სურათი გადაეშალა თვალ-წინ: ბავშვებს ხელები ზურგზედ დაეწყოთ და სულ-განაბულნი ისმენდნენ მასწავლებ-

ლის სიტყვებს. ასეთივე სურათი ნახა იტალიის სკოლებშიაც, საცა პაწია ბიჭუნებს ხელები თავზედ დაეწყოთ და მასწავლებელს შესცქეროდნენ; რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი მდგომარეობა მეტად შესაწუხებელია იმისთანა ცოცხალ ბავშვისათვის, როგორიც იტალიელია. აი ჩვეულებრივი იდეალი დისციპლინარულ კლასისა. ახლა მოუსმინოთ ქ-ნ მონტესორის: „ჩემის აზრით—ამბობს იგი—დისციპლინარული კლასი ის არის, საცა ბავშვები ბუნების მოთხოვნილებისამებრ მოძრაობენ, ხოლო ამ მოძრაობით კი არავის ავნებენ". ამისთანა მაგალითს ადამიანი მხოლოდ ამერიკის სკოლებში შეხვდება. ჭეშმარიტი დისციპლინა ქ-ნი მონტესორის აზრით მხოლოდ ბავშვის თავისუფლებაზედ არის დამყარებული, მაგრამ ამ თავისუფლებით ბავშვს რაიმე უწესრიგობის ჩადენის ნება არ ეძლევა; მისი თავისუფლება შეზღუდულია მის ახლო მყოფთა ინტერესებით. სამწუხაროდ, ხშირად თავისუფლება ესმით, როგორც თავ-ნებობა; ეს თავნებობა კი ბავშვის ახალ მდგომარეობას, როგორც საზოგადოების წევრისას, სრულიად არ შეესაბამება. თავის ჟინის მოსაკლავად, რაღა თქმა უნდა, ყოველი ბავშვი თავისუფლებას იჩენს, მაგრამ ჭეშმარიტ თავისუფლებისათვის კი იგი რაოდენადმე აღზრდილი უნდა იყვეს და აი მაშინ შეგვიძლიან ბავშვს „აქტიური" დისციპლინა მოვთხოვოთ, რომელიც ფრიად განსხვავდება ჩვეულებრივ სკოლების დისციპლინისაგან; ეს უკანასკნელი ბავშვს მხოლოდ პასსიობას აჩვევს. ბავშვში თავისუფლება მხოლოდ მაშინ გაიწრთვნება, როცა მასში დამოუკიდებლობის სურვილს გავაღვიძებთ. ქ-ნ მონტესორის სწამს, რომ მისი სისტემით აღიზრდებიან გამგონე და დამჯერო ბავშვები. ზემოთ უკვე განვიხილეთ სიჩუმის გაკვეთილები; აქ კიდევ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რადგანაც იგი დისციპლინას შეეხება. აქ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ქ-ნ მონტესორის სისტემით ბავშვი პირველად ხელ-ნაწერიდან იწყებს კითხვას. „ერთხელ კლასში რომ შეეედი—მოგვითხრობს ქ-ნი მონტესორი—მე მივედი დაფასთან და დავწერე: „თქვენ მე გიყვარვართ?" ბავშვებმა დინჯათ ჩუმის ხმით წაიკითხეს დაწერილი, პატარა ხანს გაჩუმდნენ და მერე ერთ ხმივ დაიძახეს „ჰო; ჰო". მე განვაგრძე წერა:—მაშ გაჩუმდით და ყურადღება იქონიეთ". ამის კითხვა ბავშვებმა ძლიერ მაღლა დაიწყეს, მაგრამ ბოლო სიტყვასთან რომ მივიდნენ, ერთბაშად ჩაჩუმდნენ და კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

კერპ ბავშვს ქ-ნი მონტესორი უყურებს, როგორც ავადმყოფს, რომელიც მასწავლებლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას თხოულობს. იგი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება; მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ბავშვის სიკერპე არავითარი ავადმყოფობით არ არის გამოწვეული, მას არა სჯიან, არამედ შემდეგ ზომას ხმარობენ: გაუგონარ ბავშვს ცალკე დასვამენ ხოლმე კლასში, მხოლოდ ყველა საჭირო სავარჯიშო მასალას კი აძლევენ. ეს განცალკევება წრთვნის ბავშვს. თავის ალაგიდან ის თვალყურს ადევნებს ამხანაგების ქცევას და ითვისებს მას; მაგრამ რა საშინელ განსხვავებას წარმოადგენს ის სურათი, რომელიც აღწერილი აქვს ქ-ნ ჟირარს თავის წიგნში „დედების სკოლები"; თვით ქ-ნი ჟირარი ამ სკოლის ზედამხედველი იყო. ვალაპარაკოთ თვითონ ავტორი: „ერთ საბავშვო ბაღში თამაშობის დროს მოაღწია; ყმაწვილებს ბურთი უნდა ეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშნათ; გოგოები და ბიჭები ხელს იშ-ვერდნენ, რომ მალე გაეხმოთ სათამაშოთ. ამ დროს მასწავლებელი მიუბრუნდა ერთ ბავშვს და უთხრა: ,,დღეს შენ არ ითამაშებ, რადგანაც ცუდათ იქცევი''. იმ დღეს—ამბობს ქ-ნი ჟირარი, მე სულ ბავშვებთან ვიყავი და ვერ შევამჩნიე, რომ რომელსამ ბავშვს დისციპლინა დაერღვია. მართალია, ყველანი მოძრაობ-დნენ, მაგრამ არც ერთს ხმა მაღლაც კი არ გაუცინია; ბავშვები ჩინებულად იქ-ცეოდნენ. ნეტა რა ჩაიდინა ამ ბავშვმა, ვეკითხებოდი ჩემ თავს, რომ ასე სასტი-კად დასაჯეს.

თამაშობა რომ გათავდა, მივედი მასწავ-ლებელთან და შევეკითხე: ,,განა ისეთი რა ჩაიდინა მაგ ბავშვმა, რომ ასე დასა-ჯეთ?'' ,,როგორ თუ რა ჩაიდინა? ერთ წუთას არ გაჩერდება, სულ ტოკავს, ინძრევა''. როდესაც სკოლის ზედამხედ-ველმა შემატყო, რომ ამ პასუხმა არ და-მაკმაყოფილა, მასწავლებლის გასამართ-ლებლად დაუმატა: ,,მეტი-მეტად ფუქსა-ვატია ეს ბავშვი, მუყაითობა ნატამალი არა აქვს''. (არ დაგავიწყდეს, მკითხვე-ლო, რომ ბავშვი მხოლოდ ხუთი წლისა და ოთხი თვისაა). როცა ნახა, რომ ვერც მისმა პასუხმა დამარწმუნა ბავშვის დანა-შაულობაში, მაშინ დაუმატა: ,,ამას გარ-და ეგ ერთი იმ სულიერთაგანია, რომე-ლიც ჩვენ არა ნორმალურად მიგვაჩნია". ამისთანა მაგალითს ადამიანი არა თუ მარტო საფრანგეთში, არამედ გერმა-ნიაში და სხვა განათლებულ სახელმწი-ფოებშიაც შეხვდება. ბევრგან ხმარობენ ამ ზომას: ბავშვს სჯიან იმითი, რომ მონაწილეობას არ აღებინებენ თამაშო-ბაში. ქ-ნი მონტესორი უარჰყოფს რო-გორც დასჯას, აგრეთვე დასაჩუქრებას, და იმის საბავშვო ბაღში ფაქტიურად მოსპობილია ყოველივე საჩუქარი; მან შენიშნა, — როდესაც ბავშვს გაღვი-ძებული აქვს სწავლის სურვილი, მას საჩუქრით წახალისება აღარა სჭირდება. აი რას მოგვითხრობს ქ-ნი მონტესორი: „ერთხელ ჩვენს საბავშვო ბაღში მოვიდა სტუმარი, თან მოიტანა ყუთი, რომელ-შიაც ეწყო რამდენიმე ბეჭედი; მან უთხრა ბავშვებს: მასწავ-ლებელი ამ საჩუქრებს იმათ გაუკეთებს გულზედ, რომელნიც ყველაზედ კარგათ იქცევიან. თუმცა ყოველივე ეს ჩემ მე-თოდს არ შეესაბამებოდა, მაგრამ მე მაინც გავჩუმდი. მასწავლებელმა ჩამოართვა სტუ-მარს ყუთი; ამ დროს ოთხი წლის ბიჭუ-ნამ, რომელიც თავისი სამაგალითო ყო-ფა-ქცევით ირჩეოდა, წარბები შეიჭმუხნა და დაიძახა: „ჩვენ მამაკაცებს საჩუქრები არ გვინდა". რა გულახდილობაა,—დას-ძენს ქ-ნი მონტესორი. ბავშვმა მშვენივ-რად იცოდა, რომ საჩუქარს უეჭველად მიიღებდა, მაგრამ არ უნდოდა ამ დასა-ჩუქრებით თავი დაემცირებინა, და რომ ველარა გააწყო რა, საშველად თავისი სქესი მოიხმო. მონტესორის საბავშვო ბაღში ჯილდოს ალაგი სწავლის წყურ-ვილს ეჭირა. „ჩვენ დიდად ვცოდავდით, —ამბობს ქ-ნი მონტესორი—როდესაც აპრიორულად უარვყოფდით ბავშვში ყო-ველსავე სიყვარულს სწავლისადმი; პირ-იქით, ეს სიყვარული მძლავრია მასში; ბავშვს ინსტიქტიურად სწავლა უფრო უყ-ვარს, ვიდრე თამაშობა. სწავლის სურვი-ლი მონტესორის ბავშვებს, რასაკვირვე-ლია, მაშინ უფრო უნდა დასტყობოდათ, როდესაც ისინი ფიზიკურ და გრძნობათა განვითარებიდან ინტელექტუალურ აღზრ-დაზედ გადავიდოდნენ. ნომენკლატურის სწავლა შეადგენდა პირველ საფე-ხურს. ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ რო-

გორ ეცნობა ბავშვი საგნის თვისებათ. ეხლა კი ყოველსავე ამას ერთვის ახალი ფაქტორი—ნომენკლატურა; ყოველივე ცნება ბავშვმა სიტყვით უნდა აღნიშნოს. ნომენკლატურის გაკვეთილები კი, როგორც ქ-ნი მონტესორი თავის წიგნში აგვიწერს, მეტად მარტივად სწარმოებს, მაგ. ბავშვს აძლევენ ქაღალდს, რომელსაც ერთი მხარე სრულიად სადა აქვს, მხოლოდ მეორე კი ხორკლიანი. მასწავლებელი უჩვენებს სადა გვერდზედ და ეუბნება: „აი ეს სადაა, ეს კიდევ ხორკლიანი, უჩვენებს მეორე მხარეზე. ამ სიტყვების წარმოთქმაში „სადა“, ,,ხორკლიანი'' ბავშვები მრავალ ნაირად ვარჯიშობენ. შემდეგ მასწავლებლის შეკითხვაზე: „რომელია სადა და რომელი ხორკლიანი“ ბავშვმა უნდა შესაფერი ქაღალდი აჩვენოს. შესანიშნავია, რომ ბავშვს შეცდომას არ უსწორებენ. მაგრამ ამაზე ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

ქ-ნი მონტესორი წინააღმდეგია მასწავლებლის მხრივ მრავალსიტყვაობისა. მასწავლებელი რაც შეაძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს ბავშვის საქმეში. მან უნდა შეარჩიოს დრო და ჟამი, რომ მისი ჩარევა ნაყოფიერი იყოს, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ ბავშვებს მინიჭებული. სამწუხაროდ ეს იშვიათი მოვლენაა. აი რას მოგვითხრობს ქ-ნი მონტესორი: „კიონიგსბერგის ერთ საბავშვო ბაღთან ფრებელის კურსები იყო გამართული. ერთხელ ამ კურსების ერთმა მსმენელთაგანმა მეტად ვრცელი და სანტიმენტალური ამბავი მოუთხრო ბავშვებს შავ მამლაყინწაზე და თეთრ ვარიკაზე. შემდეგ მოვიდა ამ კურსების ხელმძღვანელი და ახლა იმან განიმეორა იგივე მოთხრობა, რაღა თქმა უნდა, რომ მჭერმეტყველებას და სიტყვათა სიმრავლეს ფართო აოაგი ჰქონდა დათმობილი. ხშირად რომელსამე ბავშვს სიტყვის ჩართვა სურდა, მაგრამ მისი სურვილი ისევ სურვილად რჩებოდა; ის მხოლოდ მსმენელი იყო“. ფერების სახელების სწავლება ასე სწარმოებს. მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს სხვა და სხვა ფრად შეღებილ ფიცრებს და ეუბნება. „ეს არის წითელი, ამ ფიცარს მიცემ ერნესტს“ და დასახელებულ ბავშვს მაგიდაზე უდებს ფიცარს. ამნაირად დანარჩენ ბავშვებსაც ურიგებს ფერად ფიცრებს; შემდეგ ამ ფიცრებს ბავშვები ხელში იღებენ ისე, რომ ფერადი სჩანდეს და მასწავლებელი იძახებს სათითაოდ: „მოდი ჩემთან, მწვანე ფერო, ცის ფერო, შენც აქ მოდი“. ზოგ ბავშვს მარცხნივ გზავნის, ზოგს კიდევ მარჯვნივ. შემდეგ ამ ბავშვებს ერთმანეთის პირდაპირ აყენებს და აქ იწყება თამაშობა, რომელიც უფრო კადრილს მოაგონებს ადამიანს. მასწავლებელი ამბობს: „მწვანე

ბავშვები ფერების გამოცნობაში ვარჯიშობენ, დახვეულ ფერადი ძაფების შეფარდებით.

ფერო, მიდი წითელთან''. მწვანეც ასრულებს ამ ბრძანებას, მიდის წითელთან, მოხდენილად უკრავს თავს და დგება მის გვერდით. ამ თამაშობას მრავალნაირი საალმზრდელო მნიშვნელობა აქვს: ჯერ

ერთი რომ ბავშვებს ფერების სახელები ღრმად ებეჭდებათ გონებაში, მეორეც, რომ სიტყვების „მარცხნივ" და „მარჯვნივ" მნიშვნელობას მტკიცედ ითვისებენ ბავშვები. ქ-ნი მონტესორი მომხრეა თავისუფალი ხატვისა რადგანაც ამ შემთხვევაში მასწავლებელს, შეუძლიან გაეცნოს ბავშვის ინდივიდუალობას.

III.

წერა-კითხვის სწავლება ქ-ნ მონტესორის საბავშვო ბაღში.

წერა; მოსამზადებელი ვარჯიშობანი წერისათვის. წერის მექანიზმის შემუშავება, სხვა და სხვა ფიგურების ფერადებით შეხამება. ბავშვი უნდა გაეცნოს ხელის იმ მოძრაობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ასოს დასაწერად. სიტყვის შედგენა დამზადებულ ასოებიდან. ვარჯიშობა გასაშლელ ხელნაწერ ანბანით. **კითხვა**. დრო, განვლილი, პირველად დაწერილ და პირველ წაკითხულ სიტყვის შუა. ნამდვილ კითხვას წარმოადგენს სიტყვისა და საგნის ასოციაცია. ნომენკლატურის გაკვეთილები. ბავშვები ხელთნაწერ სიტყვებს კითხულობენ. კითხვა ხელთნაწერი წინადადებისა. კითხვა ჩუმის ხმით. კითხვა ბეჭდურით. ანგარიშის სწავლება. გაკვეთილები ციფრების ნომენკლატურისა, რიცხვისა და მის რაოდენობითის ასოციაცია. დასკვნა.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ბავშვის აღზრდა იმ ხანაში, ვიდრე იგი სკოლაში მიებარებოდა. ახლა ვნახოთ, თუ როგორ სწარმოებდა წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლება ქ-ნ მონტესორის საბავშვო ბაღში. საზოგადოთ წერა-კითხვის სწავლება საბავშვო ბაღის პროგრამაში არ უნდა შედიოდეს; თუმცა ინგლისი და საფრანგეთი ამ აზრს არ ეთანხმებიან და წერა-კითხვას ყმაწვილებს საბავშვო ბაღშივე აწყობინებენ. სამაგიეროდ შვეიცარიას, გერმანიას, ავსტრიას და ამერიკას ეს ნაადრევად მიაჩნია და ამიტომაც წერა-კითხვის სწავლება შემდეგ დროსთვის არის გადადებული, როდესაც ბავშვი პირველ დაწყებით სკოლაში ებარება. ამ უკანასკნელ წლებში ის აზრი წარმოითქვა, რომ ექვს წლამდის წერა-კათხვის სწავლება ნაადრევია და ამიტომაც თხოულობენ, რომ სასკოლო ხანა 7—8 წლიდან ითვლებოდეს, რადგანაც ამაზე ადრე ყმაწვილს საკმარისად არა აქვს განვითარებული არც მეტყველება და არც საგანთა წარმოდგენა. აი რას ამბობს ერთი გერმანელი პედაგოგი: „ვიდრე ბავშვი კითხვის სწავლებას შეუდგებოდეს, მას საკმარისად განვითარებული უნდა ჰქონდეს მეტყველება; იგი ღრმად, დაკვირვებით უნდა ეცნობოდეს ყოველსავე, რაც მის გარშემო იმყოფება. ამგვარი მომზადება, როგორც უკვე განვიხილეთ, სწარმოებდა მონტესორის საბავშვო ბაღში და თუმცა ქ-ნ მონტესორის აზრადაც არა ჰქონდა წერა-კითხვის დაწყება, მაგრამ როდესაც ნახა, რომ ბავშვები საკმარისად მომწიფდნენ, მაშინ უკუ აგდო მან თავისი „ცრუ მორწმუნოება", როგორც თვითონ ამბობს და საცდელად დააწყებინა თავის პატარებს წერა-კითხვა. თავის დაკვირვებიდან ქ-ნი მონტესორი ხედავდა კუნთების მეხსიერების ძალას და ამიტომაც ბავშვს სწავლა კითხვიდან კი არ დააწყებინა, არამედ წერიდან, რადგანაც წერაში მოძრაობას პირველი ალაგი უჭირავს;

ამ მეთოდით ბავშვს დაშორებით უფრო უადვილდება წერა-კითხვის სწავლება.

ყველამ კარგად იცის, თუ რა ძნელია ბავშვისათვის წერით ვარჯიშობა. მაგრამ ქ-ნ მონტესორის აზრით ეს სიძნელე ხელოვნურია; სიძნელეს თვით წერა კი არ შეადგენს, არამედ მისი მეთოდი. ,,ჩვენ ვთხოულობთ ბავშვისაგან სწორე ხაზის გასმას,—ამბობს ქ-ნი მონტესორი;—ეს კი ძნელი და შეუძლებელია; სწორე ხაზის გაყვანა მოზრდილთათვისაც კი ძნელია და, რაღა თქმა უნდა, ბავშვი ამ სიძნელეს ვერ მოერევა. ჩვენი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის ყურადღებას ჩვენ დაწერილზედ ვაქცევთ და არა იმის მოძრაობაზე, ვინცა სწერს. წერის მექანიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს. წერის საფუძველს მოძრაობა უნდა შეადგენდეს''. ამერიკის სკოლებში ბავშვის ყურადღებას ნაწერი კი არ იპყრობს, არამედ თვით წერის პროცესი, ხელის მოძრაობა. იქ ხელის მოძრაობას არა ზღუდავენ, არამედ ყმაწვილს თავისუფლად გაჰყავს ხაზი. ვიდრე ბავშვი წერას შეუდგებოდეს, ის ბევრნაირად ვარჯიშობს; ჯერ უკალმოდ ამოძრავებს ხელს, მერე მშრალი კალმით და შემდეგ იწყებს მელნით წერას.

ქ-ნი მონტესორი ასე ავარჯიშებდა ბავშვს, ვიდრე იგი წერას შეუდგებოდა: ბავშვი, რომელსაც კალმის მსგავსად ხელში ფერადი ფანქარი უჭირავს, რამდენიმე გეომეტრიულ ფიგურას აფერადებს, შემდეგ გადადის ცხოველების, მცენარეების და ადამიანის კონტურებზედ. ბავშვს, მოთხოვნილების მიხედვით, ხან მოკლე და ხან გრძელი ხაზი გაჰყავს; იგი სრულიად თავისუფლად ამოძრავებს ხელს და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებს თავის სამუშაოს. აი რას ამბობს ქ-ნი მონტესორი ამ გვარ ვარჯიშობის შესახებ: ,,ერთი ფიგურის შევსება უდრის მოძრაობის იმ რაოდენობას, რომელიც ბავშვს დასჭირდება, რომ მთელი რვეული ხაზებით შეავსოს!" ამასთანავე ბავშვი ყოველსავე ამას თავისუფლად ასრულებს და ერთად ერთი შეიწროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონტურს არ გადასცილდეს: ამ ფიგურებს რომ დაუკვირდეთ, შეამჩნევთ, რომ ხაზები თან და თან სწორდებიან. ამის შემდეგ ბავშვს ადვილად შეუძლიან კალმის აღება ხელში, რადგანაც კუნთების მექანიზმი საკმარისად აქვს განვითარებული. რაღა თქმა უნდა, რომ ყოველივე ეს დიდ შრომას ითხოვს. ,,აი სწორედ ამიტომ—დასძენს ქ-ნი მონტესორი,—ჩვენმა ბავშვებმა ასე მალე შეითვისეს ხელის ის სიმტკიცე, რომელსაც ჩვეულებრივი სისტემით მხოლოდ მესამე ელემენტალურ კლასში ახწევენ''. ზემოხსენებული ვარჯიშობანი უფრო ხატვის ნაწილს შეადგენენ, მაგრამ ისინი ამასთანავე ჩინებულ საშუალებას წარმოადგენენ წერით ვარჯიშობისთვის. ,,ამ რიგად—ამბობს ქ-ნი მონტესორი,—ჩემი ბავშვები წერას ისე სწავლობენ, რომ წერაში არა ვარჯიშობენ''. წერისათვის, რაღა თქმა უნდა, რომ მარტო ხელის სიმტკიცე არა კმარა. ბავშვმა უნდა იცოდეს აგრეთვე ხელის რა მოძრაობაა საჭირო ამა თუ იმ ასოს დაწერისათვის. ამისთვის ქ-ნმა მონტესორიმ შემდეგი მარტივი ხელსაწყო იარაღი მოიგონა, რომელიც შეხებით გრძნობის დახმარებით ბავშვს აცნობებს სრულ ლათინურ ანბანს. ხორკლიანი ქაღალდისაგან გამოჭრილია ასოები; ამასთან დაცულია ყველა მსხვილი და წვრილი ხაზები; ამ გვარად მომზადებული ასოები დაკრულია სქელ ქაღალდზე; გაკვეთილი ასე სწარმოებს: მასწავლებელი უსახელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვისა და წერის სწავლება შეხების საშუალებით. მარჯვნით და მარცხნით ქალები თითებით ეხებიან სქელ ქაღალდზე ამოჭრილ ასოების მოყვანილობას. შუაში უმაწვილი და ქალი ასოებისგან სიტყვებს ადგენენ.

ბავშვებს იმ ასოებს, რომელნიც მან პირველ გაკვეთილისთვის გამოირჩია, მაგ. მასწავლებელი ეუბნება: ,,ეს არის **ო**, ეს არის **ი**''. შემდეგ ბავშვის მეხსიერების გამოცდისათვის ეუბნება: „მომეცი **ო**, მომეცი **ი**''. ბოლოს მასწავლებელი ჰკითხავს: ,,ეს რომელია ასო?'' და ბავშვიც ეუბნება სათითაოდ „**ი**"-ს და „**ო**"-ს. შემდეგ ბავშვმა თითი უნდა გაუსვას ამ ასოებს, მხოლოდ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამ რიგად ხორკლიანი ქაღალდისაგან გამოჭრილი ასო ბავშვს უჩვენებს, როგორც თვით ქ-ნი მონტესორი ამბობს; ,,ასოს კვალს". ეს ვარჯიშობა რამდენჯერმე მეორდება. ამავე ვარჯიშობას ბავშვი თვალ-დახუჭული იმეორებს. ,,ამ შემთხვევაში, ამბობს ქ-ნი მონტესორი,—სამი გრძნობა იღებს მონაწილეობას: „მხედველობა, შეხება და კუნთების გრძნობა''. თუ გაკვეთილის შემდეგ ბავშვს მაინც უძნელდება ასოების გარჩევა, მას ხელ-ახლად იხმობს მასწავლებელი და ავარჯიშებს, თუ ამ შემთხვევაშიაც ბავშვი მტკიცეთ ვერ ითვისებს ასოებს, მაშინ იგი სპობს გაკვეთილს მეორე დღემდის.

რაც შეეხება შეცდომების გასწორებას, აი რას გვეუბნება ქ-ნი მონტესორი ამის შესახებ: ,,თუ ბავშვი საგნის სახელს თვით საგანს ვერ უერთებს, მაშასადამე ვარჯიშობა უნდა განმეორდეს. ბავშვს თუ შესცდა, იმას ნიშნავს, რომ მასში სასურველი ფსიხიური ასოციაცია ვერ მოხდა და ამიტომ სხვა დრო უნდა ამოვარჩიოთ. თუ ბავშვს ვეტყვით: ,,არა, შენ სწორე არ ამბობ, მაშინ ეს საყვედური მას ღრმად ჩაებეჭდება გონებაში და გაკვეთილსაც ხელს შეუშლის. ამას გარდა შეცდომის გასწორება ბავშვის გონებას ძალას ატანს და სჩაგრავს; ჩვენ კი პირ-იქით ყოველსავე ძალდატანებას უნდა ვერიდოთ. ძველებური მეთოდი კი, რომლითაც ბავშვს წერას ასწავლიდნენ, სჩაგრავდა მას; ყმაწვილი მეტის მეტად ძალას ატანდა თავის თავს წერის დროს''. საუბედუროდ იმავე მეთოდით ახლაც ბევრ სკოლებში ხელმძღვანელობენ. მრავალ გამოჩენილ პედაგოგთაგან უკვე აღნიშნულია ამ მეთოდის უარყოფითი მხარეები. ცნობილი გერმანელი ფსიხოლოგი ლაი თავის თხზულებაში ,,ექსპერი-

მენტალური დიდაქტიკა'' სწორეთ ამ ძალდატანებით ხსნის ავადმყოფ ბავშვთ პროცენტის ზრდას, პირველ კლასში მათი რიცხვი უდრის 17,6%, ხოლო ბოლო კლასში 40,5%-ადის. ჩვენ შევცდებით, თუ ქ-ნ მონტესორის შეხედულებას შეცდომების გასწორებაზე მის ინდეფერენტიზმს მივაწერთ. ამ საკითხმა ჩვენ ცოტა გზას გადაგვახვევინა, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ საგანს. აი ბავშვებმა უკვე შეისწავლეს ანბანი. მაგრამ აზრის გამოსათქმელად ეს არა კმარა. ბავშვმა უნდა იცოდეს, თუ რა და რა ასოს შეერთებაა საჭირო ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად. ამისთვის ქ-ნი მონტესორი ხმაროობდა მას, რასაც ჩვენ დაშლილ ანბანს ვეძახით.

ბავშვები სქელი ქაღალდის ასოებიდან სიტყვებს ადგენენ.

მხოლოდ მას ხელთნაწერი ჰქონდა. ვარჯიშობა ასე სწარმოებდა: მასწავლებელი უკარნახებდა ბავშვებს, მხოლოდ ისე კი, რომ ყოველივე ასო მკაფიოდ გამოეყო სიტყვიდან და ბავშვებიც აწყობდნენ სიტყვებს. ამგვარი ვარჯიშობა, რომელიც ასწავლის ბავშვებს მართლ წერასაც, იმდენად აინტერესებს ბავშვებს, რომ ხშირად თვითონვე იწყებდნენ სიტყვების ანალიზს. მაგ. ოთხი წლის ბავშვი, რომელიც ოთახში ბოლთასა-სცემდა, თავისთვის ბუტბუტებდა ,,ზაირა'' რომ დავწეროთ საჭიროა შემდეგი ასოები: ზ, ა, ი, რ, ა. ხშირად მოხდებოდა, რომ ბავშვს რომელიმე გაგონილი სიტყვის ასოები უკვე თვალწინ ეხატებოდნენ, რაღა თქმა უნდა, რომ ქ-ნი მონტესორი არც ერთს ბავშვს თვითონ ძალად არ აწყებინებდა წერას, არამედ ეს თვით ბავშვის სურვილზედ იყო დამოკიდებული, მსურველთა, შორის იყვნენ აგრეთვე $3^1/_2$ წლ. ბავშვებიც. ბავშვების მეცადინეობამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო. მაგრამ სჯობია თვით ქ-ნი მონტესორი ვალაპარაკოთ: ,,ქრისტეშობისთვის მშვენიერი მზიანი დღე იდგა. ჩვენ დარით ვისარგებლეთ და ყველანი ბანზედ შევიკრიბენით. ბავშვები თავისუფლად დარბოდნენ და თამაშობდნენ. ზოგნი შემოგვეხვივნენ და მებაასებოდნენ. მე საკვამლესთან მივჯექი; უცბად თავში ერთმა აზრმა გამირბინა; მივუბრუნდი იქვე მდგომ ხუთი წლის ბიჭუნას და ვუთხარი: ,,აი ცარცი და აბა ერთი ეს საკვამლე დამიხატე. ბავშვიც ჩაცუცქდა და მართლა მოკლე ხნის განმავლობაში დამიხატა საკვამლე ქვის იატაკზე, რომელიც ნამდვილს ძლიერ წააგავდა; ბიჭუნა შევაქე. ბავშვმა შემომხედა, გაიღიმა და რაღაზედაც ჩაფიქრდა. უცბად წამოიყვირა: ,,მიყურე, მიყურე, მე ვწერ'' და მართლაც დაიკუზა და იატაკზე დასწერა: ,,ხელი'' და ,,ბუხარი''. წერის დროს გახარებული ბავშვი თან ხმა-მაღლა გაიძახოდა: „მე ვწერ, მე შემიძლიან წერა". მიცვივდნენ დანარჩენი ბავშვებიც და რა იხილეს ამხანაგის მოქმედება, მომთხოვეს ცარცი და დაიწყეს წერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვები გასართობად სწერენ ეზოს ქვაფენილზე.

აქამდისინ კი—დასძენს ქ-ნი მონტესორი,—არც ერთს ბავშვს ხელში არა სჭერია არც ცარცი და არც სხვა რაიმე საწერი იარაღი. შესანიშნავია, რომ ბავშვები დაწყებითვე ლამაზ და მოხდენილ ასოებს სწერდნენ, სწორეთ ისეთებს, როგორნიც ხორკლიანი ქაღალდისაგან იყვნენ გამოჭრილნი, დრო, განვლილი პირველ ვარჯიშობისა და წერის შუა ოთხი წლის ბავშვისათვის უდრის თვე ნახევარს, მხოლოდ ხუთი წლის ყმაწვილისთვის კი უფრო მცირეა, დაახლოვებით ერთი თვე. ზოგიერთა ბავშვი კი მთელ ანბანის წერას ოც დღეში ათავებს. რაც შეეხება კითხვას, ამას ბავშვები წერის დაწყებიდან 15 დღის შემდეგ ჰკიდებენ ხელს.

— თუმცა, ამბობს ქ-ნი მონტესორი,— ბავშვს ხეირიანი კითხვა შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საკმარისად არის გავარჯიშებული წერაში“ როგორც



პატარა ქალი კარნახსა სწერს დაფაზე. საზოგადოთ ოთხი წლის ბავშვს მონტესორის მეთოდით წერის შესწავლა ექვს თვეში შეუძლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახეთ, წერა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, არამედ იგი ბავშვისათვის მეტად სასიამოვნო და ადვილ სამუშაოს შეადგენს. გადავიდეთ ახლა კითხვაზე. აქ ქ-ნი მონტესორი ხელმძღვანელობდა სახმო მეთოდით სიტყვების შედგენაში, ხმებისაგან ბავშვები აწყობდნენ სიტყვებს მასწავლებლის კარნახის შემწეობით. როდესაც ბავშვი სიტყვას მოამზადებდა, მას ეს სიტყვა უნდა წაეკითხნა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბავშვს წაკითხვა ბევრად უფრო უძნელდება, ვიდრე მისი შედგენა. მაგრამ სიტყვის შედგენა და მისი წაკითხვა მას შემდეგ, რაც იგი მასწავლებელმა წარმოსთქვა, კითხვას არ შეადგენს. ნამეფილი კითხვა მხოლოდ ის არის, როცა ბავშვს შეუძლიან სიტყვა თვით საგანს ან ცნებას შეუერთოს, ამ ასოციაციისთვის ქ-ნი მონტესორი ფრიად საყურადღებო და საინტერესო ხერხს ხმარობს. დამზადებულია ქაღალდები, რომელზედაც დაწერილია საგნის სახელები, რომელნიც ბავშვმა წერის დროს უკვე წაიკითხა, ამისთვის კი იმ საგნებს ირჩევენ, რომლებსაც ბავშვი კარგად იცნობს; მაგ. სათამაშოებს, ცხოველებს და სხვ. სიტყვის წაკითხვის შემდეგ ქაღალდს მიაკრვენ შესაფერ საგანს. ამ გვარად ბავშვები კითხვას მთელი სიტყვიდან იწყებენ. მხოლოდ ეს სიტყვა ხელთნაწერია. (ბეჭდურის კითხვა შემდეგ დროისთვის არის გადადებული), ახლა ვნახოთ თუ სიტყვების კითხვიდან როგორ გადადიოდნენ ბავშვები მთელ წინადადების კითხვაზე. ,,ერთ ხელ,—მოგვითხრობს ქ-ნი მონტესორი, საუბრის დროს ოთხი ბავშვი წამოხტა, მივიდა დაფასთან და დასწერეს შემდეგი: „როგორ გვიხარიან, რომ ბაღში ვარდები უკვე გაიშალნენ!“ მაშინ კი მივხვდი, რომ დროა შეუდგე წინადადების კითხვას მეთქი. მეც დაფას მივმართე. ქ-ნ მონტესორის აზრით კითხვა ჩუმად უნდა სწარმოებდეს, რადგანაც ამ შემთხვევაში ბავშვი უკეთ ითვისებს წაკითხულის აზრს. ამერიკაშიაც სწორედ ასე იქცევიან; ბავშვს მხოლოდ მაშინ წააკითხებენ ხმამაღლა, როცა იგი მიცემულ მასალას ჩუმად თავისათვის წაიკითხავს. ხმა-მაღლა კითხვის მომხრეებმა შეიძლება უსაყვედურონ ქ-ნ მონტესორის, რომ ამ მეთოდით ბავშვის მეტყველება არ ვითარდება; მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეტყველების გასავითარებლად ის მრავალნაირად ავარჯიშებს ბავშვებს. მას მთელი სისტემა აქვს შემუშავებული ხმის ორგანოების გასავითარებლად. როდესაც ქ-ნ მონტესორიმ ნახა, რომ ბავშვები საკმარისად გავარჯიშდნენ ხელთნაწერის კითხვაში, მაშინ იგი ბეჭდურზედ გადავიდა. საინტერესოა შემდეგი: როდესაც ბავშვებმა ბეჭდურის კითხვა ისწავლეს, ქ-ნი მონტესორი ხელში არ აძლევდა მაინც წიგნს, რადგანაც თვით პირველ-დაწყებითი წიგნიც კი ბავშვისათვის მრავალ უცნობ სიტყვებს შეიცავს. ეს კი მის ძირითად პრინციპს დაარღვევს. წაკითხულის შინაარსი ბავშვისათვის გაუგებარი დარჩება. დავდაპირველად ბავშვებს მოკლე წინადადებებს აძლევენ, რომელიც სქელ ქაღალდზეა დაბეჭდილი; როდესაც ბავშვი მათ კითხვას შეეჩვევა, მაშინ ამ წინადადებებს მოთხრობის მსგავსად გრძელ ფურცლებზედ ბეჭდავენ. აი მეთოდი, რომლის შემწეობითაც ქ-ნი მონტესორი ბავშვებს კითხვას ასწავლის. დაგვრჩა განსახილველად ანგარიშის სწავლება. ანგარიშის სწავლების დროს ქ-ნი მონტესორი ფულებს ხმარობს; ბავშვებს ფულის დახურდავებაში ავარჯიშებს. ხმარობს აგრეთვე პატარა ჩხირებს. ამ ჩხირებს ათამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არითმეტიკის გაკვეთილი.

ლის სათითაოდ ეძლევათ სახელი და სხვა და სხვა კომბინაციის შემწეობით ბავშვები ვარჯიშობენ ათამდის ოთხ არითმეტიკულ მოქმედებაში; სწავლობენ მიმატებას, გამრავლებას, გამოკლებას და გაყოფას. ციფრებს კი სწორედ იმ გვარადვე აწყობენ, როგორც ასოებს. ციფრებიც გამოჭრილია ხორკლიანი ქაღალდისაგან. რაც შეეხება ციფრის და მის რაოდენობითის ასოციაციას ეს ასე ხდება: ყუთში გაკეთებულია რამდენიმე განყოფილება, თითო განყოფილებაში აწყობენ საგნების განსაზღვრულ რიცხვს. ამას გარდა მართავენ აგრეთვე თამაშობას, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს ბავშვს ციფრების სწავლაში: ბავშვებს ურიგებენ დახვეულ ქაღალდებს, რომლებზედაც აღნიშნულია სხვა და სხვა ციფრა. ბავშვები ამ ქაღალდებით ბრუნდებიან თავ-თავიანთ ალაგას. აქ ხსნიან ამ ქაღალდებს, მერე მიდიან მაგიდასთან, სადაც მრავალი ნივთეულობა აწყვია და იღებენ იმდენ ნივთს, რამდენიც მათ ქაღალდზეა აღნიშნული. ბავშვი ამ ნივთებსა და ქაღალდს აწყობს თავის მაგიდაზე; მერე მასწავლებელმა უნდა ჩამოუაროს და შეამოწმოს ნივთების რაოდენობა იმ ციფრასთან, რომელიც იმის ბილეთზეა აღნიშნული. ყოველსავე ამას ბავშვები დიდის სიხარულით და ინტერესით აკეთებენ. მაგრამ ქ-ნი მონტესორი ამითი არა კმაყოფილდება და ბავშვებს აცნობს მრიცხველობას ათის შემდეგაც. ამისთვის კი მან იაფი და მარტივი სახელმძღვანელო მოიგონა. ქაღალდების ერთ სერიაზე დაბეჭდილი იყო რამდენჯერმე ციფრა 10. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალალდები ფორმით ოთხკუთხია. მეორე სერია კი წარმოადგენდა სწორ კუთხოვანს და შეადგენდა ოთხკუთხიანის ნახევარს; ამ სერიაზე დაბეჭდილი იყო ყველა ციფრა ათამდის. თუ უნდოდათ რომ თერთმეტი მიეღოთ, მაშინ 10-ს დაადებდნენ ხოლმე ერთს ისე, რომ მარტო 0-ს დაფარულიყო, თორმეტის მისაღებად 0 დაფარებდნენ ხოლმე 2 და სხ. ამ რიგად ბავშვები ეცნობებოდნენ მრიცხველობას 99-დის.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ ვნახეთ, რომ მონტესორის სისტემა ბავშვებს სწავლის სურვილს და სიყვარულს უღვიძებს. თავისუფალი მოძრაობა მონტესორის საბავშვო ბაღის ძირითად პირობას შეადგენს. თავისუფალი მოძრაობა წრთვნის ბავშვში ყურადღებას. ლაი ამბობს: „უმოძრაოდ ყურადღება არ არსებობს. მისი სისტემა ხელს უწყობს ბავშვის ფსიხო-ფიზიკურ განვითარებას. სამწუხაროდ ქ-ნ მონტესორის საბავშვო ბაღმა ორი წლის შემდეგ მოსპო თვისი არსებობა. მაგრამ მისმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. მას ბევრმა მიჰბაძა. მისი სისტემის მიხედვით მილანში უკვე დაარსდა საბავშვო ბაღი. ამერიკამ ხომ, რაღა თქმა უნდა, დიდი ხანია წაჰბაძა მის მაგალითს. უკან არც საფრანგეთი ჩამორჩა. სასურველია, რომ ქ-ნ მონტესორის სისტემამ უფრო ფართო ნიადაგი მოიპოვოს თავის სამოქმედოთ.

ჩვენში საბავშვო ბაღი ჯერ-ჯერობით ახალი ხილია. მაგრამ სასიამოვნოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქა იქ იგი ჩვენშიც ფეხს იკიდებს. მართალია, ახალი საქმე თავდაპირველად ყოველთვის ძნელია, მაგრამ ამ სიძნელეს ადვილად სძლევს საქმის ცოდნით აღჭურვილი ადამიანი. საბავშვო ბაღის საკითხში მენტესორის სისტემა, რომელიც განვიხილეთ ამ წერილში, ნამდვილი მეცნიერული სისტემაა, დამყარებული აწინდელს საღ პედაგოგიურს ნიადაგზე. ეს სისტემა უნდა გახდეს სახელმძღვანელოდ ჩვენებურ საბავშვო ბაღის ხელმძღვანელთა შორის და მაშინ პრინციპიალურ უთანხმოებას, რამაც თავი იჩინა ჩვენში ადგილი არ ექნება, მაშინ ყველა შეერთებულის ძალღონით შეეცდება ამ ნორჩს დაწესებულებას, უკეთესი ხელმძღვანელობა გაუწიოს და ბავშვების აღზრდაც იმ ნიადაგზე დაამყარონ, რომელსაც აწინდელი მეცნიერება მოითხოვს.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ მენტესორის სისტემა საბავშვო ბაღებში მეცადინეობისა საუკეთესოდ არის მიჩნეული ყველგან და ცდილობენ კიდეც მისს განხორციელებას. რომ სხვებს არ ჩამოვჩრეთ, ჩვენი ვალია ჩვენებური საბავშვო ბაღებიც ამ სისტემაზე ავაგოთ, დავაარსოთ ესრედ წოდებული „სკოლაში მიბარებამდის ბავშვთა აღზრდის საზოგადოება“ და განსაზღვრულის წესით, შეერთებულის ძალღონით და შეთანხმებით შევუდგეთ საბავშვო ბაღების გამრავლებას და მოწყობას ჩვენში.

ნ. ბ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატმები

(ვუძღვნი ქართველ თავად-აზნაურობას)

(დასასრული)

ბალი მართლაც რომ მშვენიერი იყო: ახლად მოწყობილი ოთახები, ყვავილებით მორთული და მშვენიერი ორკესტრი. იქ დაინახავდით უფროს მოხელეს, სამმართველოს წარმომადგენელს, ჯარის უფროსებს, ერთის სიტყვით საუკეთესო ხალხს. გამგე არაფერსა ჰზოგავდა, რათა ბრწყინვალება მიეცა თავის საღამოსთვის. აგრედვე მისი მეუღლე და ქალიშვილი მოწიწებით გამოდიოდნენ სტუმრების დასახვედრად. ვახშამი მოამზადეს და მაცივარნი წყვილ-წყვილად შევიდნენ პურის საჭმელ ოთახში. მე კანკალით ხალხს გავყევი და შევედი რა ოთახში, დავინახე წამოშვერილი მაგიდა, რომელზედაც ეწყო განთქმული, შევესაგან გამოგზავნილი ატმები.

ეს მშვენიერი ატმები, დაწყობილი პირამიდად ქალაქ ლუნევილის თიხის ჭურჭელზედ და მორთული ვენახის მწვანე ფოთოლით, ისე ამაყად ამართულიყო შუა მაგიდიდგან და ისე გასაოცრად შვენოდა მწვანე, ხავერდის სუფრას, რომ კაცს ძალა უნებურად პირს ნერწყვი მოადგებოდა. ერთის შეხედვითვე იგრძნობდა კაცი, თუ რა ფაქიზის არომატით სავსე უნდა ყოფილიყო ეს ყვითელი, მაგრამ წითლად შეელფერებული, იშვიათი ნაყოფი. შორიდგანვე ვეტრფოდი, ვსტკბებოდი მათის სილამაზით და წარმოდგენილი მქონდა რა აღფრთოვანებული დავბრუნდებოდი შინ, თუ ერთს მათგანს მაინც ჩავიგდებდი ხელში. ერთის სიტყვით, ეს ატმები ისე გამოუთქმელად მაკვირვებდა, რომ მთელი ჩემი ოცნება მხოლოდ მათ დასტრიალებდა თავს და მთელი ჩემი გონება მხოლოდ იმას ჰფიქრობდა, თუ როგორ ამეცოცებინა ერთი ან ორი ატამი... მაგრამ როგორ მართლა?... მოსამსახურეები გარს ეხვევნენ და სდარაჯობდნენ ამ ძვირფასს ხილსა. პირველად ატმები თვითონ გამგემ დაურიგა სამსახურის თავ-თავ კაცებს. ხანდისხან, უფროსი მოსამსახურე დინჯად აიღებდა ხოლმე ატამს, გასჭრიდა შუაზედ ვერცხლის ტარიანის დანით და ამნაირად მიართმევდა აღნიშნულს პირს, ქალაქ სევრის თეფშით. მე ხარბად ვადევნებდი თვალს ყველა იმას და ვკანკალებდი, როცა ვხედავდი, პირამიდის დარღვევასა. მიუხედავად ჩემის შიშისა პირამიდა არ დაარღვიეს. არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ როდესაც ორკესტრმა ერთბაშად დაუკრა, ყველა გაიქცა დარბაზისაკენ და მაგიდაზედ კიდევ დარჩა თორმეტიოდე ატამი, დაწყობილი ფოთლებზედ. მე ქუდი განზრახ ერთს კუთხეში დავტოვე და ვითომ ხალხს გავჰყევი. ჩემი ქუდი იყო მაღალი და კარგათაც შემაწუხა იმ საღამოს. დავბრუნდი უკან ჩემი ქუდის ასაღებად და, რადგან იმ სახლში ცოტა შინაურსავით ვიყავი, უფროსმა მსახურმა ყურადღება არ მომაქცია, არ მომერიდა. ამასთანავე ის იყო გართული სტუმრებისთვის საჭირო ჭურჭლის ზიდვაში. ერთ ხანს მარტოკა დავრჩი; წუთიც არ მინდოდა დამეკარგნა და დავეჩქარე განზრახვა სისრულეში მომეყვანა.

ერთი კიდევ მიმოვიხედე ქურდულად, მივუახლოვდი ატმებს, დავავლე ორს ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, საჩქაროდ ჩავიდე ჩემს ქუდში და დავაფარე ცხვირსახოცი. გულმა ძგერა დამიწყო, მაგრამ მე მაინც თავი შევიმაგრე, წყნარად, ამაყად გავედი პურის საჭმელ ოთახიდან და ქუდი გულზედ მივიკარი, რომ ატმები არ გამოცვივნულიყო. შემდეგ ხელები მოვიჭდე, ქუდი ჟილეტში შევინახე და ამნაირად მივიღე ბრძნული, ცოტა ნაპოლეონური გამომეტყველება.

მე ვფიქრობდი, წყნარად გამევლო დარბაზი, გავპარულიყავ, გავსულიყავ გარედ და გამარჯვებულს მიმეტანა შინ ცხვირსახოცში შეხვეული ორი ატამი.

საუბედუროდ ამ გეგმის შესრულება ისე ადვილი არ იყო, როგორც მეგონა. დაიწყეს ცეკვა. ერთბაშად მთელის დარბაზის სიგანეზედ გაიშალნენ მრგვლად მაცეკვარნი, შიგნით ქალები, უკვე ჰასაკში მოსულნი და გარედგან კიდევ შავ ფრაკიანი მამა-კაცები. ქალ-ვაჟნი, ხელიხელ გაყრილნი დადგნენ დარბაზის შუა ადგილას და დაიწყეს ცეკვა ტრიალით. სწორედ ეს ადგილი უნდა გამევლო, რომ გარედ გავსულიყავი.

შევუდექი აზრის ასრულებას. შევერიე ხალხში და დავიწყე გველივით კლაკნა და ქურდულად მათში გაძვრენ გამოძვრენა... შიშმა ამიტანა; ვფიქრობდი, შემთხვევით ხელი, ან იდაყვი არავინ მომახვედროს, ქუდი არ შეარყიოს და ატმიბი არ დამიბნიოს მეთქი. ერთბაშად ქუდში ატმების ლაყლაყი მომესმა და ჩემი შიში იქნამდის მივიდა, რომ ყურები ამენთო და თმა ყალყზე შემიდვა. დიდხანს ვიარე ამ გაჭირებაში ჩავარდნილმა და ბოლოს, უნებლიედ მივაწყდი ერთს ადგილს, სადაც მამა-კაცებს, შიგნით ზურგ-შექცეულად განი გაეკეთებინათ და შუაში ქალები მოემწყვდიათ. როგორც იყო მიღებული, ქალებს უნდა ჩამოერიგებინათ, შეკრებილი მამა-კაცების ქუდები და დაეხურათ თავზედ მისთვის, ვისთანაც სურდათ ცეკვა. დავაპირე ამ ჯგუფში გაძრომა თუ არა, გამოჩნდა გამგის ქალიშვილი თავის კავალერით და დაიძახა:

— ერთი ქუდი გვაკლია!—

არ გაუვლია ამის შემდეგ დიდ ხანს, მე და გამგეს ქალიშვილმა ერთმანეთს შევხედეთ; მე ადგილზედ გავშეშდი: მან დამიძახა:

— ოჰო! კარგ დროს მოხვედით ბატონო ჰერბელო!.. აბა, ჩქარა, ქუდი გვიბოძეთ!..

მე რაღაც წავიბუტბუტე, მაგრამ ქალმა არ მაცალა და მსწრაფლ ქუდი გამომტაცა. ატმები ძირს გაგორდნენ და თან წაათრიეს ჩემი ცხვირსახოცი და რამოდენიმე ვენახის ფოთოლი...

მე მგონი ამის შემდეგ, შენ უკვე წარმოდგენილი გექნება, თუ რა სურათი გაჩნდა ბალში ჩემს გარშემო.

ქალებმა ასტეხეს ქვეშ-ქვეშე სიცილი და უკვირდებოდნენ ჩემს საქციელს, ჩემს დაღრეჯილს სახეს. გამგემ წარბი შეიჭმუხნა, წარჩინებულნი ჩურჩულით ერთმანეთს ჩემზედ თითით უჩვენებდნენ. მე ველარ შევძელ, მუხლები მომეკვეთა... ოჰ! რატომ არ გამიწყდა მიწა და თან არ ჩამიტანა მაშინვე, ასეთს უხერხულს მდგომარეობაში ჩავარდნილი.

ახალგაზდა ქალმა პირი მოკუმა სიცილის დასაყენებლად, გამომიშვირა ქუდი და მითხრა დაცინვით:

— ბატონო ჰერბელო, ჰკრიფეთ თქვენი ატმები!

დარბაზის ყველა კუთხეში გაისმა ხარხარი ამ სიტყვებით გამოწვეული; თვით მოსამსახურეებიც კი მუცელზედ ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭერდნენ. გაფითრებული, თვალების ცეცებით, ბორძიკით, შერცხვენილი და დამცირებული გავიქეცი, მაგრამ ისე დავიბენი, რომ კარები ძლივს მივაგენი. მოვედი სახლში გულ-მოსული და ვუამბე ჩემს ცოლს ჩემი სამარცხვინო თავგადასავალი.

მეორე დღეს, ამ ამბავმა მთელი ქალაქი მოიარა. შევედი თუ არა ბიუროში, ამხანაგები მომეგებნენ შემდეგის სიტყვებით: „ბატონო ჰერბელო, აჰკრიფეთ თქვენი ატმები!“

მე ამას ვერ ვითმენდი და სახე მენთებოდა. არ შემეძლო გადამედგა ქუჩაში ერთი ფეხიც, რომ ჩემს უკან არ გამეგონა დაცინვის კილოთი ნათქვამი სიტყვები: „ეს გახლავთ ატმებიანი კაცი!“ რასაკვირველია, მე ველარ გავძელ ჩემს სამსახურში და დავანებე თავი.

ჩემს ბედზედ, ბიძა ჩემს ჰქონდა ამ დროს მამული ჩემი სამშობლო ქალაქის მახლობლად, სოფელ შატერენში.

მე ვთხოვე მას, ავეყვანე თანაშემწედ თავის მამულის შემუშავებისათვის. ის დამთანხმდა და დავესახლეთ შატერენში. რაღა მაქვს კიდევ სათქმელი?.. მე მოვკიდე ხელი ჩემს საქმეს, ვდგებოდი რიჟრაჟზედ და არა ვზოგავდი ჩემს ჯანს. გამოვიდა რომ, მე მეტი მოწოდება მქონდა მიწის მუშაობისა, ვიდრე ქალალდის წერისა; რამდენიმე ხნის განმავლობაში მე შევიქენი ნამდვილი მეურნე. მამული ისე კარგად შევიმუშავე და ავაყვავე, რომ ბიძა ჩემმა მე დამიტოვა თავისის სიკვდილის შემდეგ.

მას აქეთ მე მამულს ბევრი რამ შევმატე და ახლა ვცხოვრობ მხოლოდ მით, რასაც შენ მალე დაინახავ.

მივედით შატერენს და გავიარეთ ჩემი ძველი ამხანაგის მამულის ერთს ბაღში, რომელიც სავსე იყო ხეხილით. ხეხილები ისე იყო დახუნძლული ვაშლით, მსხლით და შავ-ქლიავით, რომ ტოტები მიწას სწვდებოდა. ღობის ბოლოზედ მომბული იყო პატარა ფერდობი, რომელსაც გვერდით ჩაუდიოდა, მწვანედ მბრწყინავი მდინარე თავის ნაპირით, მტევნიანის ვენახით ამწვანებული. იქ ისმოდა მალალურის სტვენა. მარცხნივ, ხეების იქით, ისმოდა ხმა საცეხველის მანქანისა, რომელიც კალოზედ მუშაობდა. გავიარეთ აგრეთვე ბოსტანი და დავინახეთ საცხოვრებელი თეთრი სახლი ჩემი ამხანაგისა, ჩამალული ატმის ხეებში, რომელთაც ატამი ბლომად ესხა.

— ჰხედავთ, მითხრა ვიტალმა, რა მშვენიერი ატამი მომყავს. მაგათ ვუმადლი მე ჩემს ასეთს ბედნიერებას. რომ იმ ორი ატმის ამბავი არა, ეხლა მე ვიქნებოდი მხოლოდ კარგი მოხელე, მოშიშარი ჩემის უფროსებისა, მე მხოლოდ ერთს მიუმატებდი რიცხვს მოხელეებისას, რომელნიც ასე გაჭირვებით ცხოვრობდნენ; მაშინ, როდესაც მე თვითონ ვარ ჩემი თავის პატრონი და ბატონი.

გაათავა თუ არა ესა ვიტალმა, მოგესმა სახლის შიგნიდგან ბავშვების ჟივილ-ხივილი და დავინახე ძირა სართულში ქალბატონი ჰერბელოსი, ლამაზი და ჯან-მრთელი, თუმცა ორმოც წლამდე მიღწეული.

ეხლა თვითონ ის იყო მწიფე ატამი, მზის სხივებით გაბრწყინებული.

(ფრანგულიდან)

ბიკენტი თაბუკაშვილი.

†
იაკობ გოგებაშვილი

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაცა,—
სახელი არ დარჩენია“.

ილია ჭავჭავაძე.

ბული სწუხს, თვალი ცრემლებით ივსება, გონება არ გემორჩილება, რაღაც სიცარიელეს გრძნობს, სასოწარკვეთილება გიპყრობს, ხელიდან კაალამი გივარდება, როცა თვალწინ გიდგას გაციებული გვამი იმ ყოვლად ღირსეული უანგარო მამულიშვილისა, ხალხის აღმზრდელისა, მხცოვან პედაგოგისა, რომელმაც თავისი სიცოცხლე, თავისი ჯანი და მთელი არსება, ჭკუა-გონება, პირადი ინტერესი და ყველაფერი, რაც ადამიანის სიმდიდრეს შეადგენს, ხალხს შესწირა და დღეს სამუდამოდ დადუმებული, გულხელ დაკრეფილი ცივი სამარისკენ მიისწრაფის.

ბუნების ულმობელი კანონი ასრულდა. აღარა გვყავს იაკობ გოგებაშვილი, ეს ჩინებული მოღვაწე სამშობლო ქვეყნისა, რომლის მედგარი ბრძოლის ხმა თავსზარსა სცემდა ქვეყნის მტრებს, დაჩაგრულთ იცავდა და სიმართლეს ღაღადებდა.

სამშობლო ქვეყანამ დაჰკარგა ჩინებული მებრძოლი, გულშემატკივარი და უდიდესი მოამაგე ხალხის განათლებისა ეროვნულს ნიადაგზე; აღარ გვყავს ის იაკობი, რომლის ათასგვარ ქველმოქმედებას საზღვარი არ ჰქონდა, რომლის წყალობით და უხვი დახმარებით ბევრი ახალგაზდა იკვლევდა გზას უმაღლეს განათლებისაკენ, ბევრი უმწეო და გაჭირებული შველას მისგან მოელოდა; აღარა გვყავს ის იაკობი, რომლის მეოხებით გზა დაბნეული ქართველი ხალხი დაადგა სწავლა-განათლების სწორს გზას, აღარ გვყავს იაკობ გოგებაშვილი, რომლის სახელმძღვანელომ და მრავალმა წიგნმა აღზარდა მთელი თაობა; აღარ გვყავს ის პედაგოგი, რომელმაც ჩვენს დღევანდელს მოღვაწეებს პირველად აღუნთო გულის ცეცხლი სამშობლო ენისა და ქვეყნის სიყვარულისა; აღარა გვყავს მტკიცე და შეუდარებელი ხასიათის მოღვაწე, რომელიც შორს გაურბოდა ყოველგვარ ანგარებას და ყოველთვის და ყოველგან იცავდა ზნეობას და პატიოსნებას; აღარ გვყავს ის უმწიკვლო ადამიანი, რომელმაც უკუ აგდო „ჩინოვნიკური“ სამსახური, რომ შეცდომაში არ შესულიყო ცეცხლში შეაგდო თავისი დოკუმენტები, რაც საჭირო იყო მოხელეთა სამსახურისათვის და დაადგა უკეთესს და უფრო ნაყოფიერს ხალხის სამსახურის გზას; ამ გზაზე იმოღვაწა მან მთელი ნახევარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

† იაკოვ გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნე და წმინდა პედაგოგიურს ნიადაგზე უანგარო შრომით შეძენილი ქონება ისევ სახალხო საქმეს უანდერძა; აღარა გვყავს ჩვენი პედაგოგიის მამთავარი, დამფუძნებელი ჩვენში საპედაგოგიო ლიტერატურისა, საუკეთესო ჭკვიანი მრჩეველი და დამრიგებელი სახალხო მასწავლებლებისა, რომლებიც ყოველ გაჭირვების ჟამს და მთავრობის მოხელეების მხრით ძალმომრეობის დროს, მას მიმართავდენ ხოლმე, მას აალაპარაკებდნენ ძლიერის სიტყვით და მის რჩევასა და დარიგებას ისმენდნენ. დღეს ეს დიდებული ადამიანი გვშორდება სამუდამოდ, გულ-დამშვიდებული, რომ „გზა ცხოვრებისა განვლო და აღბეჭდა ნავალი“; რაც შეეძლო იშრომა და იღვაწა ქვეყნის საკეთილდღეოთ. მაგრამ განსვენებულის სახელი არ მომკვდარა და არც მოკვდება, ვიდრე ქართველი ხალხი ქართველადვე დარჩება. განსვენებულის ხანგრძლივმა მოღვაწეობამ ამის ნაყოფიც მოგვცა: ქართველობა არ გაჭქრება და მასთან იაკობ გოგებაშვილის სახელიც იცოცხლებს სამარადისოდ.

დღეს მთელი საქართველო გულწრფელად ჰგლოვობს იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას, ყველა გრძნობს თუ რა დიდი მოჭირნახულე მამა მოაკლდა საქართველოს, ყველა აფასებს მისს დიადსა და შეუდარებელს ღვაწლს სამშობლოს წინაშე. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის სახელი უკვდავი იქნება ქართველთა შორის იმ მხრითაც, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგაც მისი ხსოვნა, მისი მოღვაწეობის გაცნობა საუკეთესო მაგალითს მისცემს შთამომავლობას, ამ მაგალითს უდიდესი აღმზრდელობითი გავლენა ექნება შთამომავლობაზე. ამისთვის საჭიროა ყველა სახალხო სკოლამ, სასწავლებლებმა და ოჯახმა თვალსაჩინო ადგილზე გამოჰკიდონ იაკობ განმანათლებელის სურათი და აუხსნას ბავშვებს ვინ იყო იაკობი და რა ამაგი დასდო მან სამშობლო ქვეყანას.

დიდო და სამაგალითო მოღვაწევ! მუხლს ვიდრეკთ შენი ცხედრის წინაშე და ვფიცავთ ყოვლის ღონის ძიებით დავიცვათ შენი ნაანდერძევი.

ქართველი ერის აღმზრდელო მამავ! განისვენე საუკუნოდ, სამშობლო სამარე გულში მიგიკრავს ღირსეულს შვილს, გულში ჩაგიხუტებს, როგორც დედა საყვარელს შვილს.

საქართველოს ბურჯო და დამცველო „ეროვნების ბურჯისა“! ინუგეშე, რომ დღესაც კი ბევრი ჰბაძავს შენს სამაგალითო მოღვაწეობას და შენი სახელი, ქართველი ერის გულის ფიცარზე ოქროს ასოებით აღბეჭდილი, მუდამ წაუშლელი იქნება.

სულმნათო ადამიანო! მთელი ქართველობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჰგლოვობს დღეს შენს გარდაცვალებას, ჰგლოვობს აუნაზღაურებელს დანაკარგს, იმსჭვალება ერთის გრძნობით, ერთის აზრით—ეს საერთო აზრია შენი წარსული სამაგალითო მოღვაწეობა. ნუ მოაკლდება ჩვენს ბედკრულს სამშობლოს შენისთანა მოღვაწე და შენ კი, დაუვიწყარო მამაო, განისვენე მშვიდად. საუკუნოთ იქნება შენი ხსენება.

ლ. ბოცვაძე.

იაკობ გოგებაშვილი

35 წლისა.



45 წლისა.

მოწაფის მოთქმა

(იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო)

ძაძი ჩაიცვი სამშობლო მხარევ,
სულის სილაღევ, შორს გადაფრინდი!
ყვავილთა გროვავ, თავი დახარე,
მთის წმინდა წყაროვ ყრუთ აქვითინდი!

—

ქართველთა ძენო! მუხლთ მოვიყაროთ,
ერთად ვადიდოთ წმინდა სახელი!
მოდით, შევერთდეთ, ცრემლები ვღვაროთ,
ალარ გვყავს, არა ჩვენი აღმზრდელი.

მოწ. **ზაქრო ვაშაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგოდებელი

(იაკობ გოგებაშვილის ხსოვნას)

ძაძები მინდა, თალხ-ძაძები ჭირის უფლისა
უნდა ვიგლოვო საქართველოს უბადლო შვილი,
თალხის ჩაცმა მსურს, რომ გამოვსთქვა ჭმუნვა სოფლისა
და ობლად შთენილ მოზარდობის გულის ტკივილი.
ძაძა მჭირია—ველარ ვპოვე—მთებს დაუსწვრიათ,
მთებს დაუსწვრიათ—შებურვილან კაეშნის ნისლით;
მდინარეები სალ-კლდეების წმინდა ცრემლებით
მწარეთ მოსთქვამენ, ჰქვითინებენ მთრთოლვარე ისლით.

* * *

ცრემლთა ფრქვევა მსურს, ცხარე ცრემლთა მიმქრალ თვალთაგან,
ცრემლთა ფრქვევა მსურს კაეშანის ზღვის შესართავად.
ცრემლთა ნამვა მსურს, რომ კიდითგან კიდემდის—ყველგან
არსთა ოცნება ვაცურავო კაეშნის ნავად.
ცრემლთა ფრქვევა მსურს—გესმის ზენავ? სულთქმის ქვითინი
მწუხარედ მოსთქვამს თვით სალი კლდის უსულო ტინი;
არც მწვანე ჯეჯილს გააქვს ნაზი ღაღან-ბიბინი,
არც ტურფა წალკოტს შემოესმის სოის ტიტინი.
ყველა ჰგლოვობენ, ყველა სულმნათს მწარეთ სტირიან;
ქვეყნის მოსაგრეს გულ-ამოსკვნით ეთხოვებიან.
ყველას ბაგეთგან აღმოითქმის გლოვა საზარი.
ცრემლთა ხეობად გადაიქცა ბაღჩა-ბაღნარი.

* * *

ბულბულო, მარად ყარიბ ხმებით მკვნესავ-მსტვენავო!
ბულბულო, სევდის და ჭმუნვისა ბაღში მფრინავო!
გემუდარები: ერთის წუთით მათხოვო ჩანგი,
შიგ ჩაურთევი შენი კილო, წკრიალა ჰანგი.
ღმერთს შევავედრებ ქვეყნის მეოხს, მამულის ჯავარს,
ლოცვად წარუვლენ ჩვენს სიობლეს, ჩვენს ვაის და ჯავრს.
იქნებ ისმინოს ბეჩავ ერის სულთქმა-ღაღადი
იქნებ... ბულბულო,
მარად აკვნესებ-აჩქურებულო,
რათ სდუმხარ, რათა?
ჩანგი შენი რატომ არ კვნესის?
ქვეყნის წუხილი აიჭრა ცათა,
შენ კი არ გესმის?

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკანასკნელი სურათი.

გაფიცებ ტურფა მაისისა ვარდის ფურცვლასა,
გაფიცებ კეკლუც გაზაფხულის პირველ ფურჩქვნასა,
მარქვი რად არ ჰკვნეს,
რატომ არ სტირი?
ვაგლახ, ურვისგან ფრთოსნის ჩანგი ჩაქოთებულა,
უსაზღვრო კვნესით მგოდებელი დაოსებულა.

—

ვახ, ვითლა მოვთქვა მწარე ბედი, ვით ვივალალო,
მომმადლე ძალა გოდებისა, ღმერთო მაღალო!

დ. თურდოსპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვის ხმა

—

იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილს
გარდაცვალების გამო.

—

„იყო ვით მტრედი უმანკო,
თვის ხუნდებს უფრთხილდებოდა—
არწივთა კლანჭი არ ჰკრანო,
ამა აზრისთვის კვდებოდა“.

ბანისვენა... საუკუნოდ დაეხუჭა მოხუცს თვალი,
ცით დაეშვა ანგელოსი ეამბორა გულ-მტირალი,
სუბუქ ფრთებით, ლურჯ ეთერში, წარიტაცა მისი სული,
დედამიწას დაუტოვა უსიცოცხლო ცივი გული...

აღარ არის... მძიმე კვნესით უცებ ჩასწყდა მკერდში სიმი,
მის ღვთაებრივ მეტყველ ბაგეს განეშორა წრფელი ღიმი...
წმინდა ცხედარს, წმინდა დასნი დაჰგალობენ ჰიმნსა ციურს,
კაცთა ძენი უერთებენ თვის გლოვის ხმას, ზარს ქვეყნიურს...

ნეტავ მას, ვინც დაიმკვიდრებს ცის და ქვეყნის სასუფეველს,
ვინც სიკვდილით, სიკვდილს სთრგუნავს, ცრემლს შეუშრობს, ცრემლის
მფრქვეველს...
ნეტავი შენ სულ-მართალო, რომ ჰპოვევი უკვდავება,
და თან მიგდევს ერის გულის კუთხევა და ქებათ-ქება...

გ. ქუჩიშვილი.

იაკობ გოგებაშვილის ანდერძი

საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს ვაცნობოთ ზოგიერთი ადგილები განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის ანდერძისა: 1) სასაფლაოს საყიდლათ, დამარხვაზე და ძეგლზე უნდა დაიხარჯოს 3000 მანეთამდის. 2) პირველი სესხის ოთხი ბილეთიდან: ერთი გადაეცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სახალხო განათლების ფონდისათვის, მეორე ქართულ სალიტერატურო ფონდს, მესამე ქართულ დრამატიულ საზოგადოებას და მეოთხე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მეორე სესხის ბილეთი გადაეცემა ქართულ პედაგოგიურს ჟურნალს „განათლებას“, მესამე სესხისა კი ტფილისის სახალხო უნივერსიტეტს. ეს ბილეთები იმ აზრით არის ნაანდერძევი, რომ ტირაჟის დროს უსა-

თუოდ დაზღვეული იქმნას და თუ ტირაჟში გამოვიდა სამაგიეროდ სხვა უნდა შეიძინონ იმ იმედით, რომ მოსალოდნელ მოგებას შეეძლოს უზრუნველი გახადოს ესა თუ ის დაწესებულება. ყველა გირავნობითი ფურცლები თბილისის სათავადაზნაურო ბანკისა, რაც განსვენებულს ეკუთვნოდა, უნდა გადაეცეს წ.-კ. გამ. საზოგადოებას სახალხო განათლების ფონდისათვის, რომლის სარგებლით უნდა იზრდებოდეს სახალხო სკოლის მასწავლებლების, გლეხებისა და მუშების შვილები ქართველ ინტელიგენციის დემოკრატიული ნაწილის გასაძლიერებლად. სამი ათასი მანეთი შენახული სამეურნეო ბანკში უნდა მოხმარდეს საფლავის ყიდვას, დამარხვას და ძეგლს. იმ ფულიდან, რაც შენახულია სახელდახელო ხარჯად თბილისის სამეურნეო ბანკში, აგრეთვე გამოცემულ სახელმძღვანელოებისა, რაც ემართება წერა-კითხვის საზოგადოებას და „კავკასიის წიგნის სავაჭროს“, ასი მანეთი უნდა მიეცეს სახელმძღვანელო წიგნების სინდისიერს ასოთ-ამწყობს ლადო მახვილაძეს; ას ასი მანეთი უნდა მიეცეს საზოგადოების ბუჰგალტერს ვასილ ედილაშვილს და საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგეს თავ. ივანე ავალიშვილს. ას ასი მანეთი უნდა მიეცეს საქველმოქმედო საზოგადოებათ: თბილისის სემინარიასთან არსებულს ანდრია პირველ-წოდებულის სახელობის ძმობას, სომხების საქველმოქმედო საზოგადოებას და მაჰმადიანების საქველმოქმედო საზოგადოებას.

ყველა თავისი სახელმძღვანელოები რუსული და ქართული, აგრეთვე აუარებელი კლიშეები, სალიტოგრაფიო ქვები, ყველა წერილები დაბეჭდილი და დაუბეჭდავი და ბიბლიოტეკა განსვენებულმა დაუტოვა წერა-კითხვის საზოგადოებას *). იმავე წ.-კ. საზოგადოებას დაუტოვა ვერაზე მიწა 264 ოთხკუთხი საჟენი. ამას გარდა განსვენებული ავალებს წ.-კ. საზოგადოებას შემდეგს: სახელმძღვანელო წიგნების ყოველ წლიურ წმინდა შემოსავლიდან უნდა დაარსონ და შეინახონ სამაგალითო სკოლა, გორის მახლობლად განსვენებულის სოფ. ვარიანში, მიეცეს ყოველ წლივ ქალთა ჭრა-კერვის სკოლას ეკატ. გაბაშვილისას, „განათლების“ საზოგადოების სკოლას და ქართულ საბავშვო ბაღს თითოს ას ოცი მანეთი; თითოეულ ცალ გაყიდულ რუსულ ქართულ სახელმძღვანელოდან წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა გადასდვას არა ნაკლები ერთის კაპიკისა სახალხო განათლების ფონდის შესადგენად, რომლითაც გამოიზდებიან სახალხო სკოლაში კარგად კურს დასრულებული ნიჭიერი ყმაწვილები, გლეხების, მუშების ან სოფლის ღარიბ მასწავლებლების შვილები განსაკუთრებით სპეციალსა და კერძოთ საპედაგოგიო სასწავლებლებში. ამავე ფონდის სასარგებლოდ განსვენებულმა დასტოვა ადგილი ვერაზე, რომელიც უნდა გაიყიდოს იმ დროს, როცა ფასი აწეული იქნება და ფული მიუმატონ სახალხო განათლების ფონდს. ამავე ფონდის სასარგებლოდ უნდა წავიდეს პირადი თავისუფალი ფულის ნახევარი. შემოსავლიდან წ.-კ. საზ. გამგეობამ უნდა აძლიოს ყოველ წლივ დახმარება ქართულ პედაგოგიურს ჟურნალს „განათლებას“ არა ნაკლებ სამასი მანეთისა, რომ ზარალის გამო ეს ჟურნალი, რომელიც

*) მარტო სახელმძღვანელოები იძლეოდა წლიურად წმინდა შემოსავალს 9000 მანეთზე მეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემსახურება იმავე მიზანს, რასაც წერა-კითხვის საზოგადოება, არ დაიხუროს. წერა-კითხვის საზოგადოება ყოველ წლივ აძლევს აკაკი წერეთელს ჰონორარად იმ საბავშვო ლექსებისათვის, რაც „დედა-ენაშია“ მისი რედაქციით, ას მანეთს.



22 წლისა.

ყოველი ცვლილება სახელმძღვანელო წიგნებში შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამას, დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, გამგეობის წევრის სამი მეოთხედი ხმა გადასწყვეტს. რომელიმე სახელმძღვანელოს გამოცემის მოსპობისათვის საჭიროა აგრეთვე სამი მეოთხედი ხმა, როგორც გამგეობის წევრებისა, ისე საზოგადო კრებისა. გარდაცვალებიდან სამი წლის განმავლობაში გამგეობამ ცნობაში უნდა მოიყვანოს და დასტამბოს ყველა გამოუცემელი და დაუსტამბავი სტატიები, როგორც ქართული, ისე რუსულიც, ესა თუ ის სტატიები უნდა დაიბეჭდოს იმ ხრონოლოგიურს წესზედ, როგორ არის გამოცემული პირველი ტომი რჩეულ ნაწერებისა. ხარჯს ამ ნაწერების გამოსაცემად გამგეობა გასწევს წიგნების მოგებიდან, თუ კერძოდ ამისთვის დატოვებული ცალკე თანხა არ აღმოჩნდა. გამგეობა ყოველ წლივ თავის ანგარიშში უნდა ბეჭდავდეს ცალკე დაწვრილებითს ცნობებს წიგნების გამოცემის ხარჯისა და მოგების შესახებ და რას მოხმარდა მოგება ანდერძის მიხედვით. თუ წერა-კითხვის საზოგადოება რაიმე მიზეზის გამო დაიხურა, მაშინ საზოგადო კრებას ევალება სახელმძღვანელოების და სხვა წიგნების გამოცემა და ზრუნვა სახალხო განათლების შესახებ გადასცეს სხვა რომელსამე სახელ-გაკეთებულს ქართულს დაწესებულებას იმ პირობით, რომ მისცეს წმინდა მოგება წიგნებიდან და სარგებელს, სახალხო განათლების თანხისას, მისცეს სწორედ ის დანიშნულება, რაც ანდერძშია გამოთქმული.

60 წლისა.

იაკობ გოგებაშვილი

(სიტყვა, წარმოთქმული ვერის დადმართთან)

Ალი კლდის პირად სჩანდა ჭაღარა, შავათ მოსილი და მღელვარე, აბობოქრებულ ზღვის ტალღებს სევდიანი შესცქეროდა.

ზღვის ფრინველები აღარსად სჩანდნენ, სადღაც გაჰქრენ... მათ შეეშინდათ მღელვარე ზღვისა. მარტოდ დარჩენილი მეთოვლია წყლის ნაპირისკენ მიფრინავდა... მხოლოთ ხომალდი, ობლათ მცურავი, შავი სტიქიონის თეთრს ქაფში ხვეული, ზღვისავე შავს ტალღებს ეომებოდა. მოქანცულნი, ხომალდში მყოფნი მეზღვაურნი შიშს განიცდიდნენ, ბედის წერას სწყევლიდენ და იმედ დაკარგულნი მწუხარებას მისცემოდენ.

აი მათ თვალი მოჰკრეს ხმელეთს და ხანგრძლივ ბრძოლისგან დაქანცულებმა, იმედ დაკარგულებმა კვლავ იგემეს სიტკბო სიცოცხლისა. მაგრამ უცბათ დაჰბერა დიდის სიძლიერით ქარიშხალმა...

ზღვა უფრო აღელდა და ხომალდი შორს, შორს გადასტყორცნა განუსაზღვრელ ზღვის სივრცეში... გაჰქრა იმედი, აღარ მოსჩანს სანეტარო ხმელეთი და მეზღვაური გულმოსული იმეორებს:

„ჰო, რად არ მოკვდი, რად!“

მაგრამ ეს ამოძახილი ამოძახილად რჩება და მისი მოქანცული თვალები ისევ ისე გაყურებს უსწორ-მასწორ ობოლ ზღვის ველს და იქ ეძიებენ სანეტარო ხმელეთის პირს... აი ასეთი სულის ტანჯვა განიცადა პედაგოგიკის დევ-გმირმა ჰენრიხ პესტალოცმ, ასეთივე სულის ტანჯვას განიცდიდი შენ, როდესაც შენსავე შემუშავებულს სწავლა-აღზრდის წესებს ძირიან ფესვიანათ აგდებდენ... მაგრამ სულით არ ეცემოდი და მედგრათ განაგრძობდი სწავლა-აღზრდის წმინდა იდეალების განხორციელებას.

ასეთივე სულის ტანჯვა განიცადა და ეკლის გვირგვინი ატარა დიდაქტიკის ჰენიოსმა კომენსკიმ, და შემდეგში, როდესაც მას აგონდებოდა წარსული, მისი სევდით ნაკვები გრძნობა, ტანჯვას განიცდიდა, თვალებზე გულიდან ამონაღები სისხლის ცრემლები ასკდებოდა და ოხვრით წამოიძახებდა:

„სად ხარ, სად ჩემო ტანჯვაში დაკარგულო ახალგაზდობავ. ჰო, რა კარგი იქნება, რომ დამიბრუნდეს წარსული წლები“.

ეს ამოძახილი არის არამც თუ მარტო კომენსკის ობოლი სულისა, არა ეს ამოძახილი გეკუთვნიან შენც, ჩვენი პედაგოგიკის დიდებავ.

შენ გრძნობდი და კიდევაც განიცადე ჩვენი სკოლების ბედ-ილბალი, მათში გამეფებული და სულის შემხუთველი მოზარდ თაობის დამამახინჯებელი უკულმართობა, გულს გიკლავდა ყველა ეს და შენც შენი სიყმაწვილე, შენი ძალ-ღონე ამ უკულმართობის მოსპობის ბრძოლას შეალიე. შენი გზა ეკლით იყო მოფენილი, შენი გული სევდა ვარამით ავსილი, მაგრამ ამ სევდა ვარამს გიქარვებდა ბავშვების უანგარო ტიტინი.

დღეს კი შენ ველარ სჭვრეტ მათ, თუმც ისინი აქ არიან...

პატარა ნუცას დედოფლები დაუტოვებია და აქ მოსულა შენი ცხედრის წინ სალოცავად.

იმედ დაკარგული საწყალი გლეხის ბიჭი, სანდალა, მწარეთ ქვითინებს.

შენი საყვარელი მწყემსი გიგლა შორის სოფლიდან ფეხშიშველი ვერ ჩამოვიდა, ვერ გამოგეთხოვა. მისმა ცეცხლის მფრქვეველმა თვალებმა ვერ დაგინახეს უკანასკნელად... დღეს ის სოფლად არის და თავის მწუხარებას გულ აჩუყებული ნიკორას ებუტბუტება... კატო, თამრო, კეკე, ვანო აქ არიან დედასთან, მასთან ერთათ თავს დაგტირიან... და ან კი ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს თავ მოყრილი?

შენ გარს გახვევია დიდი და პატარა, მასწავლებელი და მოწაფე, ნასწავლი და უსწავლელი, დედა და ბავშვები, ყველა გარს გეხვევა, შენს ცხედრის წინ მუხლს იყრიან.

შენ ბევრს მათგანს არ უნახვიხარ, მაგრამ მაინც გცნობენ, მიტომ რომ შენი წიგნებით სავსეა მათი ოჯახები და სკოლები.

შენ არ ეძიებდი დიდებას, მაგრამ ისინი გადიდებდენ, რადგან მათ სწავლის მწარე ძირი ტკბილათ შეუცვალე. შენ მიეცი მათ საუკეთესო სახელმძღვანელოები... შენ შეუქმენი მათ სწავლა ბუნებრივი, ხალხური, ნამდვილ ცხოვრებასთან დაახლოვებული... შენ შეაყვარე მათ ტკბილი იავ-ნანა... შენ, შენ მიეცი

მათ მცნებათ და ჩაუნერგე სიყვარული სამშობლო ენისა... და ჩვენც ვფიცავთ შენის ცხედრის წინ, რომ მტკიცეთ დავიცავთ შენს წმინდა მცნებას.....

გახსოვდესთ თქვენ ნორჩ თაობის აღმზრდელებო, მამებო, დედებო, რომ პატარაობიდანვე ჩაუნერგოთ ბავშვებს სიყვარული სამშობლო ენისა. ბავშვის აკვანს ცოცხალ ქსელათ გარს შემოავლეთ სამშობლოს ტკბილ ჰანგიანი სიმღერები, მოთხრობები, ზღაპრები...

დედის რძესთან ერთად შეაწოვეთ სიყვარული სამშობლო ენისა და ნურც ბავშვის სპეტაკ ბაგეს შეახებთ უცხო ენის ხმებს, სანამ ბავშვი კარგად არ გაირკვევს თავის ენას. მხოლოთ შემდეგ მოვიდნენ სხვა განათლებული ერების ენები, მაგრამ მოვიდნენ ჩვენს ოჯახში ისე, როგორც მოწვეული სტუმრები და არა თვით მპყრობლები, რომლებიც იმონებენ ჩვენს აზრს, გონებას, სამშობლო ენას. ეს არის ანდერძი, გადმოცემული დღეს გულ-ხელ დაკრეფილის მამულიშვილისა და მისი შესრულება საყოველთაო ვალია.

ახლა კი მშვიდობით, დაობლებულის საქართველოს სკოლების მამავ, ბავშვების მეგობარო და ჩვენო სასიქადულო დიდო, მასწავლებელო. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება.

გ. ნიორაძე.

გამოსათხოვარი სიტყვა

სულმნათო ადამიანო და სამაგალითო მოღვაწევ!

ჯიდევ რამდენიმე წუთი და შენს უსულო გვამს გულში ჩაიკრავს, სამუდამოდ ჩაიხუტებს მამა-პაპათა წმინდა საფლავი.

თითქო წინდაწინ გრძნობდი ამ შავი დღის მოახლოებას. ამ ხუთი თვის წინად თვითონვე აირჩიე ეს ადგილი საუკუნოდ განსასვენებლად.

სამშობლო მიწავ, მოწიწებით მიიღე შენს წიაღში ქვეყნის მოკეთე.

დიდებულო ადამიანო, ინუგეშე მით, რომ შენს ამაგს, შენს სახელს არც ერთი ქართველი არ დაივიწყებს, ვიდრე ქართველობა იარსებებს ქვეყანაზე და რამდენიც დრო გავა, უფრო ბრწყინვალე შარავანდით შეიმოსება იაკობ განმანათლებელის უკვდავი სახელი.

ყველამ იცის დღესაც, თუ რამდენი დაუფასებელი ღვაწლი მიგიძღვისთ ჩვენი დაბეჩავებული სამშობლოს წინაშე. ყველა კარგად გრძნობს თუ ვის ჰგლოვობს დღეს მთელი საქართველო, ვის ეთხოვება საუკუნოდ და რამდენად აუნაზღაურებელია ქვეყნისთვის ეს დანაკლისი.

დღეს შენს საფლავზე დანთხეული გულწრფელი და მხურვალე ცრემლი ნიშანია იმისი, რომ ქართველი ხალხი, შენ მიერ აღზრდილი, შენს შემდეგაც გულმოდგინედ დაიცავს ქვეყნის სასარგებლო ბრწყინვალე აზრებს, რასაც შენ სიცოცხლეშივე თავს ევლებოდი, ეტრფოდი და რაც ქვეყნის საკეთილდღეოთ მიგაჩნდა. ამ აზრებშია ჩაქსოვილი ქართველი

ერის მომავალი ბედი და შენი საუკუნო ხსენებაც.

მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და მხურვალეთ შევსთხოვ უზენაესს, რომ არ მოაკლდეს ჩვენს ბედკრულს სამშობლოს შენებრ უანგარო, უმწიკვლო და სიმართლისთვის თავდადებულად მებრძოლი მამულისშვილი, მამა აღმზრდელი.

მშვიდობით, განისვენე სამარადისოდ ჩვენი ქვეყნის სხვა მოკეთეთა შორის. საუკუნოდ ხსენება შენს დიდებულს სახელს.—

რედაქციისაგან

ჟურნალ „განათლების" რედაქციას აზრად აქვს გამოსცეს ცალკე წიგნად ყველა სამგლოვიარო სიტყვები, დეპეშები და კერძო აზრები, რაც გამოითქვა საზოგადოთ განსვენებულის, დაუვიწყარი მოღვაწის, მსცოვან ჰედაგოგის იაკობ გოგებაშვილის შესახებ. რედაქცია სთხოვს ყველას, ვისაც დაუბეჭდავ სიტყვები აქვს, მიაწოდოს კრებულში მოსათავსებლად. ამ კრებულის წმინდა შემოსავალი მოხმარდება იმ **სახალხო განათლების ფონდს**, რომელიც ანდერძის თანახმად დაარსა განსვენებულმა. კრებული გამოვა არა უგვიანეს 1 დეკემბრისა, განსვენებულის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „**განათლება**“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „**განათლება**“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთ ების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თელავში

იხსნიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

თვით-მასწავლებელი, 128 სურათით.

ახალი მეთოდი

ექვს ნაწილად; ქართლური, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი უდით 3 მან., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ან მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. მისამართი: Въ г. Телавъ. Школа кройки и шитья Софія Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2, собс. домъ.

სოფლის მასწავლებლების საყურადღებოდ

რადგანაც ძლიერ ბევრი მასწავლებელი იბარებს ჩემს „ჭრა-კერვის" წიგნს, თუ ვინმე მოისურვებს ამ ზაფხულს მე თითონ ვასწავლი მათ ჭრა-კერვას, ყველასათვის შესაძლებ ფასად, რა ენაზედაც სურთ ე. ი. ქართულად თუ რუსულად. თუ თელავში მოსვლას მასწავლებლები უხერხულად დაინახვენ, მაცნობონ წერილით სად ურჩევნიათ შეგროვება და თუ ჩემთვის შესაძლებელი იქმნება, თვითონ ვიახლებით. პირობა მაცნობონ წერალით.

ავტორი ჭრა-კერვის წიგნისა სოფიო ი. სიმონოვი.

გამოვა 1912 წ. საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მერვე)

ხელის-მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში.

(ოლოგვინის პროსპექტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგოგადოების მადაზიაში, თავ.-ასნ. ქარგასლა)

1912 წლის 1-ლ იანვრიდან 1913 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის **12** წიგნი **3** მან. მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი **3** მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—**3** მან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა.